

78 /
993/3

110
1-4

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

~~1-2~~
1993

საქართველო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1-2

1993

იანვარი-თებერვალი

გამომდის 1926 წლიდან

პრაქტიკა • მეცნიერება • კულტივისტიკა

მთავარი რედაქტორი

ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეჯია...

ანგი არსენაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

გელა ბერიანი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ელადიმერ ბარათაშვილი

ოთარ გამყრელიძე

გივი ინფიროვილი

ფაია ლეკვიშვილი

თენგიზ ლილუაშვილი

მისხვილ კაკელია

კონსტანტინე კეკელია

ვალვა ნათელაშვილი

თევდორე ნინია

დავით სარალიძე

გიორგი ტყეშელაშვილი

მინდია უბრაყელიძე

ჯონი ჯალაღანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

გაითხველთა საზურაღდებოდ!

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვაწოდეთ მისამართით: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30.

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი



ახალი დრო ახალი ამოცანება	3
საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის გაფართოებული კოლეჯია თევდორე ნინიძე — მართლწესრიგი, კანონიერება და პროკურატურის ამოცანები	6
სასამართლო რეფორმა თენგიზ ლილუაშვილი — სასამართლო რეფორმის კონცეფცია	20
ზურაბ დგებუაძე — შეჯიბრებითობის პრინციპი და სასამართლო რეფორმა	29
პარლამენტარის ტრიბუნა ზურაბ შვანია — საქართველოს სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საკითხისათვის (თეზისები)	33
თვორიის საკითხები ირაკლი გოძიაშვილი — დანაშაულობა და იმპერიული ავტორიტარიზმი საქართველოში	40
დავით დავითაძე — კონტრაბანდის როგორც საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის თავისებურებანი	45
ნარკომანია და დანაშაულის სოციოლოგიური კვლევა ანზორ ვაბანი — ლეგალიზებულია თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკებით ვაჭრობა	51
ლიანა შელიქიშვილი — ქალთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფსიქოლოგიური პრობლემები	54
ოფიციალური მასალა დანიშვნები	59
კანონი სამხედრო მდგომარეობის შესახებ	63
კანონი სამხედრო პროკურატურის შესახებ	66
ინფორმაცია	70
ნაპროლოგი	77
ბიბლიოგრაფია	78

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80
ტელ. 99-02-45, 98-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 26. 01. 98 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 04. 98 წ.
ფორმატი 70X108 1 , ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 164. ტირაჟი 7600.

საქართველოს შურონალ-გაზეთების გამომცემლობა „საშრობლოს“ სტამბა,
380009, თბილისი, შ. კოსტავას 14

ახალი დრო, ახალი ამოცანები

პატივცემულო მკითხველო, მოგესხნებათ ეს ჩვენი უკვე საკმაოდ ასაკოვანი ჟურნალი „სამართალი“, ის პერიოდული გამოცემაა, სადაც ნათლად ჩანს საქართველოში იურიდიული აზროვნების პოტენციალი.

ახალი 93 წლის დამდეგს უპრიანია ორიოდ სიტყვის თქმა მის აკარგია-ნობაზე, წარსულსა თუ სასურველ მომავალზე.

რადაც მოსაზრებათა თუ მიზეზების გამო ერთ ხანს ჟურნალის გამოცემა შეწყდა და 36 წლის წინ მან კვლავ იხილა დღის სინათლე. ამ საშვილიშვილო ეროვნულ საქმეში ღვაწლი მიუძღვით აწ განსვენებულ აკადემიკოსებს — იხიდორე დოლიძესა და თინათინ წერეთელს, იმ დროს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, აღდგენილი გამოცემის პირველ რედაქტორს მიხეილ ლომიძეს. თუ არა მათი ძალისხმევა, შეიძლება ხანგრძლივი დროით ოცნებად დარჩენილიყო ჟურნალის განახლების იდეა. მაგალი მათ სახელს ამისათვის.

ჟურნალის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ის, რომ მან გარშემო შემოიკრიბა ავტორთა ფართო წრე, საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის იურისტთა ინტელექტუალური ძალების ამოქმედებას, ხელი შეუწყო ჩვენში მეცნიერული სამართლებრივი აზროვნების ფორმირებას, იურიდიული მეტყველების, ქართული იურიდიული ლექსიკოლოგიის დახვეწასა და სრულყოფას. მან აგრეთვე გარკვეული როლი შეასრულა სამართალშეფარდებითი პრაქტიკის მეტ-ნაკლებად სწორად წარმართვის საქმეში, ხელი შეუწყო უცხო ქვეყნების იურიდიულ წრებთან კონტაქტების დამყარებას და სხვა. ჟურნალმა ბევრი ახალგაზრდა დააკვალიანა, გაუხსნა გზა მეცნიერებისაკენ, არც თუ ცოტა ავტორს მოჰკვარა პირველი პუბლიკაციით გამოწვეული სიხარული, ამასთან თავისი კრიტიკული გამოსვლებით ზოგს სამართლიანად, ზოგს, ალბათ, უსაფუძვლოდაც მიაყენა წყენა, ხდება ზოლმე ასეც პრესის პრაქტიკაში.

მრავალფეროვანი გახდა მისი თემატიკა და სარედაქციო პორტფელი. ჟურნალის ყოველწლიურ ბიბლიოგრაფიაში ნათლად ჩანს მისი პალიტრა, მასში გაშუქებული პრობლემები. შესანიშნავ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა აქტიური მონაწილეობის ფასად ჟურნალმა მკითხველთა და სპეციალისტთა შორის უდაოდ მოიპოვა დამსახურებული აღიარება. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ცხოვრების გზა არ ყოფილა მხოლოდ მწვანე შუქით განათებული და ია-ვარდით მოფენილი. არცთუ ისე იშვიათად უხდებოდა მას სიმძნელების გადალახვაც, პოზიციური ხასიათის წინააღმდეგობათა დამძევა. ტოტალურ-მბრძანებლური რეჟიმის პერიოდში მას არა ერთხელ გადახდენია თავს ოფიცი-ოზიდან მოდენილი რისხვა. იდეოლოგიურ მამათა წყალობით ზოგჯერ ჟურნალი დახურვის საშიშროების წინაშეც მდგარა, მაგრამ მან ღირსეულად გაუძლია დროის გამოცდას. ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობა და წარმატება გარკვე-

20.2.81

3
სამართალი
ქართული
ბიბლიოთეკა



ულ წილად განაპირობა რედაქციის თანამშრომელთა, მისი 25 წლოვანი რედაქტორის, შესანიშნავი კალმოსნის, მრავალი პუბლიკაციის ხელმოწერად. თანამშრომელთა ბ-ნ ოთარ კაციტაძის მიერ დაუღალავად გაწეულმა შრომამ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ბ-ნ ლერი თალაკვაძის სული, გულწრფელად და მთელი რუდუნებით იშრომა მან ამ ასპარეზზე.

ბ-ნ თევდორე ნინიძის ჟურნალში მოღვაწეობას რედაქცია გამოხატავს მისდამი მიძღვნილ მისაღმებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე წარსულს განეკუთვნება. ახლა საჭიროა ჟურნალის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა, რამდენადაც საამისოდ ბევრი რამაა გასაკეთებელი. რედაქციას მიაჩნია, რომ ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე ცხოვრებამ, მისმა დღევანდელმა ასავალ-დასავალმა, მრავალი სამართლებრივი ხასიათის პრობლემატიკა დააყენა დღის წესრიგში, რომელთა გააზრება იურიდიული საზოგადოებრიობის უპირველესი ამოცანა და მოვალეობაა. ამიტომ, უბრალოდ კი არ უნდა მისდოს მან მოვლენებს და ხელისუფლების ე. წ. სამართლებრივი ნების რეგისტრატორის როლი შეასრულოს, არამედ მისი სამსახურებრივი და პროფესიული როლი უნდა გამოვლინდეს სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მოთხოვნათა შესაბამისი იურიდიული საფუძვლების შემუშავებასა და საკანონმდებლო წინადადებათა დროულად წამოყენებაში.

დღეს რესპუბლიკაში ინტენსიურად მიმდინარეობს ეროვნული სამართალ-შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამასთან, ეს არ ნიშნავს თვითშემოქმედებას, მსოფლიო საკანონმდებლო გამოცდილების გაუზიარებლობას. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე იურიდიული პრობლემები მაღალ პროგრესულ საერთაშორისო ურთიერთობათა სტანდარტების შესაბამის დონეზეა გადასაწყვეტი. ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი მეცნიერული ძალების და ცოდნის ყოველმხრივი მობილიზაცია, წარსული პრაქტიკის გონივრულად გამოყენება. მისაღებია მთელი რიგი ფუნდამენტური კანონებისა, უწინარესად სახელმწიფოს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია, რომლის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური, სოციალ-კულტურული თუ სამართლებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი კანონმდებლობის მთელი სისტემა.

ზაზგასმით აღსანიშნავია, რომ ამჟამად საზოგადოება, ცალკეული ინდივიდი სამართლებრივად თითქმის სრულიად დაუცველია. რესპუბლიკაში შექმნილი კრიმინოგენური ვითარების გამო გადაუღებლად უნდა გაანალიზდეს დამნაშავეობის მიზეზები და სახელმწიფო დონეზე შემუშავდეს მართლწესრიგის დასამყარებლად რადიკალური ღონისძიებების პროგრამა, კანონიერების დაცვის გარანტიით.

დღევანდელი სამართალშეფარდებითი პრაქტიკა არანაირად არ შეესაბამება ჩვენი სოციალური ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს. ამიტომ უცილობელი საჭიროებაა სასამართლო რეფორმის გატარება, რაც ერთდროულად ითვალისწინებს სამართლის სხვადასხვა დარგებში ახალი კოდექსების შემუშავებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით საამისო მუშაობას საკმაო ხანია ეწევა სამთავრობო კომისია, მის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის მეცნიერ-პრაქტიკოსი იურისტები, ამასთან კომისიას მართებს უფრო ინტენსიური საქმიანობა, რომ დროულად და ეფექტიანად წარმართოს რეფორმის პროცესი.

ცივილიზებულ საზოგადოებაში პრესა მიჩნეულია მე-4 ხელისუფლებად. ამ დებულებიდან გამომდინარე, რედაქცია თავს ვალდებულია თვლის მომავალშიც დაიკავოს ობიექტური, უკომპრომისო პოზიცია კანონიერების დაცვის სადაზღვეოზე. იგი გულდასმით შეისწავლის მოსახლეობის განცხადებებს, საჩივრებს, წერილებს და პირუთენელად გამოთქვამს თავის შეხედულებას მათ მომართვებთან დაკავშირებით; ცდას არ დააკლებს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ათეული წლების მანძილზე ქვეყანაში სამართლიანობის იდეის დევაღაცია, ყველა დონეზე გაუკუღმართებულმა კანონშეფარდებითმა პრაქტიკამ, თუ ინდივიდის შემზღუდველი ტოტალური ნორმების არსებობამ, ადამიანებს სამართლისადმი რწმენა დაუკარგა და სამართლებრივი ნიჰილიზმი წარმოშვა.

ჟურნალი შეეცდება თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ ნეგატიური გამოვლინებების აღმოფხვრის საქმეში. თანამიმდევრულად იზრუნებს ადამიანებში სამართლისადმი რწმენის დაბრუნებისათვის, მოსახლეობაში სამართლებრივი კულტურის დანერგვისათვის.

ჟურნალი სისტემატურად გამოაქვეყნებს ნორმატულ მასალას, ინფორმაციებს სამართალდამცავი დაწესებულებების საქმიანობის შესახებ; ტრიბუნას დაუთმობს ნებისმიერ მოქალაქესა და საზოგადო მოღვაწეს, კრიტიკანობის გარეშე გაბედულად გამოთქვას თავისი მოსაზრება და დამოკიდებულება სახელმწიფო მმართველობის პრაქტიკის მიმართ, მიმდინარე პოლიტიკური თუ სამართლებრივი ცხოვრების შესახებ.

ჟურნალის ფურცლები დაეთმობა პერსონალებს, სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრს. დასტამბულ მასალებში დაცული იქნება ავტორისეული სტილი.

ამასთან დავემენტ, რომ რედაქცია პასუხს არ აგებს პუბლიკაციაში მოტანილი ფაქტების უზუსტობებზე. აგრეთვე შესაძლებელია ჟურნალი რიგ შემთხვევებში არ იზიარებდეს ავტორების პოზიციას.

ამიერიდან ჟურნალის დამფუძნებელია რესპუბლიკის სამართალდამცავი დაწესებულებები, მათი პროფესიულად გამაერთიანებელი იურისტთა კავშირი. იმედია, ეს უწყებები ყოველმხრივ ზრუნვასა და ყურადღებას არ მოაკლებენ ჟურნალს.

დღე, სვებდნიერი ყოფილიყოს ჟურნალისათვის, თქვენთვის, ძვირფასო მკითხველებო, კოლეგებო, დამდეგი 1993 წელი.

თავმოკრე ნინიძე

მართლწესრიგი, კანონიერება და პროკურატურის ამოცანები*

გასული წლის შედეგებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა აანალიზებს არაორდინალურ, საგანგებო ვითარებაში. ქვეყანაში მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პროცესები, რომლებიც ორგანულად უკავშირდება ერთი მხრივ, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლას; მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბებას, რამაც ქვეყანა ახალ სულიერ სიმაღლეებს და ღირებულებებს უნდა აზიაროს.

ქვეყნის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ეს პროცესი მიმდინარეობს დიდი ტკივილებით, ურთულესი საგარეო და საშინაო პრობლემების ფონზე, რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს სამართლებრივ ცხოვრებაზე, პროკურატურის, როგორც სამართალდაცვის ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე.

დღევანდელი შეხვედრის მიზანია გავისივრძეგანოთ საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობის პრობლემები, რაც ალბათ შეუძლებელია დამნაშავეობის მდგომარეობის თუნდაც ზედაპირული ანალიზის გარეშე.

რაც დამნაშავეობის მდგომარეობის მიხედვით საქართველოში ხდება, როდია დამნაშავეობის მხოლოდ მატება. დამეთანხმებით თუ ვიტყვი, რომ საქმე გვაქვს დამნაშავეობის ზეგავისებურ ზრდასთან. იგი წალეკვით ემუქრება ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი არსებობის მატერიალურ და სულიერ საყრდენებს. ამის დასტურია დამნაშავეობის ინტენსივობის, დამნაშავეთა აქტივობისა და ორგანიზებულობის, დამნაშავეობის სოციალური და ტერიტორიული გავრცელების მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების ანალიზი მნიშვნელოვანწილად მიგვანიშნებს, ერთი მხრივ, დამნაშავეობის ძირითად მიზეზებზე და მეორე მხრივ, ჩვენი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე.

გასულ წელს წინა წლებთან შედარებით დანაშულობათა საერთო ოდენობა ათი პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით შემამფოთებელი ისაა, რომ დამნაშავეობის ზრდა ხდება მძიმე დანაშაულის კატასტროფული ზრდის ხარჯზე 1991 წელთან შედარებით მძიმე დანაშაულის ოდენობა გაზრდილია 86 პროცენ-

* მოხსენება წაკითხულია 1993 წლის 11 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის ვაფართოებულ სხდომაზე.

ტით და მისი ზვედრი დამნაშავეობის საერთო სტრუქტურაში შეადგენს 33 პროცენტს.

ფაქტების ოდენობასა და მის სოციალურ შედეგებზე რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს, საჭიროა მოვიშველიოთ დამნაშავეობის კოეფიციენტის მაჩვენებელი. თუ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც ცხადია ზუსტი არ არის, დამნაშავეობის კოეფიციენტი ყოველ ათი ათას მოსახლეზე შეადგენს 44,3 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დამნაშავეობისაგან უშუალოდ ზარალდება ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი.

ერთნაირი ინტენსივობით იზრდება როგორც სახელმწიფოს ისე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი: სახელმწიფო ქონების ქურდობა გაზრდილია 71 პროცენტით, განზრახ მკვლელობა — 80 პროცენტამდე. ეს მაჩვენებლები ნათლად მიუთითებენ დამნაშავეობის სოციალურ მიმართულებებზე. შემამოფოთებელია და ბევრის მთქმელი დამნაშავეობის მოტივაციის მაჩვენებელი: დანაშაულის საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტს ანგარებითი დანაშაული შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2 631 პირის მიერ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ დამნაშავეთა დიდ აქტივობაზე.

საგულისხმოა დანაშაულის ჩამდენ პირთა წრე და დამნაშავეობის გეოგრაფია. დამნაშავეთა ორმოც პროცენტზე მეტს 14-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ, რამაც არ შეიძლება მთელი სერიოზულობით არ დაგვაფიქროს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ახალგაზრდა თაობის, ჩვენი შვილების ბედი. საგულისხმოა, რომ დამნაშავეთაგან 38 პროცენტი არის შრომისუნარიანი, რომელიც არსად არ სწავლობს ან არ მუშაობს.

თუ კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით იმ გარემოებას, რომ წლის განმავლობაში ოფიციალურად აღრიცხულია 937 მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, არაფერს ვამბობ კონფლიქტების რეგიონებში აღურიცხავად დახოცილებზე, ნათელი წარმოსადგენია თუ რა ღირებულებებითი ორიენტაციებით არსებობს ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რა ღირებულებებმა განიცადეს დევალიზაცია.

დანაშაულობათა საერთო ოდენობა გაზრდილია ყველგან, მათ შორის ტრადიციულად მშვიდ რაიონებში; დანაშაული მკვეთრად გაიზარდა ქვეყნის 48 ქალაქსა და რაიონში, მათ შორის განსაკუთრებით გარდაბნის, გორის, დმანისის, ღუშეთის, ზუგდიდის, ყვარლის, მცხეთის, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, ქ. თბილისის დიდუბის, ნაძალადევის, ისნის, საბურთალოს რაიონებში, ქალაქებში — თბილისში, ქუთაისსა და ფოთში.

მიმე კატეგორიის დანაშაულმა საგრძნობლად იმატა 50-მდე ქალაქსა და რაიონში, მათ შორის გარდაბნის, გურჯაანის, ქარელის, მარნეულის, საგარეჯოს, ზუგდიდის; ზესტაფონის, სამტრედიის, თერჯოლის, წყალტუბოს რაიონებში, რუსთავეში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

53 ქალაქსა და რაიონში გაზრდილია განზრახ მკვლელობათა რიცხვი, მათ შორის მკვეთრად ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, ღუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, თიანეთის, ქ. თბილისის დიდუბის, ჩუღურეთის, სამგორის, ისნის რაიონებში, საერთოდ თბილისში, რუსთავეში, ტყიბულსა და ჭიათურაში, 60-მდე რაიონში გაზრდილია ყაჩაღობა, მათ შორის მკვეთრად, გარდა დასახელებული რაიონებისა, ოზურგეთის, ხაშურის, წალენჯიხის, ჩხორიწყუს, თბილისის კრწანისის რაიონებში. 46 ქალაქსა და რაიონში გაზრდილია სახელმწიფო ქონების, ხოლო 35 რაიონში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის შემთხვევები. ასეთია ზოგადად დამნაშავეობის გეოგრაფია.

დამნაშავეობის ამგვარი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილება განაპირობა მიზეზთა კომპლექსმა, მისი დეტალური ანალიზი სცილდება ამ დოკუმენტის ჩვენი შეხვედრის მიზანს, ისე ალბათ საერთოდ სამართალმცოდნეთა კომპლექსციას. რა თქმა უნდა, დამნაშავეობის დიდი აფეთქება საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როცა საზოგადოება ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადადის, ისტორიისათვის კარგად ცნობილი მოვლენაა, მაგრამ ამით თავის დამშვიდება, მოვლენების თავის ნებაზე მიშვება, მიმნებებლობა, ხშირად დანაშაულის ტოლფასია, რასაც არაყინ გვაპატიებს.

დღეს, როცა ქვეყანაში მძიმე კრიმინოგენურ ვითარებას ვიხილავთ პროკურატურის საქმიანობასთან კავშირში, უპრიანია ვიმსჯელოთ დამნაშავეობის ზრდის სოციალურ-სამართლებრივ ფაქტორებზე ანუ 1) იმ შეცდომებსა და დარღვევებზე, რომლებიც სახეზეა სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის პროკურატურის მუშაკების საქმიანობაში იურიდიული და ორგანიზაციული ნორმების დაცვის და შესრულების თვალსაზრისით, 2) სამართალდარღვევებთან ბრძოლაში სამართლებრივი და ორგანიზაციული საშუალებების არასაკმარის ეფექტურობაზე, 3) სამართლებრივი რეგულირების ხარვეზებზე.

პირველი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-სამართლებრივი ფაქტორი, რომელიც ხელს უწობს დამნაშავეობის კატასტროფულ ზრდას, სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის აუცდენლობის პრინციპის უგულვებლყოფაა. ეს პრინციპი უგულვებლყოფილია თითქმის ყველაფერში და განსაკუთრებით დამნაშავეების მიმართ.

დავიწყოთ იმით, რომ დანაშაულობათა დიდი ნაწილი არ აღირიცხება, შინაგან საქმეთა ორგანოებში აღმოფხვრილი არ არის დანაშაულის აღრიცხვიდან მიჩქმალვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა. თითქმის არ არის რესპუბლიკაში ქალაქი და რაიონი, სადაც დანაშაული არ იფარებოდეს, განსაკუთრებით გავრცელებულია ეს პრაქტიკა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდის, გორის, ხაშურის, გარდაბნის და სხვა რაიონებში. გასულ წელს ქალაქებისა და რაიონების პროკურორების მიერ დამატებით აღრიცხვაზე აყვანილია 476 დანაშაული, მათი დიდი ნაწილი მოდის ქონებრივ, ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე. გასულ წელს ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების მიზნით ოცჯერ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოზე, ცხრაჯერ ონკოლოგიურ ცენტრზე, რვაჯერ ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის ინსტიტუტზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დრულად უცნობებიათ ამ ფაქტების შესახებ ქ. თბილისის ვაკის, საბურთალოს და ჩუღურეთის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებისათვის, არცერთი ფაქტი აღრიცხული არ ყოფილა. ცნობილია, რომ დანაშაული იმალება მაშინ, როცა არ ძალუძთ ან არ სურთ მისი გახსნა, რეაგირება ასეთ შემთხვევებზე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე პროკურატურის მხრივ არ არის პრინციპული, ზოგჯერ ხედმეტად ლოიალურია. მართალია პროკურორების წარდგინებათა საფუძველზე დანაშაულის აღრიცხვის საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის დისციპლინური წესით დასჯილა პოლიციის 150-მდე მუშაკი, მაგრამ იშვიათად დგება საკითხი შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ და როგორც იტყვიან, ჯოხი ტყდება რანგით დაბალ თანამშრომელზე. ხშირად პროკურორები თავს არიდებენ საქმეთა აღძვრას დანაშაულის დამძალავი პირების მიმართ და კმაყოფილდებიან წარდგინებათა შეტანით იმ ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან, ვინც თავად

არის ამის ხელშემწყობი. გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს ბ-ნ ვახტანგ გვარამიას, საგამომიებო სამმართველოს უფროსს ბ-ნ რამაზ ჟღერტს უფროსის მოადგილეს ბ-ნ თემურ მარგებაძეს მართებთ მუშაობის კარდინალური გარდაქმნა ამ საქმეში საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების, დანაშაულის დამალვის თითოეულ ფაქტზე მკაცრი სამართლებრივი რეაგირების ორგანიზაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

დანაშაულის დამალვის პრაქტიკა დღეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. იგი გვევლინება კორუფციის წყაროდ, ხელსაყრელ ნიჟარად სჯის სხვა დანაშაულობათა ჩასადენად, მოსახლეობაში აძლიერებს უნდობლობას სამართალდაცვის ორგანოებისადმი, რასაც თვითგასამართლებებამდე, ადამიანთა ელემენტალური უფლებების დარღვევამდე, განუკითხაობამდე მივყავართ.

ამგვარი საზოგადოებრივი საშიშროების ფონზე მინდა მივიპყრო იმ რაიონების პროკურორების ყურადღება, რომლებსაც გასულ წელს არ გამოუვლენიათ მიჩქმალული დანაშაულის არცერთი შემთხვევა. მხედველობაში მაქვს ჩოხატაურის (პროკურორი თ. სიხარულიძე), ახალქალაქის (პროკურორი გ. რაისიანი), თეთრიწყაროს (პროკურორი ა. ხუციშვილი), დუშეთის (პროკურორი ე. ბადრიძე), ახალგორის (პროკურორი თ. ლაფიბაშვილი) რაიონები. უნდა გითხრათ, რომ თქვენი სტატისტიკა დამაჯერებელი არ არის და ალბათ საქმე მხოლოდ სტატისტიკაში როდია. საგამომიებო სამმართველო საჭიროა სპეციალურად დაინტერესდეს ამ რაიონებით. ასევე საგამომიებო სამმართველო უნდა დაინტერესდეს იმ რაიონებით, საიდანაც შეინიშნება დამნაშავეობის აღრიცხვაში ხელოვნური მანიპულირების ნიშნები. ვიმეორებ, დამნაშავეობის სწორი აღრიცხვა თავისთავადი მნიშვნელობის საქმე არ არის, იგი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის სწორად წარმართვაში პროკურორებმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან.

როცა დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე, დანაშაულის ლატენტობაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ გარემოებას, რომელიც ყველაზე ნათლად მიგვანიშნებს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის უსუსურობაზე. ამჟამად, როცა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო, ქვეყანაში შექმნილია ანგარებათა ესოდენ ხელსაყრელი პირობები, გასულ წელს გამოვლენილია მექრთამეობის მხოლოდ 3 ფაქტი. (აბაშის, ხაშურის, თბილისის ჩუღურეთის რაიონებში). ასეთი სტატისტიკის ფონზე სისხლის სამართლებრივი პოლიტიკაზე სერიოზული საუბარი, სულ ცოტა, ღიმილისმომგვერელია.

იმისათვის, რომ მეტი წესრიგი და მომთხოვნელობა შევიტანოთ დამნაშავეობის სწორი აღრიცხვისა და რეგისტრაციის სფეროში, საჭიროა პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ კანონით გათვალისწინებული ფუნქციური მოვალეობებისათვის მომთხოვნელობის გაზრდასთან ერთად, გავიხსენოთ ურთიერთ თანამშრომლობის აპრობირებული ფორმები; საჭიროა ცენტრალური აპარატების მუშაკების მონაწილეობით შეიქმნას ერთობლივი სპეციალური კომისია, რომელიც მერჩვეით პერიოდულად შეამოწმებს ამა თუ იმ რაიონში დანაშაულობათა სწორი აღრიცხვისა და რეგისტრაციის რეალურ ვითარებას. ვაგალებ ბ-ნ ვახტანგ გვარამიას და ბ-ნ რამაზ ჟღერტს უახლოეს დღეებში უზრუნველყონ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ამგვარი კომისიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი.

მეორე, კიდევ უფრო სერიოზული ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყანაში დამნაშავეობისათვის პასუხისმგებლობის ატვირთვას, დაუსჯელობის ატმოსფეროს დამკვიდრებას, არის დანაშაულის გამოძიების მეტისმეტად დაბალი დონე, დანაშაულის გახსნის დაბალი მაჩვენებელი. შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება რჩება სამართალდაცვის ორგანოების უსუსტეს რგოლად, თუმცა მას ყურადღება არასდროს დაკლებია.

გასულ წელს გაუხსნელი დარჩა მთელი აღრიცხული დანაშაულის 72,2 პროცენტი. 1991 წელთან შედარებით დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაუარესებულია 3 პროცენტით. გაუხსნელი დარჩა მძიმე დანაშაულობათა თითქმის 82 პროცენტი, განზრახ მკვლელობათა 79 პროცენტი, ყაჩაღობათა 80 პროცენტი, ავტომანქანის გატაცებათა 83 პროცენტი, იარაღის გატაცებათა 88 პროცენტი. მეტი თვალსაჩინოებისათვის მივმართოთ აბსოლუტურ ციფრებს. გასულ წელს რეგისტრირებულიდან გაუხსნელია 13.406 დანაშაული, მათ შორის 5.557 მძიმე დანაშაული, გაუხსნელია 517 განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, 2.446 ყაჩაღობა, 201 ძარცვა, 3.123 სახელმწიფო ქონების ქურდობა, 3.328 პირადი ქონების ქურდობა, 545 ავტოსაგზაო შემთხვევა, მათ შორის 187 ადამიანის მსხვერპლით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ წელს რეგისტრირებულია სულ 24.172 დანაშაულის ფაქტი; ამ ფაქტებიდან გამოვლენილია მხოლოდ 6.547 პირი, რომელთაგან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 4.252 ანუ 65 პროცენტი, ნათელი გახდება ჩვენი სისხლის სამართლის პოლიტიკის როგორ თანმიმდევრულობასთან გვაქვს საქმე.

თუ დანაშაულის ზრდა მნიშვნელოვანწილად შეიძლება აიხსნას ქვეყანაში არსებული ობიექტური ფაქტორებით, დანაშაულის გაუხსნელობის ძირითადი მიზეზები ალბათ მეტწილად საძიებელია სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობაში.

დანაშაულის გაუხსნელობის მაჩვენებელმა ქვეყანაში ისეთ ტოტალურ ხარისხს მიაღწია, საჭიროა ვიფიქროთ გამოძიების სფეროს რადიკალურ რეფორმებზე, მაგრამ ვიდრე ეს რეფორმები მომხდარა, რაშიც ალბათ მეტი სიდინჯე და აუჩქარებლობა გვმართებს, მართებული იქნება იმ დავიწყებული ძველი ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების გახსენება, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში დადებით შედეგებს იძლეოდნენ.

პირველი ასეთი მიმართულება გამოძიების და გამოძიებაზე ზედამხედველობის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებაა. როგორი იერარქიაა გამოძიების ხაზით ჩვენი პროკურატურის სისტემაში?! პირველ საფეხურზე გამოძიებელი ან სტაჟიორ-გამომძიებელი დგას, შემდეგ უშუალოდ ზედამხედველი რაიონის ან ქალაქის პროკურორი, ზოგან ამ უკანასკნელის მოადგილე, შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებო სამმართველოს შესაბამისი განყოფილების პროკურორი, შემდეგ საგამომძიებო სამმართველოს შესაბამისი განყოფილების უფროსის მოადგილე, საგამომძიებო სამმართველოს განყოფილების უფროსი, საგამომძიებო სამმართველოს უფროსი, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, გენერალური პროკურორი. რა ეკისრება ესოდენ მრავალსაფეხურიან იერარქიას? ყოველ ზედამხედველ პროკურორს გააჩნია შესაბამისი მოვალეობანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საქმის თავის დროზე და ხარისხიანი გამოძიება, საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილება. რა ხდება სინამდვილეში? პროცესის ძირითადი ფიგურა გამოძიებელი ჩვენთან და-

ტოვებულა ჯეროვანი დახმარების, საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე ხშირად არასაკმარისი კვალიფიკაციის თუ უპასუხისმგებლობის გამო ჩვენი მომძიებლები ჯეროვნად ვერ ასრულებენ ისეთ პროცესუალურ მოქმედებას, რომელზედაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის ბედი — შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ვერ ავლენენ მატერიალურ მტკიცებულებებს, უხარისხოდ ახდენენ კვალის დაფიქსირებას, დამაგრებას, ამოღებას, ბევრი მათგანი ვერ იყენებს კრიმინალისტურ ტექნიკას, არ იცნობს და ვერ ფლობს ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისათვის საჭირო ჩვევებს, მეთოდებს და ტექნიკას.

ვინ უნდა იმუშაოს კონკრეტულად გამოძიებელთან, ვინ უნდა შეამოწმოს მის მიერ გამოტანილ დადგენილებათა სისწორე და კანონიერება, თუ არა ორმა ფიგურამ, ვისაც ეს სახელმწიფოებრივად ევალება — რაიონის პროკურორმა და პროკურატურის განყოფილების პროკურორმა, რომელსაც ტრადიციულად ზონის პროკურორს ვუწოდებთ.

ჩვენ სერიოზულად მოვთხოვთ პასუხს იმ ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს, რომლებიც არ გადიან შემთხვევის ადგილებზე, საჭირო კონტროლსა და ზედამხედველობას არ უწევენ გამოძიებას, არ ეხმარებიან გამოძიებლებს ვერსიების შემუშავებაში, საგამოძიებო-ოპერატიული გეგმების შედგენაში, არ აძლევენ მათ დავალებებსა და წერილობით მითითებებს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების შესრულების შესახებ ან თუ აძლევენ, არ ამოწმებენ მათი შესრულების მიმდინარეობას.

შევხედოთ, როგორი დატვირთვით მუშაობს ჩვენი საგამოძიებო სამსახური დღეს! უკანასკნელი 5 წლის მანძილზე გამოძიებელთა საშუალო დატვირთვა შემცირდა თითქმის ორჯერ და თითოეულ გამოძიებელზე შეადგინა 0,5 საქმე. შინაგან საქმეთა ორგანოებში კი ეს მაჩვენებელი ორჯერ მაღალია, შეადგენს 1,1 საქმეს. გამოდის, რომ პროკურატურის გამოძიებელი საშუალოდ ორ თვეში ერთ საქმეს ამთავრებს. ამ მხრივ უფრო დამაფიქრებელი მდგომარეობაა პროკურატურის ცენტრალურ აპარატში, სადაც დატვირთვა 0,2 საქმეს შეადგენს და სამხედრო პროკურატურაში — 0,1 საქმეს. ცხადია, სტატისტიკა ვერ ასახავს იმ ტექნიკურ თუ სხვა სიძნელეებს, რაც თან ახლავს გამოძიებლის შრომას, მაგრამ ეს მაჩვენებლები თავისთავად გვეკარნახობენ შესაბამისი დასკვნების და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას.

განსაკუთრებით ცუდია დანაშაულის განხნის მაჩვენებლები სამტრედიის რაიონში (26,4), კასპის რაიონში (28,6), ჭიათურაში (30,8), დმანისის, გარდაბნის, ოზურგეთის, ცაგერის, ახალციხის, ხაშურის, ამბროლაურის და სხვა რაიონებში. დასახელებული რაიონების პროკურორებმა დღევანდელ თათბირს უნდა მოახსენონ ამგვარი ვითარების მიზეზებზე და ღონისძიებებზე, თუ როგორ აპირებენ ისინი შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას.

გარდა აღნიშნული რაიონებისა საერთო გაუხსნელობის ყველაზე არასახარბიელო მაჩვენებლებია თბილისში (78 პროცენტი მთელი დანაშაულისა გაუხსნეულია), ბაღდათის (78), სენაკის (77), ქარელის (75), ზესტაფონის (75), გორის (74), აჭარის (74), თერჯოლის (74), გურჯაანის, მარნეულის და სხვა რაიონებში.

საჭიროა რადიკალურად გარდაქმნას მუშაობა საგამოძიებო სამმართველომ და გამოძიების კურატორმა, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ. უნდა შემუშავდეს გამოძიებისადმი კონტროლის და ორგანიზაციული ხელ-



მძღვანელობის ახალი ნორმატიული ბაზა გენერალური პროკურორის
 ლური ბრძანებებისა და მეთოდური მითითებების სახით. ამჟამად ასევე
 ტული ბაზა ჩვენ არა გვაქვს. ამიტომაც ახლებურ პირობებს უნდა შევუხამოთ
 კონტროლის ის აპრობირებული მეთოდი, რაც ათეული წლების მანძილზე საპროკურორო
 ზედამხედველობის მეცნიერებას და პრაქტიკას შეუძუშავებია. საჭიროა საქმის
 გამოძიების შეჩერების, შეწყვეტის, ყოველი დადგენილება შეისწავლოს პირადად
 ქალაქების, რაიონების პროკურორებმა და შესაბამისმა ზონის პროკურორებმა;
 ყოველ უსაფუძვლო შეჩერებასა და შეწყვეტაზე საჭიროა გამოძიებელთან ერთად
 პერსონალურად აგოს პასუხი, როგორც რაიონის, ისე ზონის პროკურორმა. ამ უკანასკნელს
 უნდა დაუბრუნდეს ტრადიციული უფლებამოსილებანი და დაეკისროს კუთვნილი
 პასუხისმგებლობა შესაბამის უბანზე შექმნილი ვითარებისათვის.

აუცილებელია დაკისრებულ მოვალეობას სერიოზულობით მოეკიდოს საგამოძიებო
 სამმართველოს ახალშექმნილი ანალიტიკური ჯგუფი. ეს ჯგუფი, ისე როგორც
 ცენტრალური აპარატის ანალოგიური სტრუქტურული ერთეულები, ქაღალდმთხველობისათვის
 არ შექმნილა. მისი მიზანია სისტემატურად გააანალიზოს ზონის პროკურორებისაგან
 მიღებული კონკრეტული მასალა, გვაჩვენოს ტენდენციები, ტიპური შეცდომები,
 დარღვევები ცალკეული კატეგორიის საქმეების გამოძიებისას, სერიოზული
 დარღვევები განხლოს საგამოძიებო სამმართველოს, დარგის კურატორის,
 პროკურატურის კოლეგიის მსჯელობის საგნად; შეიმუშაოს მეთოდური რეკომენდაციები,
 წარმოადგენდეს საქმიან წინადადებათა ერთგვარ გენერატორს საგამოძიებო
 პრაქტიკის სრულყოფისათვის. საჭიროა გამოძიების სამმართველოს ანალიტიკური
 ჯგუფი მეტი ინტერესით მოეკიდოს სასამართლოების მიერ წინასწარ
 გამოძიებაში დაბრუნებულ საქმეებს.

საგამოძიებო სამმართველოს მუშაობის წესი უნდა აეწყოს ისე, რომ იგი მოვლენების
 დაგვიანებული ფიქსატორიდან იქცეს გამოძიებაზე ზედამხედველობის რეალურ
 ძალად. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ამას წინათ კოლეგიის მსჯელობის
 საგნად იქცა მხოლოდ დაზარალებულის განცხადების საფუძველზე. 1991 წლის 29
 ოქტომბერს თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურატურაში აღძრულია სისხლის
 სამართლის საქმე მოქ. ზომასურშიძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და
 ზომასურშიძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე. საგულისხმოა, რომ ამ მძიმე
 დანაშაულის შემთხვევის ადგილი პროკურორის მონაწილეობის გარეშე დაათვალიერა
 სტაჟიორ-გამომძიებელმა. აღძვრის დღიდანვე ცხადი იყო, რომ პირთა ჯგუფის
 მიერ ჩადენილი იქნა ყაჩაღობა, რომ ყაჩაღები შიარაღებული იყვნენ
 ფეთქებადი იარაღით, რომ მათ ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა ანგარებით.
 ჯერ ერთი გამოძიებელმა არჩვაძემ საქმე აღძრა არასწორი კვალიფიკაციით,
 მეორე, მიუხედავად იმისა, რომ პირველივე დღეებში დაზარალებულებმა ამოიცნეს
 ეჭვმიტანილი ვინმე მეტრეველი, საქმე დიდი გაჭიანურების შემდეგ უსაფუძვლოდ
 შეჩერდა გაუსხნელობის მოტივით 1991 წლის 3 აპრილს. დანაშაულის ჩადენიდან
 ერთი წლის შემდეგ საქმე წარმოებაში მისცეს ისევ, ოღონდ სხვა სტაჟიორ-
 გამოძიებელს — ჭეჟიას, რომელმაც მიმალვაში მყოფი მეტრეველის მიმართ
 გააფორმა აქტი მისი ნებაყოფლობით გამოცხადების ფაქტზე და უკანონოდ
 მის მიმართ გამოიყენა ამნისტიის აქტი. თავად მეტრეველს, ვის მიმართაც
 ამნისტიის აქტი გამოიყენეს, დანაშაულის ჩადენაში თავი ბრალეულად არ უცხნია
 და დაასახელა სხვა პიროვნება. საბოლოოდ მეტრეველის მიმართ საქმე შეწყდა
 ისე, რომ არ დადგენილა, საერთოდ არსებობს თუ არა ბუნებაში პირო-



გნება, ვისზედაც მეტრეველმა მიუთითა. ეს კონკრეტული საქმე ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა ტარდებოდეს გამოძიება, როგორ არ უნდა ზორციელდებოდეს საპროკურორო ზედამხედველობა უშუალოდ პროკურორის, ზემდგომი რგოლის, ამ შემთხვევაში თბილისის პროკურატურის შესაბამისი განყოფილების, პროკურორის მოადგილის, პროკურორის, რესპუბლიკის პროკურატურის შესაბამისი სამსახურების მიერ. აი, როგორ რჩება დანაშული გაუხსნელი, რატომ დაპარპაშობენ მკვლელები, რატომ დადის განაწყენებული ადამიანების მასა წლების განმავლობაში სიმართლის საძიებლად. სამწუხაროა, რომ ვერც პროკურატურის კოლეგია აღმოჩნდა ბოლომდე პრინციპული და იმედი მაქვს თბილისის პროკურატურის კოლეგია ამ ფაქტს ბოლომდე ჩაწვდება და შედეგებს მოგვაზსენებს.

სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაზე, პასუხისმგებლობის გარდაუვალობაზე საუბარი ცხადია ზედაპირული იქნება, თუ არ შევვხებით მართლმსაჯულების საკითხს, პროკურორების მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში. მრავლისმთქმელია მარტივი სტატისტიკური მონაცემები: გასულ წელს რეგისტრირებულ დანაშაულთაგან სასამართლოში წარიმართა მხოლოდ მეხუთედი და განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენების თითქმის ნახევარი უქმდება ან იცვლება ზემდგომი სასამართლოების მიერ. მართო განაჩენების გაუქმების მაჩვენებელმა გასულ წელს 30 პროცენტს მიაღწია, საერთოდ განაჩენების სტაბილობის მაჩვენებელი მხოლოდ 56,8 პროცენტს შეადგენს. არაფერს ვიტყვი კონკრეტულად მოსამართლეების წვლილის შესახებ, ამაზე ალბათ უფრო დაწვრილებით პროკურორის მოადგილე ბ-ნი როლანდ გილიგაშვილი მოგახსენებთ, მინდა ხაზი გავუსვა მხოლოდ პროკურატურის მუშაკთა არათანმიმდევრულ პოზიციებს საქმეთა სასამართლო განხილვის დროს. ასეთი უპრინციპო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ სულ გასულ წელს გაუქმებულია განაჩენები 55 პირის მიმართ, აქედან მხოლოდ 9 პირის მიმართ იყო შეტანილი პროკურორების საკასაციო პროტესტი. არცთუ ისე იშვიათია, როცა პროკურორების მიერ კანონის დარღვევით გამოტანილი განაჩენები არ პროტესტდება და პროტესტდება განაჩენები, რომლებიც კანონის შესაბამისობითაა გამოტანილი. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ გასულ წელს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ მოხსნილია პროკურორების პროტესტები ქუთაისის, ახმეტის, ხაშურის და სხვა რაიონების სასამართლოების განაჩენებზე.

საგულისხმოა, რომ ამავე სასამართლოების, კერძოდ სამტრედიის რაიონის სასამართლოს სამი განაჩენი, ქუთაისის სასამართლოს ორი განაჩენი, ხაშურის სასამართლოს განაჩენი გაუქმდა საკასაციო პროტესტების გარეშე საკასაციო საჩივრების საფუძველზე. ასევე საკასაციო საჩივრების საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, ბორჯომის რაიონის სასამართლოს ორი განაჩენი.

სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში პროკურატურის მონაწილეობის პრობლემა არაერთ საჭირობო და სადისკუსიო ასპექტს მოიცავს, მათი დეტალური განხილვა სცილდება კოლეგიის დღევანდელი სხდომის ამოცანებს. ეს დისკუსიები მომავალი სასამართლო რეფორმის მზადების პერიოდში საჭიროა გაღრმავდეს, გათავისუფლდეს დილემანტური დამოკიდებულებისა და უწყებრივი ამბიციებისაგან. ვიდრე რეალობაა სასამართლოსა და პროკურატურის ამჟამინდელი ორგანიზაცია, პროცესუალური სტატუსი, კატასტროფული კრიმინოგენური ვითარება, პროკურორებისაგან მოითხოვს პერ-



სონალურ პასუხისმგებლობას სასამართლო განხილვისას არჩეული პოზიციისთვის, ამ პოზიციის შესაბამისობას, საქმის სამსჯავრო განხილვის შედეგად საჭიროა პროკურორებმა უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ მოთხოვნათა შესრულება, რომლებიც მათ ავალებთ საკასაციო წესით გააპროტესტონ კანონის დარღვევით გამოტანილი ყოველი განაჩენი და გადაწყვეტილება. ამ მოთხოვნის შესრულებისათვის პერსონალურად აგებს პასუხს როგორც სასამართლო განხილვაში მონაწილე პროკურატურის მუშაკი, ისე შესაბამისი პროკურატურის ხელმძღვანელი. ამასთან უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს საპროკურორო რეაგირება სასჯელის დანიშვნის დასაბუთებულობაზე. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის ბ-ნი ანზორ ბალუაშვილის, პროკურორის მოადგილის ბ-ნი როლანდ გილიგაშვილის ყურადღებას მივაპყრობ კანონით გათვალისწინებულ ამ მოთხოვნათა შესრულების ორგანიზაციულ და იურიდიულ უზრუნველყოფას.

სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაზე მსჯელობა თანმიმდევრული ვერ იქნება, თუ არ შევჩერდებით იმ დაწესებულებებზე, მე ვიტყვოდი, იმ სამყაროზე, სადაც დამნაშავენი სასჯელს უნდა იხდიდნენ. როგორც გასული, ისე მიმდინარე წელი დაიწყო მძიმე ვითარებაში საგამომიებლო იზოლაციებზე, სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებზე შეიარაღებული თავდასხმებით, პატიმრების გაქცევებით. 13 იანვარს, ქსანის № 37-ე მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაიქცა 154 მსჯავრდებული, როცა მძიმე შედეგის გამო მომხდარი დაზინტერესდით, აღმოჩნდა კურიოზული რამ. მსჯავრდებულებმა შეძლეს გაეთხარათ 30 მეტრი სიგრძის, 2 მეტრისა და 30 სმ სიღრმის, ნახევარი მეტრი დიამეტრის გვირაბი. ამოღებულ მიწას პატიმრები აგროვებდნენ სკოლის საკლასო ოთახებში. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ერთი კურიოზული ფაქტი მთელი სიგრძე-სივანით ავლენს თუ რა რეჟიმთან გვაქვს საქმე, ოპერატიულ-სარეჟიმო სამსახურის როგორ დისციპლინასთან. ჩვენ ამ და სხვა ფაქტებზე წარდგინება გავუგზავნეთ შინაგან საქმეთა მინისტრს, დასახელებული ფაქტი, სხვა ფაქტებთან ერთად გახდება კოლეგიის მსჯელობის საგანი, გატარდება სხვა ღონისძიებები. მაგრამ ეს ყველაფერი ცხადია, საქმეს ვერ შველის. საჭიროა დაიგეგმოს და გატარდეს რადიკალური ღონისძიებანი. ეს ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს დაპატიმრებულებთან მოპყრობის იმ სტანდარტული წესების დანერგვას, რომელსაც 1956 წლიდან აღიარებს ცივილიზებული მსოფლიო, ამასთან ხსენებულ დაწესებულებებში დამყარდეს ჯეროვანი წესრიგი და მომთხოვნელობა. სასჯელთა აღსრულებისას კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის განყოფილებას, ბ-ნ გ. გეგეჭკორს, ბ-ნ როლანდ გილიგაშვილს, რომელიც ამ განყოფილებას კურირებს, აქვთ კონკრეტული გეგმა და წინადადებები, რომელთა განხორციელებას ერთგვარი დადებითი შედეგები უნდა მოჰყვეს.

იმ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ პირობებში, რომლებშიც ახლა ჩვენი ქვეყანა იმყოფება, დამნაშავეობამ საზოგადოებისათვის თვისებრივად ახალი სახეები და ფორმები შეიძინა, იმატა სამრეწველო საწარმოებიდან და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებიდან მზა პროდუქციის, ძვირადღირებული ინვენტარის დატაცების ფაქტებმა, კარგა ხანია ფეხმოკიდებულია რეკეტი, ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით, იზრდება უმოტივო მკვლელობების რიცხვი, ფართოვდება კორუფციის ქსელი, ქვეყანაში თვალნათლივია ორგანიზებული დამნაშავეობის ჩამოყალიბების შემთხვევები, რომლის გავრცელების მაშტაბები



ზშირად საქართველოს ფარგლებს სცილდება. ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება ორგანიზებული დამნაშავეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბებულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველოები. ამ შედეგებით ახალ ფორმირებებს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე ეკისრებათ, რაც ითხოვს მაღალ პროფესიულ ოსტატობას, უკომპრომისობას. თუ პროკურატურის, ისე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველო თავის მუშაობას წარმართავს დამნაშავეთა ჯგუფების გამოვლენისა და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებების მიმართულებით, ეს ცხადია შედეგებით მარტივი, ემპირიული საქმიანობა იქნება. რისთვისაც ეს ფორმირებები მოწოდებული არ არიან. ორგანიზებული დანაშაული ჩვენ გვესმის როგორც პირთა მყარი, იერარქიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობა, მართვის მრავალსაფეხურიანი სისტემით, შექმნილი ანგარებითი დანაშაულის სისტემატურად ჩასადენად, რომელსაც გააჩნია დაცვის თავისი სისტემა კორუმპირებული კავშირების მეშვეობით. ორგანიზებული დანაშაულისათვის დამახასიათებელია ჯგუფებს შორის როლების დანაწილება, ერთგვარი კოოპერირება და ამ საქმიანობაში სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობა, რისთვისაც საქართველოში ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის სამართლებრივი ნიჰილიზმის, სახელმწიფო სრუქტურებში ფეხმოკიდებული კორუმპირებული ელემენტების არსებობის გამო ხელსაყრელი ნიადაგი არსებობს. შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც ფართოდ შეაღწიეს ეკონომიკის სფეროებში, კორუმპირებული ელემენტების მეშვეობით ურთულსი პრობლემების წინაშე დააყენეს ქვეყანა. ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლას ესაჭიროება პოლიტიკური და იურიდიული ბაზა. პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დაიშალოს ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირება. აქ აუცილებელია საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიის სოლიდარობა, რა მრწამსის და შეხედულებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, თუ გნებავთ, საჭიროა ახალი პოლიტიკური მოძრაობა, რომლის სტრატეგიული ამოცანა იქნება საქართველოს ეკონომიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური სტრუქტურების და მოქალაქეთა დაცვა ორგანიზებული ხელყოფისაგან. საჭიროა ამ მიმართულებით ხმა აღიმადლოს საქართველოს პარლამენტმა, მანვე მიიღოს აუცილებელი იურიდიული აქტები კორუფციის წინააღმდეგ, კანონი სახელმწიფო მოსამსახურის შესახებ, რომელიც შექმნის სახელმწიფო მოსამსახურის, მათ შორის სამართალდაცვის ორგანოების მუშაკების სამეწარმეო საქმიანობის, სამეწარმეო საქმიანობასთან კავშირის კონტროლის შესაძლებლობას. პროკურატურა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით პარლამენტს წარუდგენს ამ კანონ-პროექტებს. არაერთ ქვეყანაში აკრძალულია ან შეზღუდული იმ პირთა კომერციული სამეწარმეო საქმიანობა, ვინც სახელმწიფო სამსახურშია. მით უფრო, როცა საუბარია სამართალდაცვის მუშაკებზე. ეს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ერთერთი ღონისძიებაა, რომელიც მიმართულია ერთი მხრივ, კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დანერგვისათვის, მეორეს მხრივ, კორუფციის წინააღმდეგ.

საკუთრების ახალი ფორმების დანერგვა თვისებრივ ზეგავლენას ახდენს საპროკურორო საქმიანობის ისეთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე როგორცაა საერთო ზედამხედველობა. ვიდრე არსებობს სახელმწიფო საკუთრება, როგორც საკუთრების ფორმა, ბუნებრივია, იარსებებს საერთო ზედამხედველობაც,



მაგრამ საერთო ზედამხედველობა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს საქმიანობის მიმართულებას, რომელიც ხელს შეუწყობს სრულფასოვანი საბაზრო ეკონომიკის თიერთობების ჩამოყალიბებას. დღეს და მომავალში სამეურნეო საქმიანობას ცხადია არ ესაჭიროება ისეთი ტოტალური ზედამხედველობა, როგორც წარსულში იყო. თანამედროვე პირობებში იგი ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო საკუთრების სფეროში წარმოშობილ ურთერთობების კანონიერებასთან.

დეტალურად არ შეგჩერდები ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის ანალიზზე, მხოლოდ ზოგადად შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, წინა წელთან შედარებით წარმოებული იქნა 58 მილიარდი მანეთით ნაკლები სამრეწველო და 14 მილიარდი მანეთით ნაკლები სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუარესება. რესურსების უქონლობის გამო ჩერდება ბევრი საწარმო, იზრდება უმუშევრობა, ყალიბდება მძიმე კრიმინოგენური პირობები.

საომარმა ვითარებამ, ექსტრემალურმა პირობებმა, ეკონომიკური ურთიერთობების ცვლამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო კანონის დისკრედიტაციას მძაროველობით ურთიერთობებში, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოები ინერტული გახდა, დაქვეითდა საერთო ზედამხედველობითი აქტივობა, პროკურორები არ შეიძლება განზე იდგნენ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებული მოვლენებისაგან, ხელს უნდა უწყობდნენ ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს. განა დასაშვებია ის გარემოება, რომ იჯარის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა არ შემოწმებულა ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, დმანისის, საგარეჯოს, სამტრედიის და სხვა რაიონების პროკურორების მიერ? როგორ უნდა შეფასდეს ახალციხის, ყვარლის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, პროკურორების მუშაობა საერთო ზედამხედველობის ხაზით, როცა მათ, სამმართველოს ცნობის მიხედვით არ შეუძლონ მათ არცერთი საკვანძო საკითხი, მათ შორის სახელმწიფო საკუთრების შესახებ კანონების დაცვის მდგომარეობაც?

საპროკურორო რეაგირების გარეშე რჩება ფარული პრივატიზაციის პროცესები, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს იჯარით გაცემული ობიექტების ყიდვა-გაყიდვა.

უკიდურესად გამწვავებულია ეკოლოგიური სიტუაცია, ადგილი აქვს ხე-ტყის უკანონო ჩეხვას და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანას.

შექმნილი სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით საჭიროა გამოიკვეთოს საერთო ზედამხედველობის პრიორიტეტული მიმართულებები. პირველი უმნიშვნელოვანესი მიმართულება სამართლებრივი აქტების კანონებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობაა. საერთო ზედამხედველობის ამ ტრადიციულ ფორმას თანამედროვე სამართლებრივი სისტემის პირობებში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყანაში ჯერჯერობით არა გვაქვს ადმინისტრაციული იუსტიცია, არა გვაქვს კონსტიტუციური ზედამხედველობა თუ კონსტიტუციური სასამართლო. ერთადერთი ორგანო, ვისაც კანონქვემდებარე აქტების კანონებთან შესაბამისობისა და კანონმდებლობის ერთიანობაზე ზედამხედველობა ეკისრება, რაც ორგანულად უკავშირდება ხელისუფლების სუვერენულობის საკითხს, პროკურატურაა. სწორედ მისმა ორგანოებმა უნდა განახორციელოს ქმედითი ზედამხედველობა ხელისუფლებასა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტების, სამინისტროებისა და უწყებების აქტების, დაწესებულებების, ორგანიზაციების,




ფირმების, ასოციაციების აქტების კანონიერებაზე. საჭიროა ჩვენმა ბიზნესმენებმა, მეწარმეებმა, რომელთა ახალ სოციალურ ფენად ჩამოყალიბებას ჩვენ შევძლებით, იცოდნენ, რომ კომერციული, ისე როგორც ყოველგვარი ადამიანური საქმიანობა უნდა ხდებოდეს კანონის ჩარჩოებში, სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების შეუღახავად, ამდენად მათი აქტები არ შეიძლება ამოირიცხონ საპროკურორო ზედამხედველობის სფეროდან. რაც შეეხება საიდუმლოებას პროკურორებს უფლება აქვთ შეამოწმონ არა თუ კომერციული, არამედ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები. ცხადია, ასეთი შემოწმება და საპროკურორო რეაგირება უნდა ხდებოდეს ჯანსაღი სახელმწიფოებრივი ინტერესების ფარგლებში.

მეორე უმნიშვნელოვანესი მიმართულება დაწესებულებების, საწარმოების ორგანიზაციების მიერ კანონების შესრულებაზე ზედამხედველობაა. აქ პრიორიტეტულ სფეროდ უნდა იქნეს სამეწარმეო საქმიანობის, პრივატიზაციის, საბანკო, აგრარული, საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობა. ამასთან საჭიროა გადაიხედოს, საერთო ზედამხედველობის, ამ ფორმის მეთოდური მხარე. არ უნდა შეიცვალოს სამეურნეო საქმიანობა საერთო გამოკვლევით, პროკურორებმა არ უნდა შეცვალონ საკონტროლო ორგანოები და სარევიზიო ინსტანციები, მითუმეტეს, არ უნდა იკისრონ მართვის ფუნქციები. შემოწმებები უნდა ტარდებოდეს პროცესუალურ კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოებული რეჟიმის პირობებში.

უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება ეკოლოგიური უსაფრთხოების გამსაზღვრელი კანონების დაცვაზე ზედამხედველობა. საჭიროა საერთო ზედამხედველობის სამმართველო საგნობრივად დაინტერესდეს კანონიერების პრობლემებით სავარეო — ეკონომიკურ ურთიერთობებში, საპროკურორო ზედამხედველობა ამ სფეროში სუსტი და არაპროფესიულია, რაც შეუთავსებელია სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცების ამოცანებთან.

საერთო ზედამხედველობის სამმართველო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ანალიტიკურ საქმიანობას, კანონმდებლობით მისი გამოყენების პრაქტიკის სამეცნიერო ლიტერატურის ღრმად შესწავლის საფუძველზე მან უნდა მიაშალოს ბრძანებების, მეთოდური რეკომენდაციების პროექტები, ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების შესრულების შემოწმების საკითხებზე, რომლებსაც სახელმძღვანელოდ გამოიყენებენ რაიონების და ქალაქების პროკურატურები. ეს სამმართველოს გადაუდებელი ამოცანაა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სამმართველოს უფროსმა ბ-ნ ა. დაუთაშვილმა და პროკურორის მოადგილემ ბ-ნმა რ. ყიფიანმა.

ცვლილებებმა, რაც პროკურატურის შესახებ დებულებაში განიცადა ტრანსპორტზე საპროკურორო ზედამხედველობამ ორგანიზაციული და პროცესუალური თვალსაზრისით არასრულყოფილი როლი ითამაშა ერთი მხრივ პროკურატურის საქმიანობის ამ მიმართულებაზე და მეორე მხრივ, სატრანსპორტო-სამართლებრივ ურთიერთობებში კანონიერების განმტკიცებაზე, შემცირდა შემოწმებების ოდენობა, ნაკლებად ტარდება საპროკურორო რეაგირების ქმედითი ზომები კანონების უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად. კატასტროფული ვითარებაა სამეურნეო ტვირთის დაცულობის თვალსაზრისით. რაიონებისა და ქალაქების პროკურორებმა, ვისაც დაეკისრა ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიება, იგი მეორე ხარისხოვან საქმედ ჩათვალა. ბუნებრივია, პროკურატურა იზრუნებს ტრანსპორტზე ზედამხედველობის კუთვნილი სტატუსის აღსადგენად, მაგრამ ვიდრე ეს





მომხდარა, საჭიროა პროკურორებმა პასუხი აგონ დაკისრებული მოვალეობის შესრულებლობისათვის.

როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ის უყურადღებობა, მე ვიტყვოდი, განუკითხაობა, რასაც ადგილი აქვს სამეურნეო ტვირთის დატაცების ფაქტების გაუსწნელობის გამო. რეგისტრირებული 622 შემთხვევიდან გახსნილია მხოლოდ 133. ზესტაფონის და სამტრედიის რეგიონებში ამ სახის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი შესაბამისად 3 და 24 პროცენტია. ვამოძიება მიშვებულია თვითდინებაზე და მოკლებულია ყოველგვარ კონტროლს. ვაჯლებ ბ-ნ ჯ. ბაბილაშვილს და ბ-ნ ნ. შოშიაშვილს რეგულარულად შეისწავლოს ტვირთის დატაცების საქმეების გამოძიების მდგომარეობა და გახადონ იგი კოლეგიის მსჯელობის საგნად.

მინდა ცალკე შევჩერდე ქალაქებისა და რაიონების პროკურორების მონაწილეობაზე ეკონომიკის სფეროში სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებით. მეტისმეტად მცირეა ასეთი სარჩელების ოდენობა თეთრიწყაროს, მცხეთის, ქარელის, ყაზბეგის, ხარაგაულის, წალკის, სამტრედიის, მესტიის, ახმეტის, ბოლნისის რაიონებში.

სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პროკურორის როლს თანამედროვე სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ეს საკითხი დღეს თავისებურად წყდება. პროკურორების ჩაბმა სამოქალაქო პროცესში აუცილებელია. ყველა შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს დაცვის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა გააჩნია, ან თუკი დავის განსაზღვრული სახით გადაწყვეტამ შესაძლოა მოიცვას სახელმწიფო ინტერესები. ამ შემთხვევაში პროკურორი მოვალეა მონაწილეობდეს სამოქალაქო პროცესში მესამე პირის სახით, დამოუკიდებელი მოთხოვნით, ან მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეს.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროკურორის მონაწილეობის შესახებ არსებული მეთოდური რეკომენდაციები უკვე მოძველდა, საჭიროა ქ-ნმა მანანა ქურდაძემ შესაბამისი ნორმატული ბაზის განახლების სფეროში ქმედითი მუშაობა გასწიოს. ეს ალბათ დიდად შეამსუბუქებს საჩივრებისა და განცხადებების იმ ნაკადს, რომლებიც მოქალაქეთა ქონებრივი, საბინაო, შრომითი უფლებების დაცვის შესახებ პროკურატურაში შემოდის.

სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები პროკურატურის სისტემაში თვითმიზანი როდია. ეს ცვლილებები შეადგენს საზედამხედველო და სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის, განუყოფელ ნაწილს. კანონიერებისა და მართლწესრიგის სფეროში შექმნილი ვითარება, მისი კონტროლის აუცილებლობა გვკარნახობს პროკურატურის ცენტრალური აპარატისა და ქვემდგომი პროკურატურების ადგილისა და როლის რაციონალურ განსაზღვრას. ძირითადი საზედამხედველო და საგამოძიებო სამუშაოების ცენტრში უნდა მოექცნენ საქალაქო და რაიონული პროკურატურები, მათ უნდა მიეცეთ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა თავისუფალი განხორციელების სრული შესაძლებლობა, გზა გაეხსნას გამომძიებლის, რაიონის, ქალაქის პროკურორების შემოქმედებით ინიციატივას, ისინი უნდა განთავისუფლდნენ ბიუროკრატიული ზეწოლის და წვრილმანი მეურვეობისაგან.

ზემდგომმა პროკურატურებმა არსებითად უნდა გარდაქმნან მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით — საპროკურორო და ანალიტიკური თვალსაზრისით.

საპროკურორო საქმიანობა უნდა იქნეს ავტონომიური რესპუბლიკების,

თბილისის პროკურატურის, რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებული რაღებების საგნად. განყოფილების პროკურორები უნდა ფლობდნენ თავიანთ უბნებზე და პასუხს აგებდნენ საგამომიებო, საპროკურორო საქმიანობისათვის მინდობილ სფეროებში. ზემდგომი პროკურატურები თავიანთ საქმიანობაში უნდა ემყარებოდნენ სრულ ინფორმაციას და მოვლენათა ღრმა ანალიზს, მიღებული ინფორმაცია და ზემდგომი პროკურატურების ანალიტიკური საქმიანობა უნდა ზმარდებოდეს ისევ რაიონული და საქალაქო რგოლების სისტემატურ და არასპონტანურ საქმიანობას.

გენერალური პროკურორის მოადგილემ ბ-ნმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა ცენტრალური აპარატების გამომძიებელთა დატვირთვის გათვალისწინებით საჭიროა წარმოადგინოს წინადადებანი ქვემდგომი პროკურატურების გაძლიერების მიზნით საგამომიებო და საპროკურორო მუშაკების რაციონალური გადანაწილებებისათვის. საგამომიებო სამსახურის კურატორებთან ერთად საჭიროა კადრების სამსახურმა მოამზადოს წინადადებები სტაბილური საგამომიებო კორპუსის ჩამოსაყალიბებლად. განისაზღვროს გამომძიების დარგით მუშაობის აუცილებელი ვადა, მისი საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმები, მომზადდეს წინადადებები მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

გენერალური პროკურორის მოადგილემ ბ-ნმა ჯ. ბაბილაშვილმა საორგანიზაციო — საკონტროლო სამმართველოს უფროსთან ბ-ნ თ. კოლუასთან ერთად დააჩქარონ პროკურატურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის პროექტის მომზადება და წარმოუდგინონ კოლეგიას განსახილველად.

მას შემდეგ, რაც წარსულს ჩაბარდა ტოტალიტარული იდეოლოგია, სამართალდაცვის ორგანოები განთავისუფლდნენ საქმიანობის, პარტიულობის პრინციპებისაგან და დამკვიდრდა მათი დეპარტიზაცია, თვისებრივად შეიცვალა კადრებთან მიმართების პრინციპები. კადრებთან მუშაობა სულაც არ ნიშნავს ზელმძღვანელობის მხრივ მათდამი ჟანდარმულ დამოკიდებულებას, მათი საქმიანობის თუ ცხოვრების წესის მიმართ არაჯანსაღ ინტერესს, კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა ხდებოდეს ჩვენი მუშაკების საქმიანობის, გნებავთ, ცხოვრების წესის შეფასება უნდა ემყარებოდეს „მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსს“. ესაა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის პრინციპებს აღიარებს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო.

ჩემი აზრით, სწორედ იგი უნდა იქცეს მოქმედ კანონმდებლობასთან ერთად, როგორც პროკურატურის, ისე სამართალდაცვის სხვა ორგანოთა მუშაკების საქმიანობის ერთ-ერთ ნორმატიულ წყაროდ.

პირველი თეზისი, რომელიც სამართალდაცვის თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის ფუძემდებლური დებულებაა, ისაა, რომ სამართალდაცვის სამსახურების თანამდებობის პირები ემსახურებიან არა რომელიმე პარტიას, ან ბლოკს ან სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პოლიტიკურ ძალას, არამედ საზოგადოებას. ჩვენი სინამდვილის ესოდენ პოლიტიზაციის პირობებში ამ მოთხოვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მისი დაცვა როგორც გენერალური პროკურორის, ისე პროკურატურის სხვა მუშაკებისათვის პრინციპული ხასიათისაა.



თეგვი ლილუაშვილი

სასამართლო რეფორმის კონცეფცია

ნაწილი I. სასამართლო

სასამართლო რეფორმის უარბლები

სასამართლო რეფორმა გულისხმობს არამარტო საკუთრივ სასამართლოს ორგანიზაციული და ფუნქციონალური პრინციპების სრულყოფას, არამედ ყველა იმ სტრუქტურის სრულყოფასაც, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ასეთებია პროკურატურა, გამოძიება, ადვოკატურა. წარმოდგენილი კონცეფცია მოიცავს მხოლოდ საკუთრივ სასამართლოს. სხვა სტრუქტურების სრულყოფის პრობლემები ჯერ კიდევ მუშავდება.

სასამართლო რეფორმის აუნილგალობა

საყოველთაოდ აღიარებული დებულების თანახმად სასამართლო საზოგადოებრივი წესრიგის საყრდენია. იგი უზრუნველყოფს კანონის ბატონობას, აფუძნებს სამართლიანობას, ამყარებს მშვიდობას საზოგადოების წევრებს შორის, განუმტკიცებს მათ ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვისა და პირადი თავისუფლების უზრუნველყოფის რწმენას. ასეთი რწმენის გარეშე კი ძნელია იფიქრო რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალურად და ეკონომიკურად სასარგებლო საქმიანობის წამოწყებაზე. უფრო მეტიც, ასეთი რწმენის გარეშე გარდუვალია ღირებულებათა სრული გაუფასურება, საზოგადოების თანდათანობითი, მაგრამ შეუჩერებელი სვლა ზნეობრივი გადაგვარებისაკენ, ეკონომიკური ცხოვრების მოშლა. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი პროცესები დიდი ხანია დაიწყო და მათი

შეჩერება არამარტო ვერ ხერხდება, არამედ, პირიქით, ნეგატიური პროცესები კიდევ უფრო ღრმავდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ნამდვილი მართლმსაჯულების უქონლობა, რაც განპირობებულია არამარტო ჩვენი პირობებისათვის მიუღებელი სასამართლო სისტემით, არამედ მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა აღმოფხვრის გარეშე ნამდვილ მართლმსაჯულებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება.

ნამდვილი მართლმსაჯულების უქონლობა გახდა აგრეთვე უშუალო მიზეზი სხვა უარყოფითი და უადრესად არასასურველი მოვლენებისა, როგორიცაა სასამართლო საქმიანობაში ჩარევა და პროტექციონიზმი, მექრთამეობა, საქმეთა განხილვის განუზომლად გაჭიანურება და ა. შ. მოქალაქეებმა ზურგი შეაქციეს სასამართლოს და ხშირად მიმართავენ ურთიერთშორის წამოჭრილი ქონებრივი,



ძრომითი თუ სხვა ხასიათის დავეების გადაჭრის არაკანონიერ გზებსა და სასაქონლო ალღებს. განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევს თვითგასამართლების იუსტიციის ბარბაროსული ხერხი, როგორცაა ჩაქოლვა (ლინჩი), რომელიც ასე ფართოდ გავრცელდა ჩვენში.

ამრიგად, სასამართლო რეფორმის აუცილებლობა, ნამდვილი მართლმსაჯულების ფუნქციონირებისათვის იმდენად ნათელია, რომ საგანგებო და დეტალურ დასაბუთებას არ მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ ასეთი რეფორმის ძირითადი მიმართულებებისა და რაციონალური, ჩვენი პირობებისათვის მორგებული სასამართლო სისტემის შემუშავება.

სასაქონლო მსაჯულების ინსტიტუტმა ჩვენში არ გააპართლა

დღეს მოქმედი სასამართლო სისტემის ნიმუშად ნაწილობრივ გამოყენებული იყო ე. წ. შეფენების სასამართლო. ასეთი სასამართლო დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს არამარტო გერმანიაში, არამედ ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ამრიგად, მანკიერია არა სასამართლო სისტემა, არამედ პირობები, რომელშიაც ეს სასამართლოა ჩაყენებული ჩვენში. სწორედ ამ პირობებმა (რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი) განსაზღვრეს კონკრეტულ საქმეთა განხილვაში მსაჯულების ფორმალურად მონაწილეობის არნახული, უპრეცედენტო მასშტაბები. მსაჯულებს არავითარი დამოუკიდებელი ფუნქცია არ გააჩნიათ, ხოლო კანონმდებლობა მათი გააქტიურების არავითარ მექანიზმებს არ ითვალისწინებს, პროფესიული მოსამართლის გავლენა მსაჯულზე გადამწყვეტია.

ცხადია, რომ ასეთი მსაჯულისაგან და ყველასათვის აშკარა ფორმალურობისაგან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავათავისუფლოთ სასამართლო.

რამდენიმე მოსაზრება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს არამარტო რეფორმებს სამართლისა და მართლმსაჯულების სფეროში, არამედ ზოგჯერ საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ არსებული სასამართლო უნდა შეიცვალოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უდავოდ არის მსაჯულთა გააქტიურების გარანტია: ნაფიცი მსაჯულები მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტენ ფაქტის საკითხს, ხოლო მოსამართლე მსაჯულისაგან დამოუკიდებლად იურიდიულ შეფასებას (კვალიფიკაციას) აძლევს ამ ფაქტებს.

ამავე დროს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქვს სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებზეც მიუთითებენ იმ ქვეყნების იურისტები, სადაც ეს სასამართლოები ფუნქციონირებენ: 1) ნაფიცმა მსაჯულებმა არ იციან სასამართლო პროცესის წესები და მტკიცებულებათა შეფასების დროს მოქმედებენ მხოლოდ თავიანთი ინტუიციით; 2) ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ დაუსაბუთებელი (არამოტივირებული) ვერდიქტი, ამიტომ ეს ვერდიქტი მოკლებულია დამაჯერებლობას; 3) მხარეებს უფლება აქვთ მისცენ უმოტივო აცილება ნაფიც მსაჯულებს, ხოლო სასამართლო ვალდებულია მიიღოს ეს აცილება, ამიტომ ხშირად ძლიერ რთულდება მათი შერჩევა, ჟიურის შედგენა.

როგორც ჩანს, აქ მითითებული და ზოგიერთი სხვა მიზეზების გამო ნაფიც მსაჯულთა კლასიკურ ქვეყნებშიაც საქმეთა გარჩევის პროცენტი ასეთ სასამართ-

კვიდრდეს დამოუკიდებლობის ისეთი გარანტიები, როგორცაა: სასამართლოს იურისდიქციის ყოვლისმომცველობა — ყველაფერი, რაც დაკავშირებულია საქანონითა და სამართალთან, შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი. სასამართლო ხელისუფლების აქტების გადასინჯვის დაუშვებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, მოსამართლის შეუცვლელი და მიუხილველი კანონისადმი დამორჩილება, მართლმსაჯულების განხორციელება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად დაცვით, საქმეთა გარჩევის დასაშვებობა მხოლოდ მიუკერძოებელი და საქმის შედეგით დაუინტერესებელი მოსამართლის მიერ, მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ ორგანიზაციის წევრობასთან და ა. შ.

მოსამართლის დამოუკიდებლობა

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომ, სასამართლოს დამოუკიდებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბების ინტერესები მოითხოვენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. იურიდიულად უნდა იქნეს გაქარწყლებული ყველა ის ფაქტორი, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას. მოსამართლე ვერ იქნება დამოუკიდებელი, თუ მისი თანამდებობის შენარჩუნებას, სამსახურებრივ დაწინაურებას და მატერიალურ უზრუნველყოფას, რომელიმე საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლება ან თანამდებობის პირი წყვეტს. ამიტომ საჭიროა საკანონმდებლო წესით იყოს დამკვიდრებული მოსამართლის შეუცვლელი, მისი დაწინაურებისა და წახალისების რაციონალური სისტემა, მატერიალური უზრუნველყოფა, სხვა თანამდებობის შეუთავსებლობა და ა. შ.

მოსამართლის პროფესიულობა

მოსამართლე მხოლოდ კანონს ემორჩილება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს შეუძლია იქონიოს მოსამართლის მიერ კანონის აზრისა და შინაარსის სწორად გაგების, მისი სწორად შეფარდების იმედი. ეს იმედი რომ არ გაქარწყლოთ, აუცილებელია მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნოს მაღალგანათლებული და მაღალკვალიფიციური იურისტი. წარსულის განზოგადება და მართლმსაჯულების პრაქტიკის ანალიზი გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მხოლოდ იურიდიული განათლების მიღების დიპლომი ყოველთვის არ არის საკმარისი ასეთი ცოდნის დადასტურებისათვის.

როგორც ეს მიღებული და აღიარებულია ბევრ მოწინავე ქვეყანაში, მოსამართლეობის კანდიდატს კიდევ რომ გააჩნდეს იურისპრუდენციაში თეორიული მომზადების მაღალი დონე და პრაქტიკული გამოცდილება, მაინც არ არის საკმარისი ყველაფრისათვის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ქვეყანას აქვს მოსამართლის თანამდებობისათვის იურისტების შერჩევისა და მომზადების თავისი სისტემა. უფრო მეტიც, იურიდიული სწავლების გაგრძელება, კვალიფიკაციის სისტემური და გეგმაზომიერი ამაღლება მოსამართლის სამსახურებრივ მოვალეობადაა მიჩნეული.

საქართველოში სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებად მიჩნეულია პროფესიულობა. ამიტომ, ცხადია, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლებას.



ყველაზე პროგრესული სასამართლო სისტემაც კი ვერ მოგვცემს შედეგს, თუ სასამართლო კორპუსი არაა დაკომპლექტებული ღირსეული ადამიანებით, რომლებიც პასუხობენ კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მაღალკვალიფიციური და ზნეობრივად წმინდა მოსამართლეების გარეშე შეუძლებელი იქნება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ნამდვილი მართლმსაჯულების აღსრულება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და მომზადებისათვის შეიქმნას იუსტიციის ეროვნული ცენტრი, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

იუსტიციის ეროვნული ცენტრის შექმნით უნდა დაიწყოს სასამართლო რეფორმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს იქნება სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი. მხოლოდ ამ ეტაპის გავლის შემდეგ შეიძლება რეფორმის სხვა ეტაპებზე, კერძოდ, სასამართლო სისტემის თანდათანობით და გვემზომიერ შეცვლაზე გადასვლა.

მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო

იუსტიციის ეროვნულ ცენტრში მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა და მომზადება უადრესად საპასუხისმგებლო და მეტად რთული საქმეა. ესენი ხომ ის კანდიდატები არიან, რომლებმაც შემდგომში უნდა დაიკავონ მოსამართლის თანამდებობა მუდმივად. შეცდომა კანდიდატების შერჩევაში და შემდგომ მათ მომზადებაში, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს, საქმე ისაა, რომ მუდმივად დანიშნული მოსამართლის გადაყენება დაბალი კვალიფიკაციის გამო თითქმის შეუძლებელია.

იმისათვის, რომ ნაკლები შეცდომები იქნეს დაშვებული, უნდა შეიქმნას მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ სამართლის დარგის წამყვანი მეცნიერები, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს გამომცდილი თანამშრომლები (სულ 12 კაცი). ეს საბჭო კონკურსის წესით შეარჩევს მოსამართლეთა კანდიდატებს, შეიმუშავებს სასწავლო პროგრამებს, მოამზადებს სასწავლო მეთოდურ ლიტერატურას, შეასრულებს სხვა საქმიანობას, რაც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი კანონით და დებულებით ამ საბჭოს შესახებ¹.

მუდმივად დანიშვნამდე მოსამართლე უნდა დაინიშნოს სამწლიანი საგამოცდო ვადით. მუდმივად შეიძლება დაინიშნოს მოსამართლე, რომელიც წარმატებით გაივლის ამ ვადას. დასკვნას (რეკომენდაციას) საგამოცდო ვადის წარმატებულად გავლის შესახებ მისცემს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო.

მართლმსაჯულებას ეროვნული მოსამართლეები უკეთ აღასრულებენ

ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ჩვენი დღევანდელი პირობებისათვის შეიძლება მივიჩნიოთ მართლმსაჯულების განხორციელება პროფესიული მოსამართლეების მიერ, მსაჯულების მონაწილეობის გარეშე².

¹ მოსამართლეთა შერჩევისა და მომზადების ანალოგიური სისტემები შექმნილია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს მაგისტრატურის ეროვნული სკოლა, იტალიაში მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო და ა. შ.

² ასეთი სისტემა ფუნქციონირებს იაპონიაში. ფაქტობრივად იგი ფუნქციონირებს ევროპაშიაც, რადგან საქმეთა გარჩევის პროცენტი მსაჯულების მონაწილეობით ძალიან მცირეა.

ასეთი სასამართლოს ერთად-ერთი ნაკლი შეიძლება დავინახოთ იმაში, რომ მის შემადგენლობაში არ ფიგურირებს საზოგადოების წარმომადგენლობის დაპირველად მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულების მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სასამართლოსადმი და მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისადმი ნდობის მოპოვება საზოგადოების მხრივ.

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთი ნდობა აღარ არსებობს სრულიად გასაგები მიზეზების გამო. ამიტომ, მსაჯულებს კიდევ რომ შეუცვალოთ სახელი და ნაფიცი მსაჯულები დავარქვათ, ამით არაფერი არ შეიცვლება.

ნდობა მოპოვებული უნდა იყოს და ეს ყველაზე უკეთ შეუძლიათ გააკეთონ მაღალკვალიფიციურმა, მაღალზნეობრივმა, მიუკერძოებელმა და სამართლიანმა პროფესიულმა მოსამართლეებმა.

სასამართლო სპეციალიზაციის აუცილებლობა

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება დღითიდღე ფართოვდება და მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს. ეს ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია: სამართლის მეშვეობით რეგულირდება ისეთი სფეროები, რომლებიც წინათ სხვა სოციალური ნორმებით წესრიგდებოდა. გარდა ამისა, სხვადასხვაგვარი სოციალური, ეკონომიკური თუ მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების ზეგავლენით წარმოიშევა ახალი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც აგრეთვე სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებენ.

ასეთი ვითარება ობიექტურად წარმოშობს სასამართლოს სპეციალიზაციის აუცილებლობას: შეუძლებელია მოვთხოვოთ ერთ რომელიმე მოსამართლეს ყველა იმ ნორმების ცოდნა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სფეროებს არეგულირებენ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საერთო სასამართლოების სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს სპეციალიზირებული სასამართლოები, რომლებიც მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეებს განიხილავენ. ასეთია მაგალითად, სისხლის სასამართლის საქმეები, სამოქალაქო სამართლის საქმეები, შრომის სამართლის საქმეები, ადმინისტრაციული სამართლის საქმეები, სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი საქმეები და ა. შ.

ასეთი სპეციალიზაციის მიზანია იმ კონკრეტულ საქმეთა სწორი და ზუსტი სამართლებრივი ანალიზი, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ვართულებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.

სასამართლო შეცდომების გასწორება

სასამართლო შეცდომების გასწორების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს ინსტანციურობის სწორად განსაზღვრა. მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც ხელმეორედ გაარჩევს და გადაწყვეტს საქმეს. თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვა შეცდომა, ეს შეცდომა თვითონ სააპელაციო სასამართლომ უნდა გაასწოროს ისე, რომ საქმე არ დააბრუნოს უკან ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოს შემოღებით ბოლო მოეღება საქმეების დაუსრულებლად მოძრაობას პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და პირი-



ქით, რაც სხვა ნეგატიურ შედეგებთან ერთად, საქმის საბოლოოდ დასრულების უზომოდ გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

სააპელაციო სასამართლოს შემოღებასთან ერთად უნდა შევინარჩუნოთ საკასაციო სასამართლო, რომლის ერთადერთი ფუნქცია იქნება სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა. ამ ფუნქციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ შეეხება საქმის ფაქტობრივ ვარემოებებს და შეამოწმებს მხოლოდ მის იურიდიულ მხარეს, იმას, თუ რამდენად სწორად არის შეფარდებული და გამოყენებული კანონი (როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა).

სასამართლოს კომპეტენციის გაფართოება

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასამართლოს კომპეტენციის გაფართოება. საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს სასამართლოს საქმიანობას კონკრეტულ საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს, შემუშავებულია მეცნიერების მიღწევებისა და კაცობრიობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სასამართლო არის ერთადერთი ორგანო სახელმწიფოში, რომელიც ადამიანისა და მოქალაქის უფლების დაცვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკვიდრების რეალურ გარანტიებს შეიცავს.

სასამართლოებს შეუძლიათ განუსაზღვრელად დიდი სამსახური გაუწიონ ჩვენს საზოგადოებას იმ პირობით, თუ გაფართოვდება სასამართლოს კომპეტენცია, რომელიც ძლიერ იყო შეცვლილი ტოტალიტარული რეჟიმის დროს.

სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა განიხილოს და გადაწყვიტოს ყოველი დავა, რომელიც სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს, სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაიცავს უფლება, რომელიც მინიჭებული აქვთ მოქალაქეებს. სასამართლოს ასეთი შესაძლებლობები იურიდიულად უნდა იყოს გარანტირებული. უფლება, რომლის დაცვაც სასამართლოს მეშვეობით არ შეიძლება, არ მიეკუთვნება სამართლებრივ უფლებათა კატეგორიას და სინამდვილეში არის ფიქცია.


სამეურნეო (კომერციული) დავების განხილვა ჩვეულებრივ სასამართლოში

ჩვენში დღეს მოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო არ შედის ჩვეულებრივი ანუ საერთო სასამართლოების სტრუქტურაში. მაშასადამე, საარბიტრაჟო სასამართლო მიეკუთვნება სპეციალურ სასამართლოთა კატეგორიას. ამავე დროს, ასეთი სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნა და არსებობა აკრძალულია ამასწინათ მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“.

მარტოოდენ ამ მოსაზრებით საარბიტრაჟო სასამართლოს არსებობის შენარჩუნება მომავალში ადარ შეიძლება.

მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც:

სახელმწიფო არბიტრაჟი შეიქმნა 1931 წელს. მისი შექმნა განპირობებული იყო ნების ლიკვიდაციით და მეურნეობის ცენტრალიზებული მართვის ინტერესებით, კერძოდ სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ხელშეკრულების როლის გაზრდით, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებით, აგრეთვე, სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი დავების ოპერატიულად გადაწყვეტის აუცილებლობით.



ამჟამად სოციალისტური ორგანიზაციები აღარ არსებობენ. არსებობენ მხოლოდ სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი (კერძო) საწარმოები, რომელთა ზვედრითი წილი განსახელმწიფოებრიობასთან (პრივატიზაცია) დაკავშირებით, კიდევ უფრო გაიზრდება.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს შეუძლია თავის საკუთრებაში არსებულ საწარმოებს შორის წამოჭრილი დაგების გადაწყვეტისათვის შეინარჩუნოს არბიტრაჟი, მაგრამ მას არ შეუძლია არასახელმწიფოებრივ საწარმოებს წაართვას უფლება მიმართონ სასამართლოს წამოჭრილი დაგების გადასაწყვეტად.

სასამართლო კონტროლი

სასამართლომ უნდა დაიკავოს ცენტრალური ადგილი სამართალდამცავ ორგანოებს შორის და განახორციელოს კონტროლი მათი საქმიანობის კანონისადმი შესაბამისობაზე.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონტროლი, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონების კონსტიტუციურობის თვალსაზრისით.

სასამართლო ემორჩილება კანონს. ეს მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპია. მაგრამ უნდა დაემორჩილოს თუ არა სასამართლო არაკონსტიტუციურ კანონს, ე. ი. კანონს, რომელიც არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას?

თუ სასამართლოს მიეცემა უფლება არ გამოიყენოს (არ დაემორჩილოს) კანონი, რომელიც მისი აზრით არ შეესაბამება კონსტიტუციას, ეს იქნებოდა სასამართლოს კანონისადმი დამორჩილების პრინციპის შესუსტება. ამავე დროს, არაკონსტიტუციური კანონის გამოყენებაც დაუშვებელია.

საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლოს მოღვაწეობა მოუხდება მკაცრად კოდიფიცირებული კანონმდებლობის პირობებში (ევროპულის მსგავსად) და მას არ ექნება სამართალშემოქმედებითი ფუნქცია. ამიტომ, ჩვენში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ევროპულ მოდელს — კონსტიტუციური სასამართლოს შექმნას, რომლის ფუნქციები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონით.

აქედან გამომდინარე, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას აღმოჩნდება, რომ კანონი, რომელიც სადავო სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას და დასვათ საკითხს კონსტიტუციური სასამართლოს წინაშე ასეთი კანონის კონსტიტუციურობის შესახებ.

დამოკიდებულების განწყობა

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის ყველა ძირითადი მექანიზმის სამართლებრივი დამკვიდრება — გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ არ შეიძლება უარყოფით თვითონ მოსამართლის შეგნებაში მყარად დაფიქსირებული განწყობის მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ მოსამართლე შინაგანად უნდა გრძნობდეს თავს როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლად აღმასრულებელი.

ეს კი არც ისე ადვილია: საბჭოთა ხელისუფლების მთელი დროის მანძილზე სასამართლო (როგორც ერთ-ერთი ჩვეულებრივი და რიგითი რგოლი ამ ხელი-



სუფლებსა) აგრეთვე მოსამართლე, მთლიანად იყო დამოკიდებული ბულ რეჟიმზე.

წლებმა თავისი გააკეთა და „დამოკიდებულების განწყობა“ მტკიცედ ჩამოყალიბდა მოსამართლეთა შგენებაში. ასეთი განწყობის შეცვლისათვის დროა საჭირო, მაგრამ მარტო მის იმედზე ვერ ვიქნებით.

აუცილებელი იქნება სამართლებრივი ნორმის შემუშავება, რომელიც დაავალდებულებს მოსამართლეს დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. მოსამართლის ეს მოვალეობა უნდა ატარებდეს იურიდიულ ხასიათს. ამიტომ, საჭირო იქნება მოვიფიქროთ შესაფერისი საჩქცია მისი შეუსრულებლობისათვის.

დიდი როლი „დამოკიდებულების განწყობის“ შეცვლაში შეუძლია შეასრულოს იუსტიციის ეროვნულმა ცენტრმა, რომელიც დამაჯერებლად აუხსნის მოსამართლის კანდიდატებს, რომ მოსამართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არის ბრძოლა მთელი სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის, რომ ამ ბრძოლის წაგება და (თუ გინდ უმნიშვნელო საქმის გარჩევის დროს) ვინმეს ზეგავლენის ქვეშ მოექცევა, ერთიანად ანგრევს მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს.

სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი

ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებულია დებულება, რომლის თანახმადაც დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა არ შეიძლება ერთბაშად და ერთ დღეში ჩამოყალიბდეს. ამას თანდათანობით, შრომითა და რუღუნებით უნდა მივაღწიოთ.

ჩვენი სასამართლო რეფორმის კონცეფცია სამ ფუნდამენტურ მიმართულებას ეფუძნება: მოსამართლეთა პროფესიულობას და ზნეობრიობას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, ჩვენი ტრადიციებისა და პირობებისათვის მორგებულ სასამართლო სისტემის შემუშავებას.

ვერც ერთი, ყველაზე პროგრესული სასამართლო სისტემა ვერ იფუნქციონირებს, თუ სასამართლო ხელისუფლება მინდობილი არ აქვთ მაღალპროფესიულ და მაღალზნეობრივ ადამიანებს. ეს არის არამარტო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, არამედ, საერთოდ, ნამდვილი მართლმსაჯულების აღსრულების აუცილებელი პირობა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი დავიწყოთ მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და მომზადების მწყობრი სისტემის შექმნით, კერძოდ, მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოსა და იუსტიციის ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბებით³.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რეფორმის სხვა ეტაპზე, კერძოდ სასამართლო სისტემის თანდათანობით და გვემასობიერ შეცვლაზე გადასვლა.

³ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი „მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა კანდიდატების მომზადების მიზნით იუსტიციის ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ“ უკვე მომზადებულია და ახლო მომავალში გადაეცემა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

ჯურაბ ლავაშაძე

შეჯიბრებითობის პრინციპი და სასამართლო ჩაფორმება

ცხორებამ მრავალგზის დაადასტურა, რომ ჭეშმარიტი სიახლე უნდა ემყარებოდეს ღრმად გააზრებულ, ცივილიზებულ სამყაროში მისაღებ იდეებსა და თეორიებს. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების უფლების დაცვას, რადგან ეს არის სახელმწიფოს დემოკრატიულობის საზომი. პიროვნების უფლების დაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტალური საკითხი ბრალდებულის (ექვემოთაწინის), დაზარალებულის დაცვის უფლებაში და ამ უფლების განხორციელების რეალურ მექანიზმში მდგომარეობს, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებშია მოცემული. თავის მხრივ, სისხლის სამართლის პროცესი ის ბერკეტი, რითაც სახელმწიფო უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებასა და პიროვნებაზე. სისხლის სამართლის სამართალწარმოების ისტორიული ფორმის კატეგორია თავისებური დამაკავშირებელი რგოლია პროცესუალური მექანიზმის აგების თავისებურებასა და პოლიტიკურ რეჟიმს შორის, რომელიც ამა თუ იმ დროს ბატონობს ქვეყანაში¹. ცვლილებები პოლიტიკურ რეჟიმში და თვით საზოგადოებრივ წყობილებაში ყოველგვარი სამართლის უმთავრესი განვითარების ფაქტორია, ვინაიდან სამართლის განვითარება საზოგადოების განვითარების თავისებური მომენტია².

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ეფუძნება ისეთი დახვეწილი სახის სამართალდამცავი მექანიზმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებას. ეს საკითხები ვრცელი და პრობლემატურია, ამიტომ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ იმ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო ყველაზე მეტად ამჟღავნებს პოლიტიკურ რეჟიმს, დემოკრატიულობას თუ ანტი-დემოკრატიულობას.

სამართლებრივ სახელმწიფოში პიროვნების უფლების დაცვა და სამართლის ავტორიტეტი განუყოფელი, მჭიდროდ დაკავშირებული საკითხებია. თავდაყირა მდგომი პირამიდის (მხედველობაში გვაქვს სასამართლო ორგანოების აგების პრინციპი) ჩვეულ მდგომარეობაში დაბრუნებისათვის საჭიროა მართლმსაჯულების სასახლე დაეყრდნოს თანაბარი ძალის მქონე ბრალდებისა და დაცვის ინსტიტუტს. საკმარისია ერთ-ერთი მათგანი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომ იგი კვლავ პირქვე დაემხო.

¹ См. Ножимов В. П., Типы, формы и виды уголовного процесса, Калининград, 1977, с. 27—31.

² См. Спиридонов Л. Н., Социальное развитие и право, Л., 1973, с. 44.



საბჭოური თუ ეროვნული პარლამენტის დროს მოქმედი კონსტიტუციები ამ ორი ინსტიტუტის თანაბარუფლებიანობას მხოლოდ ფორმალურად აღიარებდა. კერძოდ, ბრალდებულის დაცვის უფლება მოცემულია კონსტიტუციის 170-ე მუხლში³. ამავე კონსტიტუციის 172-ე მუხლი შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს. ამ თვალსაზრისით პრობლემა დღესაც არსებობს, ვინაიდან ბრალდებულის უფლების გაფართოებისაკენ გადადგმული ნაბიჯები ფორმალური და არასრული ხასიათისაა. „ჩვენთან კანონმდებლობა ფორმალურია, არ გაგვაჩნია ადამიანის დაცვის რეალური გარანტია“⁴.

ბრალდებულის დაცვის უფლება წარმოუდგენელია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპებისაგან განცალკევებით, როგორცაა ჭეშმარიტება და შეჯიბრებითობა. ჭეშმარიტება უსაფუძვლო ბრალდების უარყოფით, მასთან დაპირისპირებით მიიღწევა, ვინაიდან სწორედ აღნიშნული პროცესი უწყობს ხელს კონკრეტული საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის შემწეობითაც უნდა იქნეს მიღწეული საბოლოო მიზანი, დადგინდეს ჭეშმარიტება, სავსებით უგულებელყოფილი იყო და მოქმედი კანონმდებლობით დღესაც ფაქტობრივად დაკნინებულია. ამ უადრესად დემოკრატიული პრინციპის არსი მდგომარეობს სისხლის სამართლის პროცესის ისეთ მოწყობაზე, რა დროსაც ბრალდების ფუნქცია გამოყოფილია საქმის გადაწყვეტის ფუნქციისაგან, ხოლო ბრალდება და დაცვა რეალურად უზრუნველყოფილია თანაბარი უფლებებით თავიანთი მოსაზრებების დასაცავად. სწორედ აღნიშნული პრინციპის ინერტულობა იწვევს ბრალდებულის დაცვის უფლების ფორმალურობას, შესაბამის მანკიერებას სისხლის სამართლის პროცესში. მხედველობაში გვაქვს უთანასწორო შეჯიბრებითობა, როდესაც პროკურატურის ჭერქვეშ მოქცეული კარნაკტილი გამოძიება თავის თავში აერთიანებს გამოძიებლის, ბრალმდებლის, დამცველის და მოსამართლის ფუნქციას. ე. ი. ფაქტობრივად საქმის ბედი წყდება წინასწარი გამოძიების პროცესში. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საბრალდებო დასკვნა განაჩენის იდენტური თუ არა, ძალზე მსგავსია, ხოლო სასამართლო პროცესი უკვე დადგენილისა და გადაწყვეტილის გამეორებაა, შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფა განსაკუთრებით მკლავდება ე. წ. „შერეული“ პროცესების არსებობით, ე. ი. როდესაც სასამართლო პროცესი უმთავრესად აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, ხოლო სასამართლომდე წარმოება სამძებრო (ინკვიზიციური) საწყისებს ემყარება.⁵ შეჯიბრებითობის პრინციპის იგნორირება განსაკუთრებით ტოტალიტარულ სახელმწიფო სისტემაში პიროვნების უფლებასთან სახელმწიფო ინტერესების პრიმატში ვლინდება, რაც სამართალში საჯარო და კერძო საწყისების თანაფარდობის დარღვევაზე მიგვანიშნებს. სამართალში კერძო საწყისების განვითარება, ბუნებრივია, მოითხოვს სისხლის სამართლის სასამართლომდ წარმოებაში შეჯიბრებითობის განვითარებას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული წინასწარი გამოძიების რეფორმასთან.

³ „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია“, 1977, (შესაბამისი ცვლილებებით).
⁴ ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 № 9, გვ. 9.
⁵ См. «Советское государство и право», 1992, № 1, с. 27.



1991 წლის კანონმა „სასამართლო წყობილების შესახებ გარკვეული ნაბიჯი გადადგა პიროვნების უფლების გაფართოებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ამოქმედების თვალსაზრისით“. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დაცვის უფლებით უზრუნველყოფილი ვახდა არა მარტო ბრალდებული არამედ ეჭვმიტანილიც. შეიქმნა რეალური პირობა ამ უფლების განხორციელებისათვის სისხლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე დამცველის მონაწილეობით (დაკავების, დაპატიმრების ან ბრალის წარდგენის მომენტიდან). მიუხედავად ამისა, აღნიშნული კანონიც არასრულია, შეჯიბრებითობის პრინციპის მთელი ძალით ამოქმედებისათვის საჭიროა დამცველს მიენიჭოს უფლება შეკრიბოს, გამოიკვლიოს და წარმოადგინოს მტკიცებულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მიზნევა პროცესის თანაბარუფლებიან მხარედ კვლავ ფიქტიად რჩება⁷. საკითხის ამ კუთხით გადაჭრა უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შეკრების ყველაზე რეალურ, სრულ და ობიექტურ შესაძლებლობას, გამორიცხავს წინასწარი გამოძიების სტადიაში ერთი თანამდებობის პირის თუ უწყების ხელში გამომძიებლის, დამცველის, ბრალმდებლის და მოსამართლის ფუნქციათა თავმოყრას. ამ გარემოებას მაშინაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ დავუშვებთ, რომ „ეს ერთი“ იდეალურია პროფესიული თუ ადამიანური ღირსებებით, რადგანაც კოლეგიალურობა, შეჯიბრებითობა, საჯაროობა უმაღლესი ფორმაა ჭეშმარიტების მისაღწევად.

აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის ასევე საჭიროა სასამართლო პროცესის ორგანიზაციული მხარის სრულყოფა. იგი მყარად უნდა დაეყრდნოს შეჯიბრებითობის, მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს. ეს კი ნიშნავს სასამართლოს განთავისუფლებას მტკიცებულებების შეკრების მოვალეობისაგან. ასეთ სიტუაციაში ძირითადი სიძვირე ამ მხრივ პროცესში მონაწილე მხარეებზე გადადის, ამასთან სასამართლოს აუცილებლად უნარჩუნდება დამატებითი მტკიცებულებების შეკრების უფლება და არა მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ფაქტობრივად კვლავ შეასრულებს ბრალმდებლის ფუნქციას, რაც დამახასიათებელია საინკვიზიციო (საგამომძიებო) პროცესისათვის.⁸

პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის პროცესუალური საკითხი მჭიდრო კავშირშია პროკურატურისა და გამოძიების ორგანოების მოწყობის ორგანიზაციულ საკითხებთან, კერძოდ, იმ იდეასთან, რომ გამოძიებელი არ ეჭვმდებარებოდეს პროკურორსა და პოლიციის უფროსს. შეიქმნას დამოუკიდებელი და ერთიანი საგამომძიებო აპარატი. გამოძიება განთავისუფლდეს რომელიმე უწყების ქვეშევრდომობისაგან, პროკურორის როლი წინასწარ გამოძიებაში არ გასცდეს სახედაზმდევლო ფუნქციას, შემდგომში პროცესის უმნიშვნელოვანეს საკითხზე კონტროლის ფუნქცია განეკუთვნოს სასამართლოს კომპეტენციას. სისხლის სამართლის პროცესში სამძებრო საწყისების ლიკვიდაცია მოითხოვს არა მარტო ფუნქციების განაწილებას, რომელთაც ასრულებს პრო-

⁶ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები“, გვ. 73, მუხ. 15.
⁷ См. «Государство и право» 1992, № 4, с. 56; «Адвокат», №№ 5—6, 1992.
⁸ См. «Государство и право», 1992, № 6, с. 9. Ⴖ



კურორი, გამომძიებელი, მოკვლევის ორგანო, არამედ შეხედულებების შეცვლას პიროვნების (უპირველეს ყოვლისა, ბრალდებულის, ეჭვმიტანილის), როგორც გამოკვლევის ობიექტის მიმართ. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბრალდებულის ფართო უფლებებით აღჭურვა, რომელთა რეალიზაცია გამომძიებელსა და პროკურორზე დამოკიდებული, ჯერ კიდევ არ აქცევს მას სისხლის სამართლის პროცესის ურთიერთობაში სრულფასოვან სუბიექტად. აუცილებელია არა მარტო პიროვნების გამომძიებელზე იურიდიული ფორმის დამოკიდებულება, არამედ, პირიქით, გამომძიებლისა — პიროვნებაზე. ასეთი დამოკიდებულების დამყარების ერთ-ერთი საშუალებაა, როგორც აღვნიშნეთ, დამცველის დაშვება წინასწარი გამოძიების ადრეულ ეტაპზე. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის მ. ქურადის მოსაზრებას, რომ უფლებები ასევე უნდა გაეზარდოს დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს (დამცველს)⁹, მტკიცებულებების შეგროვების, წარმოდგენისა და გამოკვლევის უფლების მინიჭებით. ადვოკატმა უნდა შეიძინოს უფრო მაღალი მოქალაქეობრივი სტატუსი, გახდეს არსებითად თავისებური „გამომძიებელი საზოგადოებიდან“. ეს იქნება ერთგვარი კონტროლი სახელმწიფოზე საზოგადოებრიობის მხრივ. ამისათვის კი აუცილებელია თვით ადვოკატურის (კერძო ადვოკატურის) გადაქცევა ჭეშმარიტ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციად.

სამართალდამცავი ორგანოებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ასეთი სახით გარდაქმნა გაზრდის სასამართლოს შესაძლებლობას, როლსა და ავტორიტეტს, რადგანაც ორი მოპირდაპირე მხრიდან (ბრალდებისა და დაცვის) თანაბარი უფლებებით მოპოვებული მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება თითქმის გამორიცხავს უკანონო ბრალდებათა შესაძლებლობას. პიროვნებას შეექმნება რეალური დაცვის გარანტია. დამცველის ფუნქციის ამაღლება და გაფართოება გაზრდის თვით გამომძიებლის პროფესიულ დონესაც, რადგანაც აღარ იქნება ძუნწ, არაფრისმთქმელ მტკიცებულებებზე დაყრდნობილი საბრალდებო დასკვნები და განაჩენები.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ გამომძიებისა და სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის ამაღლების ქვაკუთხედი სამართალწარმოებაში არის შეჯიბრებითობის პრინციპის გაფართოება — გაძლიერება, რაც თავისთავად ბრალდებულის (ეჭვმიტანილის), დაზარალებულის უფლების დაცვისათვის სრულყოფილი და რეალური გარანტიის შექმნას გულისხმობს.

⁹ ჟურნ. „სამართალი“, 1991 წ. № 7-8.

წიგნის შპანი

საქართველოს სოციალური პოლიტიკის შეფუთვებისა და განხორციელების საკითხისათვის*

სოციალური პოლიტიკის არსი საზოგადოებაში სოციალურ ურთიერთობათა ახალი სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც დაფუძნებული იქნება მომუშავეთა, მეწარმეთა და სხვა სოციალური ჯგუფების აქტიურ თანამშრომლობაზე ობიექტურად არსებული საკუთარი ინტერესების დასაცავად, ეკონომიკის განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის გაზრდის კვალობაზე. მიმდინარე და პერსპექტიული შესაძლებლობების გათვალისწინებით საჭიროა ინტერესთა ოპტიმალური შეთანხმება მოლაპარაკებებისა და კომპრომისების საფუძველზე. ეს გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების პოლიტიკის განხორციელებას, დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ფორმირებისა და შრომის პირობების ძირეულ ცვლილებას და სოციალურად დაუცველი ფენისათვის სპეციალური და ადრესირებული პროგრამების განხორციელებას.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ახალი სოციალური პოლიტიკის ობიექტები, ანუ ისინი, რომელთა მიმართაც უნდა გატარდეს ეს პოლიტიკა. საზოგადოდ, ეს არის საქართველოს მოსახლეობა, რომელიც სოციალური თვალთახედვით ჩვენ უნდა დავეყოთ შემდეგ ჯგუფებად:

- დასაქმებული მოსახლეობა;
- შრომის უნარიანი დაუსაქმებელი მოსახლეობა — უმუშევრები;
- სოციალურად დაუცველი ადამიანები, რომლებიც საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენენ: შრომის უუნარო მოსახლეობა, პენსიონერები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები, ახალგაზრდობა, სტუდენტები;
- ჯარისკაცები, შეიარაღებული ფორმირებების წევრები.

აქედან გამომდინარე სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს კონკრეტული, და სავსებით ადრესირებულ ხასიათს ატარებდეს თითოეული ამ ჯგუფისათვის, თუ გვინდა რომ მას რეალური შედეგები მოჰყვეს.

ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისას მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს ის პირობები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ სოციალური პოლიტიკის ფორმირებას. დე ადრე სოციალური პოლიტიკის ერთად-ერთ სუბიექტს წარმო-

* საქ. პარლამენტის მწვანეთა ფრაქციის მოხსენების თეზისები.



ადგენდა სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდა მონოპოლიური უფლება განესაზღვრა მისი მიმართულებები, ამჯერად არენაზე ახალი სუბიექტები გამოდიოდა. მეცხოველეები და მათი გაერთიანებები, სხვადასხვა პროფესიული კავშირები, არასახელმწიფოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაციები (ფონდები, მოძრაობები), პოლიტიკური პარტიები და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები. სოციალური პოლიტიკა თავისი არსით მრავალსუბიექტური ხდება. აქედან გამომდინარე სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობა მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული და უპირველესად კი სოციალური სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაზე საზოგადოებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას რეფორმების გაძლიერება და მათი შეუქცევადობა.

მთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ პოლიტიკაზე დისკუსია შეუძლებელია ეკონომიკური რეფორმის, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკისაგან მოწყვეტით. როგორი ეკონომიკური პოტენციალისაც არის ქვეყანა, ისეთ სოციალურ პოლიტიკას ატარებს ის, ვინაიდან სიმდიდრეს, რომელიც უნდა დაიხარჯოს, ქმნის ეკონომიკა, მეურნეობა, თუ ის აშას ვერ ახერხებს, მაშინ სხვა ყველაფერი, მათ შორის სოციალური პოლიტიკაც, დგას და მისი შედეგი სახეზეა. სოციალური პოლიტიკა აქამდე ამ შედეგების გამოსწორებისაკენ იყო მიმართული, ის მოქმედებს იწყებდა მაშინ, როცა თითოეული ჩვენთაგანი გამოდიოდა როგორც მომხმარებელი. მთელი სოციალური პოლიტიკა იწყებოდა და მთავრდებოდა მაღაზიაში. პრობლემები კი მაინც არ სწორდებოდა, ელემენტალური მიზეზის გამო ჩვენ არ ვეძებდით ამ შედეგების სათავეს, პირველწყაროს. მიზეზი კი არის მეურნეობის მოუწყობლობა, მოსახლეობის დასაქმების, მათი შემოსავლების ფორმირების მოუწყვრიბელობა, ისეთი სოციალური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც სოციალურ პარტნიორობას არ ითვალისწინებდა.

ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მდგომარეობასთან, მისი განვითარების სტრატეგიულ მიზნებთან სოციალური პოლიტიკის უშუალო, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მთელი სისრულით გათვალისწინება განსაკუთრებით რთულია დღევანდელ საქართველოში. ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ ეკონომიკური რეალობებიდან, რომელიც არსებობს დღევანდელ საქართველოში და რომელიც შესაძლებელია, რომ შემდეგი ძირითადი ფაქტორებით დავახასიათოთ:

პირველი – საქართველოს ყოფნა „სამანეთო ზონაში“ და აქედან გამომდინარე გარე ზემოქმედების ფაქტორი. ყოფილი სსრკ რესპუბლიკებს, რეგიონებსა და საწარმოებს შორის ინტეგრაციის მაღალი დონე, არსებულ სიტუაციაში ამ კავშირების მორღვევა და მათი რეალური ალტერნატივის ჯერ-ჯერობით არ არსებობა კიდევ უფრო ზღუდავს რესპუბლიკის ისედაც მწირ შესაძლებლობებს. რამდენადაც რთული უნდა იყოს, ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, ეს არ არის მარტო საქართველოში მიმდინარე პროცესი. საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია საკუთარი ეკონომიკური სივრცე და ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება ისე, რომ არ გავითვალისწინოთ გარე ზემოქმედების ფაქტორი. ამ შემთხვევაში რუსეთისა და ყოფილი ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსი.

სპეციფიურია თვით სამომხმარებლო ბაზრის ფორმირების პროცესი, ვინაიდან მთელ რიგ სასაქონლო პოზიციებზე საქართველო იძულებულია ექსპორტს დაეყრდნოს. განსაკუთრებით ეს აღინიშნება სასურსათო საქონელზე და ენერგომატარებლებზე. ერთი მხრივ, საფინანსო კრიზისი და მეორე მხრივ, არსებუ-



ლი ფულის დაუსაქონლების პრობლემა საკუთარი საშუალებებით კიდევ ამწვავებს სოციალურ მდგომარეობას.

მეორე — საკუთრივ ჩვენს მიერ განხორციელებული და რეკლამირებული ეკონომიკური რეფორმა. სოციალისტური ყაიდის ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი მეტად მძიმე და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ აირჩია ყველაზე მარტივი გზა ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისა — ეს არის ფასების ლიბერალიზაცია, რომელმაც წარმოების არნახული დაცემისა და ეროვნული შემოსავლის შემცირების კვალობაზე მოსახლეობის ცხოვრების დონის არნახული დაცემა გამოიწვია. მაშინ, როცა არ მომხდარა საკუთრივ ეკონომიკის ლიბერალიზება, ფასების გათავისუფლებას არ მოჰყოლია ქმედითი ნაბიჯები სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებლად, საფინანსო და საბანკო სისტემის რეფორმის კუთხით. ორიენტირი არ იქნა აღებული მეწარმეობის განვითარებასა და ხელშეწყობაზე. არ დაწყებულა პრივატიზება.

მესამე — ეკონომიკური რეფორმის პოლიტიკური უზრუნველყოფის საკითხი. სამწუხაროდ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ეკონომიკური რეფორმა და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები მხოლოდ ლოზუნგების დონეზეა აღქმული და ასევე ლოზუნგების დონეზეა გატარებული. საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში არ შეიგრძნობა მაქსიმალური მობილიზება ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად, პირიქით, ჩვენი ეკონომიკური და სოციალური საკითხებისადმი გულგრილობა და უმოქმედობა საზოგადოებას უარყოფითად განაწყოებს რეფორმებისადმი.

იმის მიუხედავად, რომ მთავრობა აღიარებს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობას, და თავს მის განმახორციელებლად თვლის, ქვეყნის პერსპექტიული განვითარება, სტრატეგიული მიზნებს ნაწილში, ჯერაც დაუდგენელია. საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი ქვეყანა გვექნება ეკონომიკური სისტემის თვალსაზრისით, რომელ მოდელს ავირჩევთ.

მოსახლეობის სოციალური დაცვის პერსპექტიული მექანიზმის შექმნისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების გარკვევას, როგორიცაა მაგალითად ახალი საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა დონის არა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შექმნის პერსპექტივები, აღნიშნულ სფეროში ტრადიციულად ცენტრალიზებულ ფუნქციათა ნაწილის მათზე, აგრეთვე პროფესიულ კავშირებსა და საწარმოებზე გადანაწილების შესაძლებლობები, სოციალური პარტნიორობის სისტემის შექმნისა და ამოქმედების მიზანშეწონილობა და ა. შ.

ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა გატარდეს წინმსწრები სოციალური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მაქსიმალურ ადაპტაციას ახალი სამეურნეო ურთიერთობებისადმი, იმ ინსტიტუტების და მექანიზმების ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი სოციალური პოლიტიკის წარმართვას ურთიერთობათა ახალ სისტემაში. იმავდროულად ეს პოლიტიკა გულისხმობს არსებული რეზერვების მობილიზებას დღეს არსებული სოციალური პრობლემების გასაწინააღმდეგებლად.

უმუშევრობა და დასაქმების პოლიტიკა. ჯერ საფუძვლიანად არ დაგვიწყია რეფორმის გაღრმავება და უკვე თავს გვახსენებს უმუშევრობა, რომელსაც პროგრესულად მზარდი ზასიათი აქვს.



საკუთრებითი და სტრუქტურული ცვლილებების პროგრამის, ეკონომიკური ტული საინვესტიციო პროექტების განხილვისას უპირველეს ყოვლისა უნდა იქნას ხარჯების სპეციალური მუხლი, რომელიც მოხმარდება მომუშავეთა პროფესიულ ორიენტაციას, მათ შესაბამის კვალიფიცირებას, პროფესიული ორიენტაციის პროგრამები და მათი დაფინანსება უნდა იყოს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და სტრუქტურული ცვლილებების წინმსწრები. თვით ამ პროგრამებმა უნდა მიიღოს ინვესტიციების ხასიათი. ამგვარი მიდგომა, არა მარტო სოციალური თვალსაზრისით არის მომგებიანი, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. პროფესიული ორიენტაციის ასეთი პროგრამებით ჩვენ უზრუნველვეფოთ ახალ მიმართულებებს შესაბამისი ადგილობრივი კადრებით. ეს ერთი.

მეორე — დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კერძო სექტორზე. სწორედ მას ძალუძს შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური მუშახელის მომზადება, ამდენად, ამ მხრივ კერძო სექტორს მაქსიმალურად წამახალისებელი პირობები უნდა შეეუქმნათ, ამ სფეროში საგადასახადო განაკვეთების შემსუბუქებით მომგებიანი სახელმწიფო შეკვეთების მათთვის გადაცემით.

მესამე — დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის საქმეში პრიორიტეტული უნდა იყოს სახელმწიფოს როლი. სახელმწიფოს, გარდა დასაქმების პოლიტიკისა, უნდა ჰქონდეს შემუშავებული დასაქმების კონკრეტული პროგრამა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სტრუქტურული ცვლილებების პოლიტიკას და პროგრამას, სახელმწიფო ინვესტიციების პროგრამებს, რომლის ძირითადი ორიენტაციები დღეს თითქმის არ ჩანს, ისე როგორც არ ჩანს პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები.

მეოთხე — დასაქმების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაცია და ხორცშესხმა უშუალოდ ადგილებზე უნდა მოხდეს. ამდენად, თითოეული რეგიონისათვის სახელმწიფო პროგრამამ გაშლილი და ადრესირებული, სავსებით კონკრეტული ხასიათი უნდა მიიღოს.

მეხუთე — მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს დასაქმების ფონდი და მისი როლი. მოახლოებული სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობის პირას, არსებული საშუალებებით თითქმის შეუძლებელი იქნება მზარდი უმუშევრობის რამდენადმე შემცირება მაინც.

მექვსე — როცა ვლასპარაკობთ უცხოურ ინვესტიციებზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა თუ მომსახურების სფეროში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არანაკლებ ეფექტს მოგვცემს უცხოური ინვესტიციების გამოყენება მომუშავეთა პროფესიული ორიენტაციის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, ეს საკითხი საქართველოში პრაქტიკულად ჯერ არ განხილულა.

მეშვიდე — აუცილებელია ჩავერთოთ შრომის საერთაშორისო ბაზარში, რომელიც ჩვენს მაღალკვალიფიციურ კადრებს საშუალებას მისცემს იმუშაოს საზღვარგარეთ. ამით მნიშვნელოვნად შემსუბუქდება მათი მატერიალური მდგომარეობა, ვინაიდან მთელი რიგი დარგების განვითარებაზე, რომელიც უმეტეს წილად ფუნდამენტურ მეცნიერებათა რიცხვს განეკუთვნება, სახელმწიფო იძულებულია თქვას უარი.

დასაქმებული მოსახლეობა და შემოსავლების ფორმირება. შემოსავლების ფორმირების პროცესი უშუალოდ უკავშირდება იმ ეკონომიკურ სიტუაციას, რო-

მელც არის სახელმწიფოში და რომელიც ზემოთ აღინიშნა. გამოსავალი მხოლოდ სწორად არჩეული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს, რომელიც კომპლექსში გადაწყვეტს, როგორც ეკონომიკის, ისე სოციალური მდგომარეობის საკითხებს.

მოცემულ ეტაპზე ჩვენ უნდა მოვახერხოთ ორი ამოცანის გადაწყვეტა:

პირველი — შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა-პროგრამა. საქართველოს სოციალურ პოლიტიკას საფუძველი დღეს, ერთი მხრივ, სტრუქტურული ცვლილებების პოლიტიკაში, პრივატიზების პროცესში ეყრება და მეორე მხრივ, საფინანსო სისტემის რეფორმაში დღევანდელი სტრუქტურით და საფინანსო სისტემით, ე. ი. ეკონომიკით, შეუძლებელი იქნება რაიმენაირი სოციალური, პოლიტიკის რეალიზება.

მეორე — არსებული რეზერვებით გადაწყვიტოთ დღევანდელი სოციალური პრობლემები და იმავდროულად მოვახდინოთ სისტემის როგორც ორგანიზაციული, ისე შინაარსობრივი ცვლილება, რათა მოხდეს მისი ადაპტაცია ურთიერთობათა ახალ სისტემასთან.

შემოსავლების რეგულირების საკითხთან დაკავშირებით, ყველაზე ოპტიმალურად მიგვაჩნია, ფასების ზრდით გამოწვეული კომპენსაციების პრაქტიკა შესამებულ იქნას მინიმალური შემოსავლის ინდექსაციასთან და შემდგომში ამ უკანასკნელმა მიიღოს პრიორიტეტული ხასიათი. ამით სოციალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი კიდევ უფრო განმტკიცდება, რითაც თანაბრად იქნება დაცული შემოსავლის ყველა ფორმა, გამომდინარე რთული ეკონომიკური სიტუაციიდან, დღეისათვის რთულია მეცნიერულად დასაბუთებული საცხოვრებელი მინიმუმით მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენების უზრუნველყოფა. უახლოეს წლებში სოციალური პოლიტიკა უნდა ავაგოთ თანდათანობით, ეტაპობრივად მიუახლოვოთ მეცნიერულად დასაბუთებულ გარანტიებად. ამ საკითხს უნდა მიუღწეოთ დიფერენცირებულად. ძირითად ორიენტირად უნდა ავიღოთ საარსებო (ფიზიოლოგიური) მინიმუმი, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემდა უზრუნველყო თავი საკვებით, პირველადი მოთხოვნილების საგნებით, კომუნალური მომსახურებით, აუცილებელი მედიკამენტებით და ტანსაცმლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ შრომითი რესურსების კვლავწარმოებას მინიმალურ დონეზეც კი. მინიმუმი გარანტირებული უნდა იყოს დასაქონლებით და ამ მინიმუმის მიღება მოსახლეობისათვის არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას.

სავსებით ცხადი ხდება, რომ არსებული სიტუაციის კიდევ უფრო გაღრმავების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც რეალური შემოსავალი მცირდება და მოსახლეობის რეალური მსყიდველობითი უნარი ეცემა, ეკონომიკის კრიზისული მოვლენების დაძლევა მეტად რთული იქნება.

რეალური ხელფასის ზრდის გარეშე რეფორმის განხორციელება შეუძლებელია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საქონლის — სამუშაო ძალის — რეალური ღირებულება. მაშინ, თუ ჩვენ ჩავთვლით ან დავუშვებთ, რომ სამუშაო ძალა არ არის საქონელი, ნებისმიერ ცვლილებაზე, არა მარტო სოციალურზე, ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ არ უნდა დავუშვათ სამუშაო ძალის გაუფასურება და მაქსიმალურად სწრაფად შევქმნათ სამუშაო ძალის ბაზარი, რომლის ჩანასახი შრომის ბირჟის სახით უკვე არსებობს.

მომუშავეთა კვალიფიკაციის შესაბამისად მათი შრომის ანაზღაურების რანტიების საუკეთესო საშუალებაა, სახელმწიფოსა და პროფკავშირებს შორის დადებული ხელშეკრულება ერთიანი სატარიფო ბადის შესახებ. ერთიანი სატარიფო ბადე გულისხმობს ტარიფიკაციის ერთიან პრინციპებს, მეურნეობის ყველა დარგში თანაბარი სირთულის სამუშაოს ანაზღაურების ერთიან ზომას. ეს უნდა იყოს საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული პარამეტრები, რომლებიც მთლიანობაში შექმნიან ამ ერთიან სატარიფო ბადეს. ყოველი კონკრეტული საკითხი კი ტერიტორიალური და დარგობრივი საწარმოების დონეზე უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

რაც შეეხება საპენსიო უზრუნველყოფას, შრომის უუნარო მოქალაქეების შემოსავლების ფორმირებისას ძირითადი მიზანი უნდა იყოს სოციალური უზრუნველყოფის, დახმარებების გაცემის სისტემის ეტაპობრივი რეფორმა. იგი ზოგადი ხასიათიდან მიმართული უნდა იყოს კონკრეტულ ადრესირებამდე, ოჯახის წევრ სულზე საარსებო (ფიზიოლოგიურ) მინიმუმზე გადაანგარიშებით. ეს უნდა შეეხოს უმრავლესი სახის დახმარებებსა და კომპენსაციებს, რომლებიც გაცივმა ბავშვებზე და სტუდენტებზე.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე შესაძლებელია მოხდეს: დარიცხვები საერთო რესპუბლიკურ დახმარებებსა და კომპენსაციებზე; შემოღებულ იქნას ახალი, დამოუკიდებელი დახმარებები, ახალგაზრდა ოჯახების, პენსიონერების, მარტოხელა დედების, ბავშვების, სტუდენტების მხარდასაჭერად; ნატურალურა დახმარების გაფართოება ყველაზე დაბალი ფენებისათვის.

აუცილებელია დღესვე დაიწყოს მუშაობა შეიარაღებული კონფლიქტის არამართო მატერიალური შედეგების ასანაზღაურებლად, არამედ ფსიქოლოგიური, მორალური და სოციალური შედეგების გასანეიტრალებლად.

მებრძოლებს უნდა მიენიჭოთ ვეტერანების სტატუსი, აქედან გამომდინარე ყველა ეკონომიკური შედეგით, მებრძოლთა ოჯახებს, მშობლებს, მათ ბავშვებს მთელი საომარი მოქმედებების დროს უნდა მიეცეთ შესაბამისი შეღავათები. დაბრუნებულთათვის უნდა განისაზღვროს დახმარებების ხასიათი და ოდენობა, მათი დასაქმების საკითხი კი უნდა გახდეს პრიორიტეტული მიმართულება მთელ ამ პროგრამაში. უნდა მოხერხდეს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის მაქსიმალური შემსუბუქება. ეს საკითხები კომპლექსურ გადაჭრას და განზოცრელებას მოითხოვს, თუ არ გვინდა რომ ომის შედეგები უფრო მძიმე აღმოჩნდეს. ეს იქნება ყველაზე დიდი ნაბიჯი სოციალური პარტნიორობის გზაზე.

სოციალური პარტნიორობა — ეს არის უმნიშვნელოვანესი პროცესი სოციალური კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად. სოციალური პარტნიორობის განვითარების ძირითადი საკითხია მოლაპარაკებებისა და კომპრომისების მიღწევა, შეთანხმების შედეგად აღებული ვალდებულებების აუცილებელი შესრულება.

სოციალური პარტნიორობა არ უნდა ნიშნავდეს ერთმანეთისათვის ცრუ დაპირებების მიცემას. ასეთ ნიადაგზე მიღწეული შეთანხმება, როგორც წესი, არამყარია და სწრაფად ირღვევა, შედეგები კი ბევრად უფრო უარესია, ვიდრე შეთანხმებამდე. სოციალური პარტნიორობის ძირეული რგოლი არის საწარმო. ამ პარტნიორობის მექანიზმების დამუშავება სწორედ იქ უნდა მოხდეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი დეპუტატების აქ ყოფნა სწორედ სოციალური პარტნიორობის ნაყოფი ვახლავთ, მიუხედავად სიდუხჭირისა, უადრესად



რთული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციისა, მოსახლეობამ გადადგმა ბიჯი ასეთი პარტნიორობისათვის და ჩვენ დაგვავალა ვიყოთ მათი პარტნიორი სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ამდენად, ჩვენი აქ ყოფნა ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება შეცდომაში არ შევიყვანოთ, არ დავპირდეთ ოქროს მთებს, პოპულისტური ნაბიჯებით არ შევინარჩუნოთ მათი მხარდაჭერა შიგადაშიგ უპურობის, უბინაობის, უბენზინობის თუ უკანონობის შესახებ გულისშემაწუხებელი განცხადებებით.

ჩვენი, ამ შემთხვევაში, როგორც საზოგადოების სოციალური პარტნიორის ვალია წინასწარ ვუთხრაოთ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რა სირთულეები მოჰყვება ამას, როგორ ვცდილობთ მათ გადაჭრას, რა გამოგვივა და რა არა და არ შემოვიყარგლოთ მართო მწვავე განცხადებებით.

სახელმწიფომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არასწორი პოლიტიკის განხორციელების გამო ახალი სოციალური პოლიტიკის გატარებით თავის თავზე უნდა აიღოს მთელი რიგი გარანტიები საზოგადოების და მოსახლეობის წინაშე.

უახლოეს მომავალში პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონთა მთელი პაკეტი, რომელიც სოციალური პოლიტიკის პროგრამის იურიდიული ბაზა და მისი მოქმედებაში მოყვანის მთავარი მექანიზმი იქნება.

ეს არის:

- კანონი ხელფასის — შრომითი ანაზღაურების შესახებ;
- კანონი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესახებ;
- კანონი სახელმწიფო შემწეობის შესახებ;
- კანონი სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის შესახებ;
- კანონი დასაქმების შესახებ საჭიროებს გადამუშავებას, და სხვა საკანონ-

მდებლო აქტები.

მათი მიღების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ რეალურად გვინდა ვიაროთ რეფორმების გზით.



ირაკლი გოჩიაშვილი


დანაშაულობა და იმპერიული ავტორიტარიზმი საქართველოში

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება მოხდა იმპერიული ავტორიტარიზმის კრახის ფონზე. პირველად, დიდი ხნის შემდეგ, მეცნიერებს, განსაკუთრებით ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს, მიეცათ საშუალება მოეხდინათ თავისი ცნობიერების დეიდეოლოგიზაცია, განთავისუფლებულიყვნენ აპრიორული აზროვნებისაგან, კრიტიკულად შეეფასებინათ სოციალური პროფილის მეცნიერული პრობლემები. შემოქმედებითი თავისუფლების ატმოსფერო ფეხს იკიდებს იურიდიულ მეცნიერებაშიც, თავისუფლების სული ეუფლება შემოქმედებით ძიებასაც კრიმინოლოგიაში — მეცნიერებაში, რომელიც სწავლობს დანაშაულობის სოციალურ არსს, მისი გამოვლენის კონკრეტულ-ისტორიულ თავისებურებებს.

მომხდარი ცვლილებების გააზრება საშუალებას გვაძლევს ახლებურად შევაფასოთ სოციალისტური კრიმინოლოგიის ტრადიციული კონცეფცია. მისი კრახი განპირობებული იყო იმ საზოგადოებრივი სისტემის და მისი მთავარი პოსტულატების კრახით, რომლებსაც იგი ემყარებოდა. იმას, რასაც დღეს, ისტორიის კრიტიკული გააზრების შედეგად, ვარქმევთ — იმპერიას, მონოპოლიზმს, ავტორიტარიზმს, არათავისუფლებას და ა. შ. ყოფილ სოციალიზმის სისტემაში სულ სხვა სახელები ერქვა. ჩვენს თვალწინ ადგილებს იცვლიან პოზიტიური და ნეგატიური. ის მოვლენები და პროცესები, რომლებსაც ადრე სისტემის უპირატესობები ერქვათ, დღეისათვის მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებებად იქცნენ.

როგორც ვხედავთ, სახეზეა ორი სხვადასხვა მიდგომა, ორი ერთმანეთთან შეურიგებელი კონცეფცია ერთი და იგივე სოციალური მოვლენების როლის და მნიშვნელობის შეფასებასთან დაკავშირებით. ამიტომ, კრიმინოლოგიურ ჭრილშიც აუცილებელია ამ რეალიების გათვალისწინება, შექმნილი ვითარების მეცნიერული გააზრება, დანაშაულობის სოციალური არსის და მისი თავისებურებების დადგენა ობიექტური დეიდეოლოგიზირებული პოზიციებიდან.

დანაშაულობის არსის დადგენისათვის საჭიროა გავიდეთ დანაშაულობის უშუალო მოცემულობის ფარგლებს გარეთ სოციალურ სინამდვილეში; მხოლოდ სოციალური პროცესების შესწავლით შეიძლება გაიხსნას დანაშაულობის არსი, რადგან სოციალური შინაარსის გარეშე დანაშაულობა ფუჭი ცნებაა.



სოციალურის, როგორც ზოგადის, ყოფიერება ვლინდება და განისაზღვრება განსაკუთრებულის მეშვეობით, რაც ყოველ ისტორიულ ეპოქაში ეკონომიკურ-პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა სახის ურთიერთობების სპეციფიკური ერთობლიობაა. სწორედ ამ ურთიერთობების ხასიათთან დაკავშირებით საზოგადოებაში ყალიბდება ადამიანთა ქცევის თავისებურებანი, რაც დანაშაულობაშიც ვლინდება. ამის გამო, დანაშაულობის არსიც ამ ურთიერთობებიდან გამოდინარე უნდა დავადგინოთ, რადგან მისი კონკრეტულ-ისტორიული ყოფიერება სხვა არაფერია თუ არა ამ ურთიერთობების სპეციფიკურ-დანაშაულებრივ ფორმის გამოქვადვება.

ამ ურთიერთობების შინაარსის ცხადად წარმოდგენისათვის საჭიროა თავალი გავადგენოთ მათი ისტორიული წარმოშობის პროცესს, გავარკვიოთ ის სოციალური საფუძველი, რომელმაც განაპირობა ამ ურთიერთობების ჩამოყალიბება, დავადგინოთ ის ისტორიული ძალები, რომელთა მეშვეობით საფუძველი ეყრებოდა მის შემდგომ არსებობას. სწორედ აქ არის დაშვებული ის შეცდომა. რამაც, საბოლოოდ, ე. წ. სოციალისტური კრიმინოლოგია მიიყვანა სოციალისტურ საზოგადოებაში დანაშაულობის არსის შესახებ იმ დასკვნამდე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საგანთა რეალურ მდგომარეობას და ობიექტურ მეცნიერულ ანალიზს.

ასეთი სიტუაცია შემთხვევით არ შექმნილა. მარქსიზმის დოგმაში აყვანა, მისი მოძველებული პოსტულატების საქვეყნოდ აღიარება სოციალიზმის ურყევ საფუძველბად ხელსაყრელი იყო გაბატონებული პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტისათვის და განიხილებოდა მის მიერ, როგორც მთავარი იდეოლოგიური იარაღი დასავლეთის საზოგადოების განვითარების ალტერნატიულ მოდელთან ბრძოლაში. იმ დროს, როდესაც ისტორიულად არ დადასტურდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი წინააღმდეგობის გარდუვალი გამწვავების შესახებ კ. მარქსის პროგნოზი და აქედან გამომდინარე, სოციალისტური რევოლუციის განხორციელების აუცილებელი საჭიროება, კომუნისტურად ორიენტირებულ ქვეყნებში ხელოვნურად იძაბებოდა კლასობრივი სიძულვილის ატმოსფერო.

ამ ფონზე დანაშაულობის არსი განიხილებოდა შრომასა და კაპიტალს შორის ეკონომიკური ანტაგონიზმის ასპექტში. ასეთი მიდგომის შესაბამისად ასკვნიდნენ, რომ სოციალიზმის პირობებში დანაშაულობა გადმონამოთურ ხასიათს ატარებს, რადგან აქ ლიკვიდირებულია კერძო საკუთრება, როგორც საზოგადოების ურთიერთობებში უთანასწორობის და ანტაგონიზმის საფუძველი, ხოლო ანტაგონისტური წინააღმდეგობის არსებობა არის პირობა, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულობის შენარჩუნებას. თავის მხრივ, ე. წ. დანაშაულობის უშუალო მიზეზს სოციალიზმის პირობებში ხელაუდნენ საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ნეგატურ, აგრეთვე გადმონამოთური ხასიათის მხარეებში, რომლებიც ობიექტურ გარემოებებთან შედარებით უფრო სიცოცხლისუნარიანი იყვნენ და ამდენად პოზიტიური სოციალური პროცესების გავლენას უფრო ძნელად ექვემდებარებოდნენ. სინამდვილეში კი მიზეზი სულ სხვა რამ იყო. ეს რომ ნათელი გახდეს, საჭიროა განვიხილოთ ფაქტობრივი მხარე იმ სოციალური პროცესებისა და მათი შედეგებისა, რომლებმაც თავისი ლოგიკური განვითარება პოვეს კონკრეტულად საქართველოში ისეთი იმპერიული სისტემის შექმნით, რომელიც ახშობს ერის და ცალკეული პიროვნების თავისუფლებას, ადამიანს აქცევს უზარმაზარი ბიუროკრატიული მანქანის დანართად, მის ჭანჭიკად.

ერისათვის მისი ნების საწინააღმდეგოდ უცხო საზოგადოებრივი წყობილების თავს მოხვევა, მისი ტერიტორიის ანექსია ხდებოდა კაპიტალისტური ექსპლუატაციის ტყვეობიდან საქართველოს განთავისუფლების დემაგოგიური ლოზუნგით. სინამდვილეში კი საქართველო არასოდეს არ განიცდიდა კაპიტალიზმის მიმე უღელს, რადგან საქართველოში იგი არც არსებობდა. საქართველო ოდიტ-გან აგრარული ქვეყანაა და მისთვის კერძო საკუთრების ინსტიტუტი ბუნებრივი მოვლენა იყო. ამდენად ქართველი გლეხკაცის ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული წესის მოშლა ნამდვილ ტრაგედიად იქცა. ერზე ასეთი ძალადობა იურიდიულად განმტკიცებული იყო როგორც საქართველოს ნება გაერთიანებულიყო სხვა სახელმწიფოებთან ერთად ერთ საკავშირო სახელმწიფოში.

თუ ბუნებითი კანონი ერს უფლებას აძლევს თვითონ აირჩიოს საკუთარ საზოგადოებრივი განვითარების გზა, რომელიც ბუნებრივად და კანონიერად გამოდინარეობს მისი ყოფიერების ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობიდან, მაშინ, ცხადია, რომ საქართველოს, როგორც იმპერიული დანართის ნიადაგი, თავიდანვე ფორმირდებოდა ხელოვნურად, ისტორიის ობიექტური კანონების საწინააღმდეგოდ, ამდენად ძალადობით და არაკანონიერად.

ობიექტური კანონებიდან გადახვევამ გამოიწვია ფორმით იმპერიული და შინაარსით ავტორიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წანამდევრები, რომელშიც საზოგადოებრივი ურთიერთობების არსი გამოიხატებოდა არა წარმოების საშუალებებზე საკუთრების საზოგადოებრივი ხასიათით, როგორც ამას ოფიციალურად ამტკიცებდნენ, არამედ იმით, რასაც ფაქტობრივად ჰქონდა ადგილი — სახელმწიფოს მონოპოლიით საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში ეკონომიკიდან ზნეობამდე, როგორც ერის, ასევე ცალკეული პიროვნების უფლებებით.

ამგვარად, საქართველო ჩათრეული აღმოჩნდა მისთვის უჩვეულო და უცხო პროცესში, რითაც მან დიდი ზნით დაკარგა საკუთარი სახელმწიფოებრიობა.

შექმნილ ვითარებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ბუნებრივია, რომ ხალხს არ სურდა დამორჩილებულიყო საკუთარი არსის ბუნების საწინააღმდეგო წესებს. იმპერიაში მოქმედი წესები ხალხისათვის, პიროვნებისათვის იმდენადვე უცხო აღმოჩნდნენ, რამდენადც მკაცრნი, რადგან არ ითმენდნენ დაუმორჩილებლობის სულ მცირე ნიშნებსაც კი. ამ პირობებში ხალხის მისწრაფება თავისუფლებისაკენ, როგორც მისი განვითარების ერთადერთ შესაძლებელ საშუალებისაკენ, განდევნილი იქნა მისი ფსიქიკის შინაგან სიღრმეებში — არაცნობიერ დონეზე, საკმაოდ დიდი ზნის განმავლობაში მისი ენერჯია კი, რომელსაც არ ჰქონდა გარეთ ჰუნებრივად გამოსვლის საშუალება, სოციალურად დამახინჯებულ ფორმებში იჩენენ თავს, მათ შორის მოქმედებაში, რომლებიც არსებული კანონის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდნენ და ეს მდგომარეობა შემთხვევით არ წარმოშობილა.

იმისათვის, რომ აღამიანს მიცემოდა საშუალება ეკეთებინა თავისი ერისა და ხალხისათვის სასარგებლო და საჭირო საქმე, იმპერიის არსებობის პირობებში არ იყო საკმარისი ამ საქმის კარგი ცოდნა და პროფესიონალიზმი.

საჭირო იყო, რომ მას დაემტკიცებინა ხელისუფლებისათვის თავისი ლოიალობა, იდეოლოგიური მხარდაჭერა, კლასობრივი პოზიცია. მხოლოდ ადამიანის არსებობისათვის დამამცირებელი მთელი ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ მისთვის შეეძლოთ მიეცათ უფლება თავი გამოეჩინა საქმეში, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში არასოდეს არავითარი კავშირი პოლიტიკასთან არ ჰქონია. ასეთ-



ნაირად სისტემა თვითონ ქმნიდა ნიადაგს კარიერიზმისათვის, სტიმულს აძლევდა პიროვნებებში გამოძვლავებულიყო მდაბალი მიდრეკილებები, უხსნიდა გზას რე-
 იჭობას, შეუბრალებლად სპობდა მისთვის არასასურველ, მაგრამ ნიჭიერ ადა-
 მიანებს. პარტიულ-სახელმწიფოებრივი ნომეკლატურისადმი მიკუთვნება ადა-
 მიანს აყენებდა კანონზე მაღლა, აძლევდა მას უფლებას განსაკუთრებული პრი-
 ვილეგიებით ესარგებლა. იმპერიული სულმდაბლობა და ვერაგობა იმაშიც გამო-
 იხატებოდა, რომ ხელოვნურად შექმნილი უფუფლებობის პირობებში იგი „ჭკვია-
 ნურად“ იყენებდა ადამიანის სუსტ მხარეებს. მონური ერთგულების სანაცვლოდ
 ადამიანს თავის ძლიერ მფარველობას სთავაზობდა. სწორედ სისტემა აღმოჩნდა
 ადამიანთა ურთიერთობებში უკანონობის და თვითნებობის დამკვიდრების მთა-
 ვარი მიზეზი, რადგანაც თავისი არსით იგი თვითონ იყო თვითნებობა. ამიტომ
 საზოგადოებაში კანონის პარალელურად წარმოიშვებოდა და ფუნქციონირებდა
 ადამიანთა ურთიერთობების სხვა დონე, რომელიც ფორმალურად კანონსაწინააღ-
 მდეგო იყო, მაგრამ თავისი არსით ძალზე შეესატყვისებოდა მის მიერ წარმო-
 შობილ ავტორიტარული სისტემის სულს.

ეს დონე, ასე თუ ისე, მჟღავნებდა უკლებლად ყველა მართლსაწინააღმდე-
 გო ქცევაში, მაგრამ განსაკუთრებით ცხადად მისი არსი ჩანდა დანაშაულებებში,
 რომლებიც დაკავშირებული იყვნენ სახელმწიფო ქონების ხელყოფასთან და ეს
 მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კანონი ამ ტიპის დანაშაულობებთან შე-
 ღარებით მკაცრი იყო. მაგრამ საგულსხმოა, რომ სწორედ მათ წინააღმდეგ
 იგი აღმოჩნდა ყველაზე უფრო უძლური.

საზოგადოებაში არაოფიციალურად ბატონობდა მოქმედ კანონთან ალტერ-
 ნატიულად მდგარი სხვა თვალსაზრისი, რომელიც კი არ კიცხავდა, პირიქით, ახა-
 ლისებდა ასეთ ქცევას. ამ თვალსაზრისში ყველაზე ნათლად აისახა საზოგადო-
 ების, პიროვნების სახელმწიფოსაგან გაუცხოების ზოგადი პროცესი, რადგან მას-
 ში იყო დამალული ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადამიანის შეურიგებელი უთან-
 ხმოებისა სახელმწიფოსთან, რომელმაც წაართვა მას პოლიტიკურ თავისუფლე-
 ბასთან ერთად ეკონომიკური თავისუფლებაც — უფლება კერძო საკუთრებაზე.
 ახლა უკვე ნათელი ხდება ის თუ რაში მდგომარეობდა დანაშაულობის და სხვა
 სოციალური გადახრების არსი იმპერიული ავტორიტარიზმის პირობებში. იგი
 მდგომარეობდა თავისი ხასიათით არაბუნებრივ, არათავისუფალ, იძულებით ეკო-
 ნომიკურ, პოლიტიკურ და სხვა ურთიერთობებში, რომლებიც წარმოშობდნენ
 ხალხსა და სახელმწიფოს შორის არსებულ ფარულ ანტაგონიზმს, უნდობლო-
 ბას, ერთმანეთის შიშს.

ანტაგონიზმი, რომელიც თავის გადაწყვეტას პოულობდა საზოგადოებრივი
 ინდივიდების სოციალურად დამახინჯებულ ქცევის ფორმებში, შეუძლებელია არ
 გააზრებელიყო როგორც ჩაგვრის, დამცირების, სიყალბის და უაზრობის მდგო-
 მარეობა. ამიტომ, იმისათვის, რომ ადამიანს თავი დაეხსნა ამ მდგომარეობისა-
 გან იგი არაცნობიერად მიისწრაფოდა უსულო, არაგაცნობიერებულ, მექანიკურ
 არსებობისაკენ.

ეს მდგომარეობა ადამიანის ცნობიერებისათვის ძალზე სახიფათო მოვლე-
 ნაა, რადგან იგი მას ართმევს ყველაფერ ცოცხალს, უშუალოს, ადამიანურს და
 მას ცვლის სულმდაბალი ვნებებით, ასოციალური ინსტინქტებით, რომლებიც და-
 მახასიათებელია ადამიანების განვითარების ცივილიზაციამდეღი დონისათვის,
 სადაც კანონი საზოგადოების მიერ ჯერ არ არის გაცნობიერებული, როგორც ადა-
 მიანების თავისუფლების და პასუხისმგებლობის ყოფიერება, ხოლო მათ ურთი-

ერთობებში ჭარბობს თვითნებობა, რომელიც ემყარება ძალის, ეშმაკობის, ვერაგობის, სიცრუის, ტყუილის ავტორიტეტს.

ამ, თავისი არსით საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის ტრაგიკულ ფორსჟე, სასტიკი რეპრესიების პირობებში დაწყებულმა დემოკრატიულმა მოძრაობამ, სისტემის მძლავრი და დაუნდობელი წინააღმდეგობის მიუხედავად, შესძლო გადვიძებინა ხალხის მასა მათი არსებობის უგონო მდგომარეობიდან, გაერღვია ტოტალური კონფორმიზმის ვითარება, ჩაესახა ადამიანებში მისწრაფება მათი საკუთარი მეობის გაცნობიერებისაკენ.

ჰეგელი მართალი აღმოჩნდა, როდესაც წერდა, რომ „ადამიანი არ ჩერდება არსებულ სინამდვილეზე და ამტკიცებს, რომ თავის თავის შიგნით ფლობს სიმართლის მასშტაბს. მას შეუძლია დაექვემდებაროს გარეშე ავტორიტეტის ძალას და აუცილებლობას, მაგრამ არასოდეს არ დაექვემდებარება მათ ისე, როგორც ბუნების აუცილებლობას, რადგან მისი შინაგანი არსი ყოველთვის ეუბნება მას, როგორ უნდა იყოს და იგი თავის თავის შიგნით პოულობს დამტკიცებას ან არ დამტკიცებას იმისას, რასაც კანონის ძალა აქვს“¹.

დაახლოებით იგივე აზრი აქვს გამოთქმული ჩვენს თანამედროვეს ვ. ფრანკლს „ადამიანი, — წერდა იგი — არ არის თავისუფალი პირობებისაგან. მაგრამ იგი თავისუფალია დაიკავოს პოზიცია მათ მიმართ. გარემოებები არ განაპირობებენ მას მთლიანად. მასზე, — მისი შეზღუდვების ფარგლებში, — დამოკიდებულია დემორჩილება იგი თუ არა, დაუთმობს თუ არა ის პირობებს. მას აგრეთვე გააჩნია უნარი მათზე მადლა დადგეს და ასეთნაირად გაიხსნას და შევიდეს ადამიანურ განზომილებაში“².

ეს არის სწორედ ის, რაც არსებული სისტემის პირობებში ხალხმა შესძლო გაეკეთებინა. ამით მან დაამტკიცა, რომ ადამიანს თავისუფლებისათვის, საზოგადოებაში ჰეშმარიტად ადამიანური ურთიერთობების დამტკიცებისათვის შესწევს უნარი დადგეს წუთიერსა და არსებულ უშუალო მოცემულობაზე მადლა, უარყოს თავისი არაბუნებრივი და ამიტომაც დანაშაულობრივი მდგომარეობა, იმ შემთხვევაშიც თუ იგი არის ამ მდგომარეობასთან სავესებით შეგუებული, რადგან მისი საკუთარი მეობის გაცნობიერება მიისწრაფვის იმისაკენ, რომ თავისი თავისუფლება განამტკიცოს სამართლებრივად და არა როგორც თვითნებობა და უკანონობა. სხვა შემთხვევაში ერის და პიროვნების განვითარება უბრალოდ შეუძლებელი ზდება.

კ. მარქსს არ სჯეროდა, რომ კერძო საკუთრების პრინციპზე აგებულ სახელმწიფოში შესაძლებელია დემოკრატიის არსებობა. ანარქისტები მიდიოდნენ კიდევ უფრო შორს, როდესაც ნებისმიერ სახელმწიფოში ხედავდნენ ბოროტებას, რომელიც ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას. საზოგადოების განვითარების დასავლური მოდელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შესაძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა, რომელშიც ორგანულად იქნება შეხამებული სახელმწიფოს სამართლებრივი არსი და ადამიანთა უფლებები. ისტორია განსჯის ვინ არის მართალი. ყოველ შემთხვევაში მან უკვე დაამტკიცა, რომ საზოგადოებრივი განვითარების სოციალისტური მიმართულება მის ავტორიტარულ-იმპერიულ ვარიანტში არის მცდარი და უპერსექტივო გზა, რადგან იგი ართმევს ადამიანებს მათ ძირითად უფლებებს, რაც მათი არსის, მათი მეობის წართმევის ტოლფასია.

¹ Гегель, Философия права, М., 1990, с. 57.

² Франкл, Человек в поисках смысла М., 1990, с. 77. |



ანგვარად, იმპერიული კრიმინოლოგიის კონცეპტუალური სქემის საწინააღმდეგოდ, — რომლის მიხედვით დანაშაულობის არსი სოციალისტური სისტემის პირობებში კაპიტალიზმის გადმონაშთის როლში გამოდიოდა, — ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სინამდვილეში ეს არსი მდგომარეობდა სწორედ თვით დემონტირებულ სისტემაში, იმ ურთიერთობების ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში, რომელსაც ეს სისტემა უშუალოდ ბადებდა. და თუ ღირს საერთოდ ლაპარაკი დანაშაულობაზე, როგორც გადმონაშთზე, მაშინ მისი ამგვარი გაგება, პირველ რიგში უნდა გადავიტანოთ დღეს საზოგადოებაში შექმნილ რთულ კრიმინოგენულ ვითარებაზე, რომლის ფესვები ნამდვილად არსებობენ ყოფილ სისტემაში, რომლისგანაც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ კანონის უპატივცემულობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლის და მნიშვნელობის უგულვებელყოფის მდგომარეობა, რომელიც კიდევ დიდი ხნის მანძილზე შეგვაწუხებს, რადგან კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს გამოვსვლა ამ არაბუნებრივი ვითარებიდან, რომელშიც აღმოვჩნდით ჩვენი ნება-სურვილის გარეშე.

დავით დავითაძე ✓

ქონტრაბანდის როგორც საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის თეორიის უკუდასტურება

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, მრავალმა სცადა „საზოგადოებრივი საშიშროების“ კატეგორიის ცნების განსაზღვრა. მათ შორის მრავალი, განსაკუთრებით სახელმძღვანელო ლიტერატურაში, განიცდის ტავტოლოგიას — თვით საშიშროება განსაზღვრულა საზოგადოების ინტერესებისადმი მიყენებული ზიანის (ზარალის) საშიშროებით. ცხადია, არ ვაპირებ ამ დისკუსიაში ჩართვას, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ჩემი აზრით, დანაშაულის „საზოგადოებრივი საშიშროების“ ცნების შედარებით წარმატებული განსაზღვრება მოგვცა პროფ. ი. ი. ლიაუნოვმა: „სისხლისსამართლებრივი საზოგადოებრივი საშიშროება არის დანაშაულის გარკვეული ობიექტური ანტისოციალური მდგომარეობა, რაც განპირობებულია მისი უარყოფითი თვისებებისა და ნიშნების მთელი ერთობლიობით და თავის თავში შეიცავს კანონის მიერ დაცულ საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი ზიანის (ზარალის) მიყენების რეალურ შესაძლებლობას“¹.

¹ Ляпунов Ю. И. Общественная опасность деяния как универсальная категория советского уголовного права, учебное пособие, М., 1989, стр. 39.



მართალია, ამ აზრით საზოგადოებრივი საშიშროება ნიშანდობლივად ჩველად ყველა სახის დანაშაულისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას გამოვლინებაში აქვს თავისებურებანი. ამდენად, შეგვიძლია ვილაპარაკოთ გარკვეული სახის დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების სპეციფიკურ ნიშნებზე, კერძოდ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, ხულიგნობა, ნარკოტიკულ საშუალებათა გატაცება და ა. შ. ასეთი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია კონტრაბანდასაც.

კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროების რამდენადმე სრული სურათი მოგვცა მ. პ. კარპუშინმა. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი სახის ხელყოფით გამოწვეული ზიანის თავისებურებანი, რომლებიც ავლენენ საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას, შემდეგში მდგომარეობს: 1. სახელმწიფო განიცდის ეკონომიკურ ზარალს, რამდენადაც ბიუჯეტში არ შედის შემოტანილი საქონელის ბაჟი; 2. ქვეყანაში იარაღისა და საბრძოლო მასალების კონტრაბანდული გზით შემოტანა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს; 3. იქმნება ნიადაგი, რათა კონტრაბანდისტების ხელში თავი მოიყაროს უკანონო შემოსავლებმა, რაც უმეტესად მილიონობით მანეთით განისაზღვრება; 4. კონტრაბანდული გზით საზღვარგარეთ გატანილი ფულით გარკვეული წრეების მიერ ზდება უცხოეთის მტრულადგანწყობილი აგენტურის საქმიანობის დაფინანსება; 5. ზოგჯერ კონტრაბანდა სახელმწიფო უშიშროებას უქმნის უშუალო საფრთხეს.

კონტრაბანდის მავნების თითოეული ამ გამოვლინებით ხასიათდება მისი საზოგადოებრივი საშიშროების ერთი რომელიმე სპეციფიკური ნიშანი. ამასთან, ამ ნიშანთა მხოლოდ მაქსიმალურად სრული ერთობლიობა ქმნის აღნიშნული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მთლიან სურათს. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, საჭირო ხდება ზოგიერთი მითითებული ნიშნის კონკრეტიზირება, ამასთან უნდა წარმოვაჩინოთ კონტრაბანდის მავნე თვისებათა სხვა ობიექტური გამოვლინებანიც, რომლებიც, ზუსტად რომ ვთქვათ, წარმოადგენენ ჩადენილი ქმედების სოციალურ შედეგს. თუმცადა, კონტრაბანდა, როგორც ცნობილია, თავისი ნორმატიულ-კონსტრუქტიული თავისებურებებით მიეკუთვნება ფორმალური შემადგენლობის დანაშაულს.

გამოვდივართ იქიდან, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს უშედეგო დანაშაული. ნებისმიერი დანაშაული, იმისდა მიუხედავად, მისი შემადგენლობა კონსტრუირებულია თუ არა კანონში როგორც მატერიალური ან ფორმალური, ჩვენი გარემოს სოციალურ სინამდვილეში ყოველთვის შეიცავს გარკვეულ უარყოფით ცვლილებებს, ასე თუ ისე ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვის სისტემის დეფორმირებას, მის ნორმალურ ფუნქციონირებაში შეაქვს დეზორგანიზაციის ელემენტები. დანაშაულით წარმოშობილი სწორედ ეს დესტრუქტიული ცვლილებები და დარღვევები წარმოადგენენ მის სოციალურ და მავნე შედეგებს, რომელთა უშუალო ინტეგრირებაც ხდება დანაშაულებრივი ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროების სტრუქტურაში.

ნებისმიერი კონსტრუქციის შემადგენლობის დანაშაულის სოციალური შედეგი ძვეს სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტის არა მართო სიბრტყეზე (ან სფეროში), არამედ მავნედ ეხება დამატებით ფაკულტატურ ობიექტებსაც. ამდენად, მას აქვს განფენილობის საკმაოდ ფართო სექტორი. ასეთი ვითარება მეტად ტიპიურია კონტრაბანდისათვის.

კონტრაბანდა თავისი სოციალურად მავნე შედეგებით „მრავალვექტორიანი“ დანაშაულია და როგორც მეტასტაზები ვრცელდებიან შემოქმედებითი საზო-



გაღობრივი ცხოვრების მრავალ სფეროში და მათში იწვევენ დამანგრეველ ცვლილებებს.

კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროების ეკონომიკური ასპექტი, უწინარესად, ის არის, რომ იგი არსებითად არღვევს რესპუბლიკაში დადგენილ საგარეო ვაჭრობის წესს, ამასთან ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს საბაჟო ტარიფების გადაუხდელობის გამო. ქვეყნის ეკონომიკა სერიოზულ ზარალს განიცდის აგრეთვე წარმოების ნარჩენების, დეფიციტური ფერადი ლითონების მეორადი ნედლეულის კონტრაბანდის გამო.

კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროებას სპეციფიკური თავისებურება ისიც არის, რომ იგი სერიოზულად არღვევს სახელმწიფოს საფინანსო სისტემას, რადგან ამ არალეგალური არხის გზით საზღვარგარეთ უწყვეტად გაედინება მსხვილი ფულადი მასა, რაც კომპეტენტური ორგანოების პროგნოზული შეფასებით მილიარდობით მანეთს შეადგენს. ამდენად, აუცილებელია საიმედოდ გადაეკეტოს გზა საზღვარგარეთ ფულის კონტრაბანდულ გატანას. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხია სწორედ ახლა, როცა დაწყებულია სახალხო მეურნეობის ობიექტების პრივატიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის მიერ დანაშაულებრივი კაპიტალის დაგროვება. ამ უკანასკნელს ხელს უწყობს „კონტრაბანდა — რეკონტრაბანდის“, ანუ „გატანა-შემოტანის“ ტიპის გარიგებანი სასაქონლო ექვივალენტით, რის ერთადერთი რგოლია იმპორტული საქონლის შემოტანის ოპერაციები. ასეთი საქონლის საშინაო ბაზარზე, მათ შორის კომერციულ მაღაზიებში გასაღებით განსაკუთრებით დიდ მოგებას იჯიბავენ ე. წ. „საქმოსნები“. კონტრაბანდის გზით შექმნილი „ველური“ ფულის მთელი მღვრიე ნაკადი მომავალში შეიძლება მოხმარდეს სახელმწიფო ქონების მთლიანად გაყიდვას. ასეთი ვითარების საზოგადოებრივი საშიშროება მეტად ცხადია. ამდენად, გადაუდებელი ამოცანაა კონტრაბანდის წინააღმდეგ გეგმაზომიერი და მიზანსწრაფული ბრძოლა.

თანამედროვე პირობებში კონტრაბანდის ეკონომიკური საშიშროება ისიც არის, რომ კონტრაბანდა პირწმინდად აცარიელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საშინაო ბაზარს. მწვავე სასაქონლო დეფიციტის მიუხედავად კონტრაბანდისტები მაღაზიებში ყიდულობენ რაც შეიძლება ყველაფერს (კვების პროდუქტებს, წამლებს, საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკას, ლურსმანსა და ანჯამებსაც კი) და მიაქანებენ მეზობელ სახელმწიფოებში.

ამრიგად, კონტრაბანდა კიდევ უფრო ამწვავეს სასაქონლო დეფიციტს ქვეყანაში, ძირფესვიანად არყვევს საშინაო სამომხმარებლო ბაზრის ბალანსირებას, რაც იწვევს სოციალურ დამაბულობასა და მოსახლეობის სამართლიან უკმყოფილებას. ამას კი საბოლოოდ მიყვავართ მწვავე კონფლიქტურ სიტუაციამდე მომხმარებელსა და ხელისუფლებას შორის. ყველაფერი ეს ქმნის სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ დეფორმაციას, რაშიც ლომის წილი კონტრაბანდას მიუძღვის. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონტრაბანდა ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფო საგარეო ვაჭრობას, არამედ ნეგატიურად მოქმედებს საშინაო ვაჭრობის ინტერესებზეც. ეს გარემოება შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროების „ერთობლივი სიდიდის“ შეფასებისას, რამდენადაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის იმ სფეროებზე, რომელთა ფუნქციონირებაში შეაქვს დესორგანიზაციის ობიექტური ელემენტები.

ამჟამინდელ პირობებში, როცა უკიდურესად დაქვეითებულია სამრეწველო წარმოება, მძვინვარებს ტოტალური დეფიციტი, შექმნილია დისბალანსი, როგორც ზონილებასა და მიწოდებას შორის, გაცილებით მწვავედა კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროება, ვიდრე, ვთქვათ, 8-10 წლის წინათ, როცა ასე თუ ისე სამომხმარებლო საქონლის უხვი ბაზარი გვექონდა და სასაქონლო მასის რაღაც ნაწილის კონტრაბანდა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს მნიშვნელოვან ზიანს ვერ აყენებდა. დღეისათვის კი სრულიად სხვა ეკონომიკური სიტუაციაა და მასზე ძირეულ ზეგავლენას ახდენს კონტრაბანდის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის მიმართ კონტრაბანდის მიერ მიყენებული ზიანის პოტენციური შესაძლებლობების შეფასებისას, მისი საზოგადოებრივი საშიშროების თავისებურებათა კონტექსტში, შეუძლებელია იმის აბსტრაქტიზება, რომ მხოლოდ გასულ წელს საქართველო-თურქეთის საზღვარი აქეთ და იქით გადაკვეთა 1,8 მილიონმა ადამიანმა გარკვეული ბარგით. პროგნოზის მიხედვით უახლოეს წლებში ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროება იმითაც ვლინდება, რომ ამ გზით საზღვარგარეთ მიედინება ეროვნული კულტურის ღირებულებანი, რასაც ჩვენი ერისათვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ძალმომრეობითი დანაშაულის გაძლიერებისა და სამართლებრივი წესრიგის არასტაბილურობის პირობებში ქვეყნის მრავალ რეგიონში განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნის მოსახლეობის, განსაკუთრებით დამნაშავე ელემენტების, აგრეთვე არაკონსტიტუციური შეიარაღებული ფორმირებების მიერ დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა. საქართველოში იარაღის შეძობის ერთ-ერთ წყაროს კი სწორედ კონტრაბანდა წარმოადგენს.

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ იარაღისა და სხვადასხვა ფეთქებადი ნივთიერებების კონტრაბანდა თავისთავად ზრდის მის საზოგადოებრივ საშიშროებას. კერძოდ, ასეთი სახის კონტრაბანდა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით არის აქტიურად მოქმედი კრიმინოგენური ფაქტორი ისეთ მძიმე დანაშაულობათა ჩადენისათვის, როგორცაა დივერსია, ტერორისტული აქტი, ბანდიტიზმი, ძარცვა, მკვლელობა, პოლიციის მუშაკთა, სამხედრო მოსამსახურეთა ან სახალხო მოხალისეთა სიცოცხლის ხელყოფა, მასობრივი უწყსრიგობა და სხვა ძალმომრეობითი ქმედება.

განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლენის ასპექტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტრაბანდა. ასეთი ნივთიერებების აღმოჩენა და ამოღება საბაჟო სამსახურებისა და სასაზღვრო ჯარების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრაც შესაძლებელია საბაჟო სამსახურების აქტიური თანამშრომლობით საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან. წორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1990 წლის 18 სექტემბერს მოსკოვში გამართული პირველი საერთაშორისო სემინარი თემაზე: „ტრანზიტით ნარკოტიკების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს ოთხი კონტინენტის 31 საბაჟო სამსახურის სპეციალისტებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ინტერპოლის, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის და საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ექსპერტებმა.



სპეციალისტთა ასეთი წარმომადგენლობითი ფორუმის სწორედ მოსკოვში გამართვა შემთხვევითი როლი იყო. როგორც სემინარზე აღინიშნა, უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ნარკომანია ნარკოტიკების ტრანზიტისათვის სულ უფრო ხშირად იყენებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. კერძოდ, ითქვა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გავლით ნარკოტიკების კონტრაბანდული ნაკადი აღწევს ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში. ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საზღვრებზე კონტრაბანდისტებისაგან ამოღებულია 10 ტონაზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერებანი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გავლით ნარკოტიკების მსხვილი პარტიების არალეგალურმა გადაზიდვებმა საერთაშორისო ნარკომაფიის წრეებში კოლური სახელწოდებაც კი მიიღო — „წითელი გზა“. ამ გზის საიმედოდ გადაკეთვისათვის საჭიროა ყველა ქვეყნის საბაჟო სამსახურების აქტიური თანამშრომლობა. ამასწინათ, ერთობლივად ჩატარებული მსხვილი ოპერაციის (კოლური სახელწოდება „დილომატი“) შედეგად საბაჟო სამსახურების მიერ ამოღებულ იქნა 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სამხანგვარი ტონა ჰაშიში.

ნარკოტიკების კონტრაბანდა საზოგადოებისათვის უდიდეს საშიშროებას ქმნის არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ანგრევს ადამიანთა ჯანმრთელობას, ამარაგებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა არალეგალურ ბაზარს, ზრდის ნარკომანების რიცხვს და უშუალოდ ხელს უწყობს ნარკოტიკების ხმარების გავრცელებას, არამედ იმითაც, რომ ნარკობიზნესი უზარმაზარი კრიმინალური მოგების საფუძველია.

ცნობილია, რომ ინფლაციური პროცესები სულ უფრო ზრდის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ფასს. ამდენად პატიოსანი გზით ნაშოვნი ფულით ნარკოტიკების შეძენა ნარკომანებისათვის შეუძლებელი გახდა. ამიტომ არის, რომ პრაქტიკულად თითქმის ყველა ნარკომანი დანაშაულებრივი გზით ცდილობს ნარკოტიკების შეძენას. სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ნარკომანთა ორგანიზებულმა ჯგუფებმა ათობით ბინა გაქურდეს, გაძარცვეს აფთიაქები და წამლების საწყობები. ამრიგად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტრაბანდა პირდაპირ კავშირშია ქურდობის, ყაჩაღობისა და ძარცვის შემთხვევათა რიცხვის ზრდასთან.

კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროების ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება ვლინდება მის მაღალ კრიმინოგენურობაში სხვა თანამგზავრ დანაშაულობებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ კონტრაბანდა თავისი განსაკუთრებული ობიექტური ნიშნებით არ ჰგავს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით გათვალისწინებულ არც ერთ სხვა დანაშაულის შემადგენლობას. ამიტომ, მოცემული დანაშაულის იურიდიული ანალიზის დროს პრობლემას როდი წარმოადგენს სხვა მსგავსი დანაშაულობებისაგან მისი გამიჯვნა. მაგრამ მას თან ახლავს მრავალი სხვა სახის ხელყოფა, რომლითაც იქმნება პირობები მათი ჩადენისა. ამ დანაშაულობებთან შედარებით კონტრაბანდა წარმოგვიდგება როგორც აქტიურად მოქმედი კრიმინოგენური ფაქტორი, რაც მისი საზოგადოებრივი საშიშროების კიდევ ერთ წახნაგს წარმოაჩენს, ამასთან ზრდის თვით საშიშროების ხარისხს. ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის დროს. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით კონტრაბანდა

ითვლება ძძიმე დანაშაულად, რადგან მისი საზოგადოებრივი საშიშროება იმა-
შიც მდგომარეობს, რომ ხშირად იგი დაკავშირებულია სხვა დანაშაულებთან,
ლაპარაკია კონტრაბანდის იდეალურ და რეალურ ერთობლიობაზე სხვა დანა-
შაულობებთან. ამიტომ არის, რომ თანამედროვე საგამომიებო-სასამართლო პრა-
ქტიკის მიხედვით პირი, რომელიც მიცემულია სამართალში კონტრაბანდისათვის,
არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან კონტრაბანდის გადატანის დროს ჩა-
დენილი სხვა დანაშაულობებისათვის, მაგალითად, საზღვრის უკანონოდ გადაკ-
ვეთისათვის.

როგორც კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, კონტრაბანდის
შერწყმა მექრთამეობასთან მეტად გავრცელებული მოვლენაა. ნ. ვ. კანევი აღ-
ნიშნავს კონტრაბანდის მაღალ კრიმინოგენურობას სხვა დანაშაულობებთან შე-
დარებით და წერს: „კონტრაბანდის სპეციფიკა ვლინდება სხვა დანაშაულობებ-
თან მჭიდრო კავშირში. კონტრაბანდა, როგორც მხოლოდ საქონლის საზღვარ-
ზე უკანონო გადატანა კვალიფიცირდება უფრო იშვიათად, ვიდრე სხვა დანაშა-
ულებებთან ერთობლიობაში“².

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე კონტრაბანდული
გზით იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გადატანისათვის დაწესებუ-
ლია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმა, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი
ამ სახის საქონლის დამზადებაზე, შექმენასა და შენახვაზე. ამიტომ რესპუბლი-
კაში კუთხვილიანი იარაღის ან ნებისმიერი ნარკოტიკული ნივთიერების კონტ-
რაბანდული შემოტანა საჭიროებს დანაშაულთა ერთობლიობისათვის დამატებით
კვალიფიკაციას. კერძოდ, როცა პირი კონტრაბანდისტობასთან ერთად სჩადის
სხვადასხვა დანაშაულს (მაგალითად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, სავალუ-
ტო ოპერაციების წესების დარღვევა, სიყალბე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ან
იარაღის უკანონო დამზადება, შექმენა, შენახვა ან რეალიზება), მისი ქმედება უნ-
და დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაულთა ერთობლიობა. ცხადია, ეს ყველა-
ფერი ეხება პორნოგრაფიულ საგნებსაც (ვიდეოკასეტები, სლაიდები, ფოტო-
მასალა, ბეჭდვითი პროდუქცია და სხვ).

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ კონტრაბანდასთან დაკავში-
რებული დანაშაულობების წრე საკმაოდ ფართოა. მაგრამ კონტრაბანდის სა-
ზოგადოებრივი საშიშროების კიდევ ერთი თავისებურება არსებობს. კერძოდ,
თანამედროვე კონტრაბანდის ფორმებს მჭიდრო შეხების წრტილები გააჩნია
ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურებთან, მათ შორის საზღვარგარეთ მოქ-
მედ საერთაშორისო მაფიოზურ კორპორაციულ ჯგუფებთან. დამნაშავე ელემენ-
ტებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა კორუმპირებული
კავშირები ყველაზე უფრო ნიშანდობლივია ორგანიზებული დანაშაულისა, რო-
მელიც თავის მხრივ, უმეტესად ემყარება კონტრაბანდას. ამიტომ მის წინააღმ-
დეგ უკომპრომისო ბრძოლა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ამოცანას
წარმოადგენს.

² „იზვესტია“, 1990 წლის 6 მაისი.



ანზორ გაბიანი

ლეგალიზებულა თუ არა ამერიკის შაერთებულ შტატებში ნარკოტიკებით ვაჭრობა


უკანასკნელ ხანს, ნარკომანთა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა რიცხვის არნახული ზრდის კვლობაზე, საქართველოში გაჩნდა აზრი, რომ საჭიროა ისეთი რამ მოვიმოქმედოთ, რაც „შავ ბაზარზე“ ნარკოტიკული ნივთიერებების გაუფასურებას და, აქედან გამომდინარე, ამ მეტად მძიმე პრობლემის მოგვარების საშუალებას მოგვცემს.

ნარკობიზნესისა და მისი მავნე სოციალური შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ამგვარ უნივერსალურ საშუალებად ზოგიერთს დღეს ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობის ლეგალიზაცია მიუჩნევია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პოზიციის თავგამოდებულ დამცველთა შორის არც თუ იშვიათად ჯანმრთელობის დაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებიც გვხვდებიან. პერიოდულ პრესაშიც გაჩნდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორები ცალსახად მოითხოვენ მოვასწინოთ ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზაცია.

მაგალითად, გაზეთ „თბილისში“ გასული წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნდა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ვია სამოსნაძის წერილი, სადაც იგი ამტკიცებს, რომ საჭიროა მოხდეს ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზაცია, „ავადმყოფს უნდა მიეცეთ საშუალება, წერს იგი, მოთხოვნილების შემთხვევაში მიმართოს არა რეალიზატორს, არამედ სახელმწიფო დაწესებულებას, იქნება ეს კლინიკა, აფთიაქი თუ სხვა“. შემდეგ წერილში საკმაოდ ვრცლად არის იმის შესახებ მსჯელობა, თუ რა კეთილ შედეგებს მოგვცემს ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზაცია უკვე უახლოეს მომავალში.

ჩვენი დღევანდელი განხილვის საგანი არ არის ის, თუ რა მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანდა ასეთი პოზიციის დაკანონება და რანი ვიქნებოდით ქართველები და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში, თუ ამგვარ, უკაცრავად პასუხია, პრიმიტიულ მსჯელობას აყოლილები, არა მარტო საერთაშორისო პრესტიჟს შევილახავდით, არამედ ჩვენივე ხელით გავითხრიდით სამარეს.

საქმე ისაა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზაციის მომხრეთა მსჯელობაში ერთმა ასეთმა „ძლიერმა“ არგუმენტმაც იჩინა თავი: თუ ამის გაკეთე-




ბა მისაღები არ არის, მაშინ რატომ მიდის ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ამ გზით. იმათ შორის, ვინც დარწმუნებულია, რომ ანტირეკლამის ნარკოტიკები პირდაპირ ჯიხურებში იყიდება (ყოველ შემთხვევაში, ისინი ფიქრობენ, რომ ზოგიერთ შტატში სწორედ ასეთნაირად წყვეტენ ნარკობიზნესის აღმოფხვრის პრობლემას), ბევრი სერიოზული ადამიანიც გვხვდება, რომელთა აზრს საზოგადოება ანგარიშს უწევს. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით მოკლედ გვეთქვა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს მოსაზრება. ამერიკის შეერთებული შტატები ხომ ნამდვილად ის სახელმწიფოა, რომელსაც დღევანდელ საქართველოში ბევრი არც თუ უსაფუძვლოდ ყველაფრის, და მათ შორის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ეტალონად თვლიან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც თავი იჩინა ნარკომანიის პრობლემამ, მართლაც ნება ეძლეოდათ ექიმებს მათი პაციენტი ნარკომანებისათვის მკურნალობის მიზნით გამოეწერათ ნარკოტიკული საშუალებები, მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1914 წელს ჰარისონის კანონის მიღების შემდეგ ამგვარი პრაქტიკა მკაცრად იქნა შეზღუდული.

რაც დრო გადიოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში თანდათან ფეხს იკიდებდა მკაცრი დამოკიდებულება ნარკომანებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების მიმართ და უკვე 20-იანი წლების დასასრულისათვის არა მარტო მთლიანად აიკრძალა ნარკოტიკული ნივთიერებების ნარკომანიით დავადებულებისათვის ექიმის დანიშნულებით გაცემა, არამედ მათი მიღება დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადდა როგორც ფედერალური, ისე შტატების კანონმდებლობით.

შემდეგი ათწლეულები აღინიშნა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი გამკაცრებით. კატეგორიულად იკრძალება არა მარტო ნარკოტიკული ნივთიერებების ყოველგვარი რეალიზაცია, არამედ მათი შექმნა, შენახვა და ხმარება. 50-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო ახალი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული ნივთიერებების შექმნის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის გასაღების მიზნის გარეშე. 1956 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებების ავადმყოფებისათვის გამოწერის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვისათვის მათი მოხმარების მიზნით. ამ დანაშაულებრივ ქმედობათა პირველად ჩადენისათვის კანონი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე, განმეორებით ჩადენისათვის — თავისუფლების აღკვეთას ვადით 5 წლამდე, ხოლო მესამედ და მეტჯერ ჩადენისათვის — თავისუფლების აღკვეთას ვადით 10 წლამდე.

1970 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა ფედერალური კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების მოხმარების აღკვეთას და ნარკოტიკული საშუალებების მიმართ კონტროლის გაძლიერებას. ამ კანონმა მართალია, შეამსუბუქა პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ნივთიერებების საკუთარი მოხმარების მიზნით შექმნისა და შენახვისათვის, მაგრამ კიდევ უფრო გაამკაცრდა იგი მათი გავრცელებისათვის. ეს კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით დამზადების, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის. კერძოდ, ამ დანაშაულებრივ ქმედება-



თა ჩადენისათვის პიროვნებას შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთის
 წლამდე ვადით ან ჯარიმა 25 ათასი დოლარის ოდენობით ან ორივე სასჯელს
 ერთად. იგივე ქმედებათა განმეორებით ჩადენისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 30 წლამდე ან ჯარიმას 50 ათას დოლარამდე ან ორივე სასჯელს ერთად.

80-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ უფრო გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით დამზადების, შექმნის, შენახვის ან გასაღებისათვის. ამ პერიოდში კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნარკოტიკული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრძოლის გაძლიერებას.

ამგვარად, თუ თვალს გადავაგვლებთ ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკუმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობას, მისი განვითარების მანძილზე ორი ტენდენცია შეიმჩნევა:

— სულ უფრო ჰუმანური ხდება კანონმდებლის პოზიცია ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების, მათ შორის ნარკომანების მიმართ.

— ამასთან ერთად, სულ უფრო მკაცრდება იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩადიან ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების გავრცელებასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ქმედობებს, პირველ რიგში ეწევიან ამ ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობას.

ეს მოკლე ცნობაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: ამერიკის შეერთებულ შტატებში საკითხი დგას არა ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების ლეგალიზაციის შესახებ, არამედ ამ სახის ქმედებათა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრძოლის სულ უფრო და უფრო მეტად გამკაცრებაზე. ამერიკის მთავრობა საამისოდ დღენიადაგ ზრუნავს და არც მატერიალურ დაფინანსებას ერიდება. კერძოდ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ კიდევ რ. რეიგანის პრეზიდენტად ყოფნის დროს ამ საქმეზე მხოლოდ ფედერალური სახსრებიდან ყოველწლიურად 8 მილიარდი დოლარი იხარჯებოდა.

თუ ამერიკის შერთებულ შტატებში ნარკოტიკებით ვაჭრობა ლეგალიზებულია და ნარკომანებს ჯიხურებში შეუძლიათ შეიძინონ ნარკოტიკული საშუალებები, მამ რაღას აკეთებენ დანაშაულებრივი სინდიკატები ან რისთვის ებრძვიან ასე დაუნდობლად კოლუმბიის ნარკომაფიას? ან პანამაში რისთვის შეიყვანა ამერიკამ თავისი არმია? ნუთუ ამერიკელი ნარკომანები მთლად ისეთი უგუნურები არიან, რომ არ სურთ აფთიაქში გროშებად შეიძინონ კოკაინი და მაინც-დამაინც იმისათვის ხარჯავენ ათობით, ასობით მილიონობით დოლარს, რომ ნარკომაფიოზების ჯიბეები გაასქლონ.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა არა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ არცერთ ცივილიზირებულ ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს ლეგალიზირებული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგება ამ სფეროში მოქმედ რიგ საერთაშორისო აქტებს. თუმცა, ამაზე სჯობს სხვა დროს ვილაპარაკოთ. ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზაციის იდეით შეპყრობილ ჩვენს თანამემამულეებს კი ვურჩევთ, რომ ასეთი სერიოზული საკითხის გარშემო მსჯელობისას ჭორის დონეზე აღმოცენებულ არგუმენტებს ნუ მოიშველიებენ.

ქალთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფსიქოლოგიური პრობლემა

ადამიანის ყოველგვარ და კერძოდ, დანაშაულებრივ ქცევაზე არსებით ზეგავლენას ახდენს ობიექტური სოციალური გარემო, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. მაგრამ ამ ფაქტორთა დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ისინი არ შეიძლება მთლიანად განსაზღვრავდნენ დანაშაულებრივ ქცევას, რადგან მათი რეალიზაცია ხდება კონკრეტულ ქმედებაში ინდივიდის ფსიქიკაზე ზეგავლენის გზით, ხოლო ყოველ ინდივიდს გააჩნია გარკვეული ავტონომიურობა ქცევის ამა თუ იმ მოდელის შერჩევის დროს. ამიტომ ქალთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, მათ შორის ინდივიდის პიროვნული თავისებურებები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით, დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინანტებად გვევლინებიან ამასთან დაკავშირებით, დგება საკითხი პრობლემის ფსიქოლოგიური ასპექტის კვლევის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ.

როგორც მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგები გვარწმუნებს, ამა თუ იმ სახის დანაშაულთა ჩადენისას საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პიროვნების ფსიქიკური თავისებურებები. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, იმ დანაშავეთა შორის, რომელთაც ამა თუ იმ სახის საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინეს, გვხვდება საკმაოდ რაოდენობა ისეთი პირებისა, რომელთაც ერთგვაროვანი ფსიქოლოგიური ნიშნები ახასიათებს.

ძალადობითი დანაშაულისა და ქურდობის ჩამდენ ქალთა იმ ფსიქიკური თავისებურებების შესწავლის მიზნით, რაც დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის საფუძვლად გვევლინება, ჩვენ ჩავატარეთ მსჯავრდებულ ქალთა სპეციალური ფსიქოლოგიური გამოკვლევა.

ეს სამუშაო ჩატარდა პიროვნების მრავალმხრივი ფსიქოლოგიური გამოკვლევის ცნობილი მეთოდით, რომელიც დღეს მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიის ადამიანების, მათ შორის მსჯავრდებულთა პიროვნების შესწავლის დროს. ეს კი საშუალებას იძლევა შევაფასოთ პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა 10 კლინიკური სკალით. ესენია:

1. იპოქონდრიის ანუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ყურადღების კონცენტრაციისა;
2. დეპრესიის;
3. ისტერიულობის ანუ კონვენსიური ტიპის ნევროტიული დაცვითი რეაქციებისადმი მიდრეკილების, „მაყურებელზე მუშაობის“ მისწრაფების ხარისხის;
4. ფსიქოპათიის (ამ სკალის მიხედვით შეიძლება სოციალურ ადაპტირებულობაზე მსჯელობა);
5. მამაკაცურობა — ქალურობის (ამ სკალის მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ პიროვნებაში ისეთი მამაკაცური თუ ქალური ხასიათის ნიშნების მეტ-ნაკლებობაზე, როგორცაა მაგალითად ნებისყოფის სიმტკიცე, გამ-

ბედაობა და ა. შ. ან სინაზე, ესთეტიკური ღირებულებებისადმი მიდრეკილებები და სხვა);

6. პარანოიალობის ანუ ზელირებულებითი იდეების ფორმირების, რიგიდულობის, ეჭვიანობის ხარისხის;

7. ფსიქოასთენიის (ამ სკალის მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ხასიათის ისეთი ნიშნების არსებობაზე, როგორცაა ეჭვიანობა, შიში და ა. შ.);

8. შიზოიდურობის ანუ იზოლაციის, „ფსიქოლოგიური დისტანციის“ დაცვის, შინაგან სამყაროში ჩაკეტივის;

9. ჰიპომანიის ანუ ზედმეტი აქტიურობის;

10. ინტრავერსია — ექსტრავერსიის ანუ კომუნიკაბელობა — არაკომუნიკაბელობისა.

ყველა სკალის მაჩვენებლები ნორმაში უახლოვდება 50 ბალს (შუა ხაზს). შუა ხაზიდან ნებისმიერი გადახრა გვიჩვენებს ამა თუ იმ ხასიათისმიერ თავისებურებას. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული სკალების მაჩვენებლები, არამედ სხვადასხვა მაჩვენებელთა კომბინაცია. ხაზები, რომლებიც გადიან 70 ბალზე და 30 ბალზე, წარმოადგენენ ნორმალური მდგომარეობის ზედა და ქვედა ზღვარს.

ზემოთჩამოთვლილი კლინიკური სკალების გარდა არსებობს სიცრუის სკალა, სანდლობის სკალა და კორექციის სკალა, რომელთა მეოხებითაც ფასდება მიღებული შედეგების სანდობა, აგრეთვე 71 დამატებითი სკალა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სათანადო სკალის მაჩვენებელთა ზრდის საქმეში ამა თუ იმ ფსიქოლოგიური თავისებურების მნიშვნელობა.

ძალადობითი დანაშაულისა და ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალთა პიროვნების ემპირიული ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული ინდივიდუალური პროფილებისაგან აგებულ იქნა განზოგადოებული პროფილები: ა) ძალადობითი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულებისა და ბ) ქურდობის ჩადენისათვის მსჯავრდებულებისა.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ აღნიშნულ ჯგუფებს ახასიათებთ გარკვეული ფსიქოლოგიური თავისებურებები. ეს სხვა არაფერია, თუ არ აღქმისა და ქცევის მოდუსის თავისებურებები, რომლებიც განსხვავდებიან გარესამყაროს საყოველთაოდ მიღებული შეფასებებისაგან და მეტყველებენ მომეტებულ აგრესიულობაზე, კონფლიქტურობაზე, ეჭვიანობაზე, აზროვნების რიგიდულობაზე, საფრთხის მოლოდინსა და მტრულად განწყობილი გარემოს კონცეფციის ფორმირებაზე იმ საკმაოდ არსებითი განსხვავებით, რომ ძალადობით დანაშაულთა ჩამდენ ქალებში ეს თვისებები უფრო მკვეთრად გამოისახება.

ჩვენ შევადგინეთ მდიდარი ემპირიული მასალა, რომელიც აისახა რვა ცხრილში. ისინი საშუალებას იძლევიან ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ კერძოდ რა სიმპტომატიკის ხარჯზე ხდება ამა თუ იმ სკალის მაჩვენებლის ამადლება. ამ წერილში არ მოგვაქვს აღნიშნული ცხრილების მონაცემები, რადგან ისინი გათვალისწინებულია ამ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის და მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რომ მკითხველს გვააცნობთ ემპირიული მასალის ანალიზიდან გამომდინარე ძირითად დასკვნებს ძალადობითი დანაშაულისა და ქურდობის ჩამდენ ქალთა შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ.

კერძოდ, ღებრესიის სკალის მაჩვენებლების ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ძალადობითი დანაშაულის ჩამდენი ქალები განიცდიან



ფსიქოლოგიურ დისკომფორტს, სინდისის ქენჯნას და გრძნობენ გარკვეულ სიძულველად სუბუქებას იმით, რომ იხდიან სასჯელს და ამით გამოისყდიან თავიანთ მტრებს. მათი ქცევის გარეგანი იმპულსურობის მიუხედავად ისინი სუბიექტურად ცდილობენ მოუძებნონ თავიანთ ქმედებას გამართლება მოჩვენებითი სისუსტიითა და უძღურებით.

რაც შეეხება ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს, ისინი თავიანთი არამართლზომიერი მოქმედების გამო ნაკლებ ემოციურ დისკომფორტს განიცდიან, თანაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული აკრძალვები და შეზღუდვები მათ დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ისინი უფრო ადექვატურად აფასებენ შექმნილ სიტუაციას და უკეთესად აკონტროლებენ თავიანთ საქციელს.

ისტეროიდულობის სკალის მონაცემების ინტეგრირების გზით ჩვენ იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ ძალადობით დანაშაულთა ჩამდენი ქალები არ არიან საკმარისად საკუთარ თავში დაჯერებულები, რის გამოც განიცდიან დიდ შინაგან დაუკმაყოფილებლობას, თუმცა, გარეგნულად ცდილობენ სრულიად საპიროსპიროდ მოიქცნენ. რაც შეეხება ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს, მათ უნარი შესწევთ მნიშვნელოვნად უკეთ გააკონტროლონ თავიანთი ქცევა, უფრო კომუნიკაბელური არიან და მათ საქციელს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოციალური აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი.

ფსიქოპათიის სკალის იმ მონაცემების ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ სათანადო მაჩვენებლების ზრდას, გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ძალადობითი დანაშაულისათვის მსჯავრდებული ქალები თუმცა თავიანთ თავში არ არიან დარწმუნებულები, ადამიანებთან ურთიერთობაში ძლიერ კონფლიქტურობას იჩენენ, რითაც საკმაოდ მაღალ დამაბულობასა თუ უხერხულობას ქმნიან როგორც ოჯახში, ისე უშუალო სოციალურ გარემოცვაში. თანაც ყოველივე ეს იმის გამო ხდება, რომ ისინი არაადექვატურად აფასებენ როგორც საკუთარ თავს, ისე გარშემომყოფებს. იმის გამო, რომ მათ არა აქვთ გაცნობიერებული ანტი-სოციალური განწყობა, ისინი რეციდივისაკენ ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ.

რაც შეეხება ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს, ისინიც ნაკლებად არიან დარწმუნებული თავიანთ თავში, ცდილობენ საკუთარი პიროვნების დამკვიდრებას, მაგრამ პირველებისაგან განსხვავებით მათთვის გადამწყვეტია გარშემომყოფთა აზრი, ამიტომ ისინი ორიენტირებულნი არიან იმ ადამიანების მხრივ აღიარებაზე, რომელთა აზრს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ამასთან ერთად თუ გავიხსენებთ, რომ ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს გაცნობიერებული ანტი-საზოგადოებრივი განწყობა ახასიათებს, სუბიექტურად მათთვის უფრო ღირებულია დანაშაულებრივ სამყაროში დამკვიდრებული ტრადიციები, გასაგები გახდება, რომ ისინი რეციდივისაკენ მეტ მიდრეკილებას იჩენენ.

აღსანიშნავია, რომ ორივე კატეგორიის მსჯავრდებულ ქალებს ახასიათებთ მე-5 სკალის დაბალი მაჩვენებლები, რაც გარკვეული მიზეზებით აიხსნება. საქმე ისაა, რომ როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული, ისე რიგი სხვა გამოკვლევების შედეგების მიხედვით ორივე კატეგორიის მსჯავრდებულ ქალებს ახასიათებს პიროვნების წმინდა ქალური თვისებები, როგორცაა მაღალი მგრძნობელობა, მორცხვობა, სენტიმენტალურობა, ცნობისმოყვარეობა და ა. შ. ყოველგვარი ისეთი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება ხასიათის ამ თვისებებს, არ არის მათი შინაგანი „მე-ს“ ჭეშმარიტი გამოვლინება, არამედ ატარებს კომპენსატორულ ხასიათს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გამოკვლეულთა შორის არ გვხვდებიან რისკი-



სადმი მიდრეკილების მქონე ცივი გონების ადამიანები, მაგრამ მათი ხვედრითი წილი უმნიშვნელოა.

ძალადობითი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ქალებს აღენიშნებათ პარანოიალობის სკალის მაღალი მაჩვენებლები, რაც განპირობებულია ისეთი სუბიექტური თავისებურებებით, როგორიცაა განწყობისა და აღქმის უჩვეულობა. ამის გამო ცხოვრებისეული სიტუაციები მათ მიერ ხშირად აღიქმება ხოლმე არაადექვატურად, წინა პლანზე იწევს ისეთი თვისებები, როგორიცაა ეჭვიანობა, პიროვნებათაშორისო ურთიერთობებში ჰიპერტროფირებული მგრძნობიარობა და ა. შ. ყოველივე ამის გამო სხვა ადამიანების საქციელი ხშირად უსაფუძვლოდ აღიქმება ხოლმე როგორც მათი პიროვნების დამამცირებელი, ამიტომ ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, საიდანაც პიროვნება ეძებს და პოუვებს მართლსაწინააღმდეგო გამოსავალს.

ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს აგრეთვე ახასიათებთ ეჭვიანობა და სოციალური გარემოცვის მიმართ უნდობლობა, მაგრამ ნაკლებად რელიგიური ფორმით. ამასთან ერთად ისინი სოციალურ გარემოს ნაკლებად აღიქვამენ ხოლმე როგორც მათ მიმართ მტრულად განწყობილს.

საინტერესოა მსჯავრდებულ ქალთა პიროვნების ის თვისებები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ფსიქოასთენიის სკალის ფორმირებაზე. კერძოდ, ძალადობითი დანაშაულის ჩამდენი ქალები ავლენენ მაღალ შინაგან ფსიქოლოგიურ დამახულობას, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას და სხვა. ისინი ამჟღავნებენ მიდრეკილებას დიდი სკრუპულოზულობით შეაფასონ კრიტიკულად საკუთარი თავი და საქციელი, რასაც ზოგჯერ შეიძლება ავადმყოფური ხასიათიც ჰქონდეს. ამასთან ერთად ისინი ზედმეტად აფიქსირებენ ხოლმე ყურადღებას პიროვნებათაშორისო ურთიერთობების სირთულეებზე, რის გამოც არც თუ იშვიათად მათ მოქმედებას წარმართავს აფექტური ფსიქოლოგიური განწყობა.

რაც შეეხება ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს, მათ მნიშვნელოვნად ნაკლებად აღენიშნებათ შინაგანი მოუსვენრობა სოციალურ გარემოში წამოჭრილი პრობლემების გამო. ისინი ნაკლებად იმპულსურები და სოციალურად უკეთ ადაპტირებულები არიან.

შიზოფრენიის სკალის მაჩვენებლების დიფერენციაციის დროს ის კანონზომიერება იკვეთება, რომ ძალადობითი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ქალებს აღენიშნებათ საკმაოდ მკვეთრად გამოხატული აღქმისა და ქცევის მოღუსის თავისებურებები, აზროვნებისა და ემოციების პარადოქსულობა, სოციალური დეზადაპტირებულობა, რაც გამოიხატება ფსიქოლოგიური დისტანციის დაცვისადმი, საკუთარ შინაგან სამყაროში ჩაღრმავებისადმი მისწრაფებაში. ამის შედეგად მათ უმუშავდებათ სოციალური გარემოს აღქმის თავისებური მოდელი, იმის შეგრძნება, რომ გარშემომყოფები მათ არასათანადოდ აფასებენ, ტოლად არ იღებენ და ა. შ. ამის გამო ისინი ხშირად დიდ შინაგან ძლევარებას განიცდიან, რადგან თვლიან, რომ ობიექტურად მსგავს დამოკიდებულებას არ იმსახურებენ. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი საკუთარ პიროვნებას კრიტიკულად ვერ აფასებენ, ამიტომ გარშემომყოფების ნამდვილ თუ მოჩვენებით ნეგატიურ დამოკიდებულებას უსამართლოდ მიიჩნევენ. ბუნებრივია, რომ ყოველივე ამას კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში ხშირად აფექტიურ განტვირთვამდე მივყავართ ხოლმე.

ქურდობისათვის მსჯავრდებული ქალები კი მეტი შინაგანი თავშეკავებულობით გამოირჩევიან. ისინი უკეთ ახერხებენ საკუთარი ემოციებისა და საქ-



ციელის კონტროლს და უკეთ არიან ორიენტირებული სოციალურ ნორმებსა და მოთხოვნებში.

ჰიპომანიის სკალის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძალადობითი დანაშაულის ჩამდენი ქალები თუმცა ბუნებით თავზედები და საკუთარ თავში დარწმუნებულები არ არიან, ისინი გამოირჩევიან გარშემომყოფთა მიმართ აგრესიულობით, ეჭვიანობისაკენ მიდრეკილებით. ისინი ადვილად კარგავენ შინაგან წონასწორობას, ამუღავნებენ კონფლიქტურობას.

რაც შეეხება ქურდობისათვის მსჯავრდებულ ქალებს, ისინი გაცილებით მეტად კომუნიკაბელურები არიან, ადექვატურად აფასებენ ვითარებას, უნარი შესწევთ განმუხტონ დაძაბული სიტუაცია, გამოიჩინონ კეთილგონიერება და ა. შ. ამასთან ერთად, ამ კატეგორიის ქალებს არ შეუძლიათ დიდხანს შეაჩერონ თავიანთი ყურადღება ერთ რომელიმე ობიექტზე, რაც აგრეთვე ხელს უწყობს კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას.

ამგვარად, დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელ ძალად ხშირად გვევლინება გაუცნობიერებელი პიროვნული მოტივები, რომლებიც მიმართულნი არიან აქტუალური შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისაკენ. ამას ნათლად ადასტურებს როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული ემპირიული გამოკვლევის მონაცემები, ასევე მათი ინტერპრეტაცია, რასაც აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

იმისათვის, რათა დანაშაულის ჩამდენმა პირებმა, ჩვენს შემთხვევაში ქალებმა, სათანადოდ მართონ თავიანთი ვნებები და მოქმედებები, აუცილებელია დაეუფლონ მათ სუბიექტურ მიზეზებს, ისინი კი ამ სიძნელეებს, რომლებიც წარმოიშვებიან მათივე დანაშაულებრივი ქცევის გამო, აცნობიერებენ ხოლმე დიდი ცდომილებით და მომხდარში ადანაშაულებენ არა საკუთარ თავს, არამედ სხვა ადამიანებს ან შექმნილ ვითარებას.

კერძოდ, მათ ახასიათებთ მისწრაფება ამა თუ იმ კონფლიქტის წყარო, ეძიონ არა საკუთარი პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებში, არამედ მათ მიმართ სხვა ადამიანთა მხრივ უსამართლო დამოკიდებულებაში, თავიანთი ცხოვრების არასახარბიელო პირობებში ან მოქმედი კანონმდებლობისა თუ მართლმსაჯულების უსამართლობაში.

აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ როგორც ჩვენი, ისე ზოგიერთი სხვა მსგავსი გამოკვლევის შედეგების გამოყენებით თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციას შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს მსჯავრდებულთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს დანაშაულის პროფილაქტიკის ამოცანის უკეთ შესრულების საქმეში. ხომ ცნობილია, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

მიგვაჩნია, რომ დღეს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ეს საკითხი საქართველოში მიმდინარე მწვავე პროცესების ფონზე, დამნაშავეობის პროფილაქტიკის ზოგად და სპეციალურ ღონისძიებებს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დამნაშავეთა ხელახალი აღზრდისა და გამოსწორების საქმეს, მეტი კრიმინოლოგიზაცია ანუ კრიმინოლოგიური მეცნიერების მიღწევათა უფრო ფართო და მარჯვე გამოყენება მოუხდება.

დანიშვნები

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

შალვა ნათელაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნას შალვა ნათელაშვილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გომეზაძე.

ქ. თბილისი, 1992 წ. 12 ნოემბერი

შალვა ნათელაშვილი დაიბადა 1958 წელს დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში. 1981 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1989 წელს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა, არის საერთაშორისო სამართლის ასოციაციის წევრი.

1981 წლიდან შალვა ნათელაშვილი განაწილებით იწყებს მუშაობას რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში და ინიშნება ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად. 1988 წელს მას აწინაურებენ და გადააქვავთ რესპუბლიკის პროკურორის ცენტრალურ აპარატში ჯერ განყოფილების პროკურორად, ხოლო შემდეგ უფროს პროკურორად. 1990 წლის ნოემბერში იგი დაინიშნა საქართველოს პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსად.

1992 წლის 11 ოქტომბრიდან შალვა ნათელაშვილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი, ხოლო 12 ნოემბრიდან მისი იურიდიული კომისიის თავმჯდომარეა.

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობა ულოცავს ბ-ნ შალვა ნათელაშვილს ამ საპატიო თანამდებობაზე არჩევას და წარმატებას უსურვებს საქარლამენტო მოღვაწეობაში, საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების საქმეში.



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

თევდორე ნინიძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად
დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს თევდორე ნინიძე საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუშვიძე.

ქ. თბილისი, 1992 წლის 25 ნოემბერი.

თევდორე ნინიძე დაიბადა 1950 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსიც დაამთავრა 1971 წელს. 1972-1975 წლებში თევდორე ნინიძე სწავლობდა ქ. მოსკოვში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში და წარმატებით განვლო მისი სრული კურსი. 1975 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში და სწავლობდა გერმანული ენის ფაკულტეტზე. ამავე წლიდან იწყება მისი შრომითი საქმიანობაც.

1975-1978 წლებში თევდორე ნინიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ჯერ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1978 წელს იგი გადაიყვანეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად. ხოლო 1984 წლიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეა. 1988 წელს თევდორე ნინიძე კვლავ უბრუნდება მეცნიერულ მოღვაწეობას და მუშაობს ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის საფუძვლების კათედრაზე, ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის გამგედ. 1989 წელს მას ამტკიცებენ შურნალ „სამართლის“ მთავარ რედაქტორად.

1992 წლის 25 ნოემბრიდან თევდორე ნინიძე საქართველოს გენერალური პროკურორია.

ბატონ თევდორე ნინიძეს!

პატივცემულო თევდორე, თქვენ საქართველოს პარლამენტის მიერ დაინიშნეთ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს იურისტთა კავშირს მიაჩნია, რომ ხელისუფლების უმღლესი ორგანოს ასეთი არჩევანი მნიშვნელოვანი ფაქტია რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფის, ქვეყანაში მართლწესრიგისათვის ბრძოლის მექანიზმის რადიკალურად გარდაქმნის, კანონიერებისა და მისი უზენაესობის დაფუძნების გზაზე.

ბატონო თევდორე, საქართველოს იურიდიული საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც საერთო, ყოველმხრივი განათლების მქონე, სამართლებრივი აზ-



როვნების სფეროში უადრესად ერუდირებულ, კანონის არსში ღრმად ჩამწვდომ შესანიშნავ კალმოსანს და პოლემისტს, ადამიანურ ურთიერთობებში — უშუალოდ, მაღალი ზნეობის, კეთილშობილი კაცის თვისებათა მატარებელ, საქმისადმი პრინციპულად მიმდგომ პიროვნებად. აღნიშნულის კვალობაზე, საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში, რესპუბლიკის ინტელექტუალურ წრეებსა და მოსახლეობაში თქვენ მოიპოვეთ ღირსეული აღიარება.

მას შემდგომ, რაც თქვენ სათავეში ჩაუდექით ჟურნალ „სამართალს“, როგორც მთავარი რედაქტორი, ჟურნალმა ათეული წლების მანძილზე დაგროვილ ტრადიციებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, აკადემიურობა შეიძინა და იგი კონცეპტუალური იურიდიული აზროვნების გამოძხატველად და წარმმართველად ჩამოყალიბდა.

საქართველოს იურისტთა კავშირი, მისი გამგეობის პრეზიდიუმის წევრს, ბატონ თევდორეს გულწრფელად ულოცავს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მეტად მძიმე და საარსო მნიშვნელობის ჟამს, ამ მაღალ, უადრესად მნიშვნელოვან პოსტზე გამწესებას და იმედს გამოთქვამს, რომ იგი ყოველივეს იღონებს, რათა მისი შემდგომი საქმიანობა სასიკეთოდ წაადგეს ერისა და სამშობლოს ინტერესებს.

კავშირის ხელმძღვანელობა, ბატონო თევდორე, თქვენი პროკურორად დანიშვნის გამო ჟურნალის რედაქტორის მოვალეობისაგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, დიდ მადლობას გიცხადებს და პატივს მოგაგებს, კავშირის სტრუქტურაში უშუურველად თანამშრომლობისათვის, ჟურნალ „სამართლის“ დონის სრულყოფისა და ამაღლებისათვის, რომლის საქმიანობაში თქვენ კვლავ აქტიურად გააგრძელებთ თანამშრომლობას, როგორც რედკოლეგიის წევრი და ავტორი.

ბატონო თევდორე, კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი და ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია სამსახურებრივ წარმატებებს გისურვებთ ახალ სამოღვაწეო ასპარეზზე, ბედნიერებას პირად ყოფასა და ცხოვრებაში.

საქართველოს იურისტთა კავშირი.
 ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია.

კონსტანტინე კემულარიას საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად
დაბრუნების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს კონსტანტინე კემულარია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი პ. გოგუშაძე.

ქ. თბილისი, 1992 წლის 8 დეკემბერი.

კონსტანტინე კემულარია დაიბადა 1954 წელს ხობის რაიონის სოფელ ახალნიხულში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა 1970 წელს და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1975 წელს დაამთავრა. იმ დღიდან კონსტანტინე კემულარია ეწევა უწყვეტ შრომით საქმიანობას სპეციალობის მიხედვით, იყო ჯერ ქ. სოხუმის პროკურატურის გამომძიებელი, ხოლო შემდეგ ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი. 1979 წლიდან კონსტანტინე კემულარია თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში იწყებს მუშაობას უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1980-1988 წლებში იგი სტაჟირებაზე იმყოფებოდა ქ. მოსკოვში, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც დაიცვა კიდეც დისერტაცია და მოიპოვა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ამის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში. 1987 წლიდან კონსტანტინე კემულარია პროკურატურის ორგანოებშია. მუშაობს ჯერ რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს პროკურორად. შემდეგ ქ. ჭიათურის პროკურორად, ისევ რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ სამმართველოს უფროსად.

1992 წლის 8 დეკემბრიდან კონსტანტინე კემულარია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრია.

საქართველოს იურისტთა კავშირის გამგეობა გულწრფელად ულოცავს ბ-ნ კონსტანტინე კემულარიას ამ საპატიო და პასუხსავე თანამდებობაზე დანიშვნას და წარმატებებს უსურვებს რესპუბლიკის იუსტიციის დაწესებულებათა საქმიანობის დონის ამაღლებისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

კანონი სამხედრო მდგომარეობის შესახებ

მუხლი 1. სამხედრო მდგომარეობა არის განსაკუთრებული წესები, რომლებიც „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის და ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში.

სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მუხლი 2. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რეგიონში აცხადებს სამხედრო მდგომარეობას ან ადასტურებს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას. იმ შემთხვევაში, თუ ამ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, საკითხი სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა შეაქვს მას პარლამენტის განსახილველად. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.


მუხლი 3. სამხედრო მდგომარეობის შემოღებისას აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივები, მოქმედების ვადა და ტერიტორიული საზღვრები, რაც სამხედრო მდგომარეობის ძალაში შესვლამდე არა უგვიანეს 12 საათისა ცხადდება რადიოთი, ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

საქართველოს პარლამენტს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, უფლება აქვს გააუქმოს იგი დადგენილი ვადის გასვლამდე ან გაახანგრძლივოს მისი მოქმედების ვადა, თუ კვლავ არსებობს გარემოებანი, რომლებიც სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების საფუძველი გახდა.

დადგენილება სამხედრო მდგომარეობის გაუქმების ან მისი ვადის გახანგრძლივების შესახებ მიიღება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

მუხლი 4. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელობის ფუნქციები სახელმწიფო თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს — უმაღლეს მთავარსარდალს.

მუხლი 5. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ადგილებზე სამხედრო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური — უმაღლესი მთავარსარდალი, უფლება აქვთ:



1) გამოიყენონ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა ღონისძიება საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს უშიშროებისა და სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

2) ღროებით გაიყვანონ სიცოცხლისათვის საშიში რაიონებიდან მოქალაქეები, ამასთან მისცენ მათ ღროებითი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი;

3) შემოიღონ – ქვეყნის იმ რეგიონში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა, მოქალაქეთა გასვლისა და მოქალაქეთა შემოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

4) მოახდინონ მოქალაქეთა მობილიზაცია თავდაცვითი სამუშაოების შესასრულებლად რკინიგზის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად;

5) ღროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, ტყვია-წამალი, ხოლო უწყებებს – სასწავლო-სამხედრო ტექნიკა, ფეიქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ქიმიური და სხვა ნივთიერებები;

6) შემოიღონ უწყებათა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი. გადაწყვიტონ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით მათი სამეურნეო საქმიანობისა თუ სხვა საკითხები;

7) აკრძალონ კრებები, მიტინგები, ქუჩაში მსვლელობები და დემონსტრაციები, აგრეთვე სხვა მასობრივი ღონისძიებები;

8) აკრძალონ გაფიცვა;

9) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ტყვია-წამლით, შხამშემცველი ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობა;

10) შეზღუდონ ან აკრძალონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა;

11) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმი; შეზღუდონ ან აკრძალონ რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენება; დააწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე;

12) შეამოწმონ მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში საბუთები, მოაწყონ პირადი ნივთების გასინჯვა, ხელბარვისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება;

13) თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე მუშა-მოსამსახურენი ღროებით გადაიყვანონ იმ სამუშაოზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით;

14) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ განსაზღვრული ვადით გარკვეული დასახლებული პუნქტი; ის პირები, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, გაიყვანონ საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას;

15) შემოიღონ კარანტინი ან განახორციელონ სანიტარულ-ეპიდემია-საწინააღმდეგო ღონისძიებანი;

16) დანიშნონ ან გაათავისუფლონ თანამდებობიდან უწყებათა ხელმძღვანელები.

მუხლი 6. ამ კანონის მე-5 მუხლში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს უფლება აქვს:



1) შემოდოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მოქალაქეთა გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა შემოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

2) გამოსცეს დადგენილებები, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე;

3) მისცეს განკარგულებები ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და უწყებებს და მოითხოვოს მათი განუზრელი შესრულება;

4) გააუქმოს ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ისინი ხელს შეუშლიან ადგილებზე ვითარების სტაბილიზაციას.

მუხლი 7. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ მოქალაქენი ვალდებული არიან იმ ტერიტორიაზე გადაადგილებისას, სადაც მოქმედებს სამხედრო მდგომარეობა, იქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ხოლო კომენდანტის საათის მოქმედების დროს — სპეციალური საშვი, რომელსაც საჭიროებისამებრ გასცემენ სამხედრო ხელისუფლების ორგანოები.

მუხლი 8. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-7 მუხლით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს შესაბამისად ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 9. სამხედრო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს უნაზღაურდებათ მიყენებული მატერიალური ზარალი, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საცხოვრებელი სადგომი.

ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 10. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებისა და მისი გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური **მ. შიშკარდნაძე**,

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **მ. გომიშაძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 24 დეკემბერი.



შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის განხორციელებამდე სამხედრო პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 2. სამხედრო პროკურატურის უმთავრესი ამოცანაა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, დანაშაულობათა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მათი აღმოფხვრა.

მუხლი 3. სამხედრო პროკურატურა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ კანონის საფუძველზე, კოორდინაციას უწევს სამხედრო სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს და მოსახლეობას შეიარაღებულ ძალებში კანონიერების მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 4. სამხედრო პროკურატურის ორგანოებში დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების შექმნა და ფუნქციონირება.

სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოს წევრი ან შეითავსოს სხვა სამუშაო გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 5. სამხედრო პროკურორს უფლება აქვს მონაწილეობდეს შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების იმ სხდომებში, რომლებზეც განიხილება სამხედრო დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხები.

მუხლი 6. სამხედრო პროკურატურის ორგანოები კანონით დადგენილი წესით იზილავენ საჩივრებს, წინადადებებსა და განცხადებებს.

სამხედრო პროკურორები პირადად იღებენ სამხედრო მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს.

მუხლი 7. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირისათვის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში ხელის შეშლა ან მისი იძულება შეასრულოს უკანონო მოქმედებანი, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

თავი II

სამხედრო პროკურატურის ორგანიზაცია

მუხლი 8. სამხედრო პროკურატურა შედის საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემაში ზემდგომი სამხედრო პროკურორებისადმი ქვემდგომთა დაქვემდებარებით. მთავარი სამხედრო პროკურორი ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და თანამდებობით არის მისი მოადგილე.



მუხლი 9. სამხედრო პროკურატურის ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით აწესებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურის ორგანოების სისტემაში შედის მთავარი სამხედრო პროკურატურა და შესაბამისი რეგიონალური სამხედრო პროკურატურები.

მუხლი 11. მთავარ სამხედრო პროკურორს ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინებით.

მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებსა და რეგიონალურ პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით.

მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილების უფროსებს, მათ მოადგილეებს, განყოფილების პროკურორებს, მთავარი სამხედრო პროკურორის თანამშემწეებს, სამხედრო პროკურატურის გამოძიებლებს, რეგიონალური პროკურორების მოადგილეებსა და თანამშემწეებს ნიშნავს მთავარი სამხედრო პროკურორი.

მუხლი 12. სამხედრო პროკურატურის ორგანოების სისტემას ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი.

მთავარი სამხედრო პროკურორი გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამხედრო პროკურატურის ყველა მუშაკისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი აუქმებს მთავარი სამხედრო პროკურორის მიერ გამოცემულ აქტებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 13. მთავარ სამხედრო პროკურატურაში იქმნება კოლეგია მთავარი სამხედრო პროკურორის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და სამხედრო პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით.

თავი III

სამხედრო პროკურორისა და სამხედრო პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილება

მუხლი 14. სამხედრო პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ზედამხედველობას სამხედრო უწყებების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მიერ კანონების შესრულებაზე, აგრეთვე მათ მიერ მიღებული აქტებისა და გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

მუხლი 15. სათანადო საფუძვლის არსებობისას სამხედრო პროკურორი უფლებამოსილია დაუბრკოლებლივ შევიდეს სამხედრო მმართველობის ორგანოებსა და ორგანიზაციებში, გამოითხოვოს მათ მიერ მიღებული ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა დოკუმენტები, დანიშნოს არასაუწყებლო შემოწმებები და რევიზიები, მოითხოვოს სამხედრო მოსამსახურისა და სხვა პირებისაგან განმარტებები კანონის დარღვევის თაობაზე.

სამხედრო პროკურორის კანონიერი მოთხოვნები სავალდებულოა ორგანოს, თანამდებობის პირის, სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა წევრებისათვის.

მუხლი 16. სამხედრო პროკურატურა არ ერევა სამხედრო მმართველობის ორგანოების თავდაცვით, მმართველობით და სამეურნეო საქმიანობაში. საპროკურორო შემოწმებები ხორციელდება მხოლოდ იმ შეტყობინებათა საფუძველზე, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნებზე ან კანონიერების სხვა დარღვევებზე.

მუხლი 17. სამხედრო უწყების მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო აქტების გამო სამხედრო პროკურორს ან მის მოადგილეს შეაქვს პროტესტი ამ აქტის გამომცემ ან შემდგომ ორგანოში, ან სამხედრო სასამართლოში. ასეთივე წესით ხდება პროტესტის შეტანა შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირის მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო აქტის გამო.

შესაბამისი სამხედრო უწყება ან თანამდებობის პირი ვალდებულია 10 დღის ვადაში განიხილოს პროტესტი და შედეგი აცნობოს პროკურორს.

მუხლი 18. ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილ კანონის დარღვევათა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის თაობაზე სამხედრო პროკურორს შეაქვს წერილობითი წარდგინება იმ სამხედრო უწყებაში ან თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია აღკვეთოს ეს დარღვევები. წარდგინების განხილვა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში და შედეგი ეცნობოს სამხედრო პროკურორს.

მუხლი 19. კანონის დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე სამხედრო პროკურორს შეუძლია გამოითანოს დადგენილება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან დისციპლინური საქმის წარმოების აღძვრის შესახებ.

დადგენილება ადმინისტრაციული ან დისციპლინური საქმის წარმოების აღძვრის შესახებ განიხილება ადვილზე მიღებიდან ათი დღის ვადაში და შედეგი ეცნობება სამხედრო პროკურორს.

მუხლი 20. სამხედრო პროკურორი ახორციელებს ზედამხედველობას შეიარაღებულ ძალებში მოქმედი მოკვლევის ორგანოებისა და სამხედრო პროკურატურის გამომძიებლების ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევისა და სავამოძიებო საქმიანობის კანონიერებაზე.

სამხედრო პროკურორის უფლებამოსილება მოკვლევისა და სავამოძიებო ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას განსაზღვრულია რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

მუხლი 21. სამხედრო პროკურორი უფლებამოსილია შეამოწმოს დროებითი დაკავების საკანში და შეიარაღებული ძალების სხვა სპეციალურ დაწესებულებებში დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, სასჯელისა და სამხედრო სასამართლოების ან სამხედრო ზელმძღვანელობის მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა, გაეცნოს საჭირო დოკუმენტებს, გამოკითხოს დაკავებულები და დაპატიმრებულები, მოითხოვოს განმარტებები თანამდებობის პირებისაგან.

სამხედრო პროკურორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ გააუქმოს კანონის დარღვევით დადებული დისციპლინური სასჯელი, გაათავისუფლოს უკანონოდ დაკავებული და დაპატიმრებული პირი.

მუხლი 22. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამხედრო პროკუ-



რორი მონაწილეობს სამხედრო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვაში
 სამხედრო პროკურორის უფლებამოსილება სამხედრო სასამართლოებში
 საქმეთა განხილვისას, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, გადაწყვე-
 ტილების, დადგენილებისა და განჩინების კანონიერების შემოწმებისას, განსაზ-
 ღვრულია რესპუბლიკის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპ-
 როცეო კანონმდებლობით.

მუხლი 23. სამხედრო პროკურატურის გამომძიებლები წინასწარ გამოძიე-
 ბას აწარმოებენ იმ საქმეებზე, რომლებიც კანონით მათ კომპეტენციას განე-
 კუთვნება, აგრეთვე საქმეებზე, რომლებიც მათ გადაეცა საქართველოს რესპუ-
 ბლიკის გენერალური პროკურორის განკარგულებით.

სამხედრო პროკურატურის ქვემდებარე საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ,
 რომელიც ჩაიდინეს სამხედრო მოსამსახურეებმა და სამხედრო ვალდებულებმა
 სასწავლო შეკრების გავლის დროს, აგრეთვე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსა-
 ხურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ოფიცრებმა და
 რიგითებმა.

წინასწარი გამოძიების წარმოების დროს სამხედრო პროკურატურის გა-
 მომძიებელი სარგებლობს ყველა უფლებამოსილებით, რაც მინიჭებული აქვს გა-
 მომძიებელს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კა-
 ნონმდებლობით.

თავი IV

სამხედრო პროკურატურის ორგანიზაციული და აბტრიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 24. სამხედრო პროკურატურის ორგანოებში თანამდებობაზე სამუშა-
 ოდ მიიღებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ უმაღ-
 ლესი იურიდიული განათლება, ფლობენ ქართულ ენასა და ხასიათდებიან — და-
 დებითად.

მუხლი 25. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს დაკავებული
 თანამდებობისა და სამუშაო სტაჟის შესაბამისად ენიჭებათ სპეციალური წოდე-
 ბები კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 26. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს ხელფასი უწყე-
 სდებათ დაკავებული თანამდებობის წელთა ნამსახურობის და სპეციალური წოდ-
 ების გათვალისწინებით.

მუხლი 27. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებზე ვრცელდება
 ყველა ის შეღავათები და უზრუნველყოფის ნორმები, რომლებიც სამხედრო მო-
 სამსახურეებისათვისაა კანონით დადგენილი.

მუხლი 28. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებზე ვრცელდება
 ყველა ის მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, რომლე-
 ბიც პროკურატურის მუშაკებისათვისაა კანონით დადგენილი.

მუხლი 29. სამხედრო პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგე-
 ბა და დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან; სამსახურებრივი შენობე-
 ბით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა ეკის-
 რება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მუხლი 30. სამხედრო პროკურატურის სამსახურებრივი შენობების დაცვა და
 საბადრაგო მომსახურება ხორციელდება შინაგანი ჯარების მიერ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური მ. შავბარდნაძე
 საქართველოს პარლამენტის სპიკერი მ. გომეზაძე
 თბილისი, 1992 წლის 28 დეკემბერი.

მართლმსაჯულების სიდი ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში

საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ეროვნული თვითმყოფადობის იდეა მყარადაა ფესვგადგმული ქართველი კაცის ცნობიერებაში; მაგრამ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა მხოლოდ პოლიტიკური რადიკალიზმი და ზოგადსაკაცობრიო იდეალების დეკლარირება რომ არ არის, ამაში კარგახანია დავრწმუნდით. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტების მოქნილი სისტემის შექმნას, დამოუკიდებელი სასამართლო სტრუქტურების ფორმირებასა და სამართლებრივი პოლიტიკის თვისებრივად ახალ, ჰუმანურ საწყისებზე გადაყვანას. ჩვენს ერს, ხელისუფლებას, სწორედ ახლა სჭირდება პროფესიონალი იურისტების სამსახური, სხვა ქვეყნების იურისტთა, გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარება. ამ კეთილშობილურ მიზანს, ქართველ იურისტებთან დამკვიდრებასა და მათთან თანადგომას ითვალისწინებდა ღონისძიება, რომლის მიხედვითაც 1992 წლის 29 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი იურისტების ერთი ჯგუფი.

დელეგაციას ხელმძღვანელობდა მენის შტატის უზენაესი სასამართლოს ახლად გადამდგარი თავმჯდომარე ვინსენტ მაკ კუხიცი, რომელიც მეუღლესთან ერთად გვეწვია. მას თან ახლდა ფედერალური სასამართლოს პირველი ინსტანციის მოსამართლე მიჩიგანის შტატის აღმოსავლეთ ოლქის საოლქო სასამართლოში ჯერალდ როუსენი, აშშ პროკურორის პირველი თანამშემწე ვირჯინიის შტატის აღმოსავლეთ ოლქში ქენეთ მელსონი, სახელმწიფო დეპარტამენტის ჰუმანიტარულ საქმეთა ბიუროს სპეციალური პროგრამის თანამშემწე ნიკოლას კლისასი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი, აშშ სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი, საელჩოს პირველი პრესმდივანი ჯიმი ჰატჩესონი. მგზავრობით გადადილდნენ სტუმრებს მინდია უგრეხელიძემ ჩამოსვლისთანავე მიაწოდა ცნობა, რომ სამშობლოში უკან გამგზავრების წინ მათ შეხვედებოდა პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ელზარდ შვეარდნაძე, რაც დიდი კმაყოფილებით იქნა აღქმული.

სტუმრები სასტუმრო „მეტეხში“ დაბინავდნენ. შუადღისათვის მათ შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი თედო ნინიძე, და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯიმი ყიფიანი. ქართველმა უზენაესი ინსტიტუტმა იქვე, სასტუმროს ვესტიბიულში, ჩამოართვეს სტუმრებს სახელდახელო ინტერვიუ, რომელიც იმავე საღამოს პროგრამა „მაცნეში“ გადაიყვანა. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ურთიერთობისა და პატივისცემის ატმოსფეროში საფუძველი ეყრებოდა ნამდვილ შეგობობას.

სასტუმროდან უცხოელი იურისტები საქართველოს ხელოვნებათა აკადემიისაკენ გაემართნენ. ისინი გულთბილად მიიღო აკადემიის რექტორატმა და მთელმა კოლექტივმა. სტუმრების საპატივცემულოდ მასპინძლებმა შეასრულეს ნაწარმოებები ქართველი და ამერიკელი კომპოზიტორების რეპერტუარიდან.

იმავე დღეს ამერიკელები ეწვივნენ ლაღო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმს. სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ქართველი მხატვრის შემოქმედებით შემკვიდრებას. მათ დათვალიერეს გუდიაშვილისეული ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, მისი საცხოვრებელი სახლი, ვაითავისეს ის ლამაზი და წყნარი ოჯახური ვითარება, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლაღო გუდიაშვილი.

ასე დამთავრდა ამერიკელი იურისტების ვიზიტის პირველი დღე. ორშაბათიდან კი მათაც და მასპინძლებსაც თავაუღებელი შრომა ელოდათ — წინ ზომ უამრავი საინტერესო შეხვედრა და, რაც მთავარია, ორდღიანი სემინარის ჩატარება იყო გათვალისწინებული.



30 ნოემბერს, დღით, ამერიკელი იურისტები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში მართლსაწინააღმდეგობის სასამართლო სესიის მეშვეობით უარესად საინტერესო აღმოჩნდა მათი საუბარი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან მინდია უგრეხელიძესთან და მის მოადგილეებთან ჯიმი ყიფიანთან, გურამ ლილუაშვილთან, გუგული დვედარიანთან. მასპინძლებმა მათ ვაცნეს საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში მიღებული უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები, რომელთა ძირითადი პათოსი ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობაა. შეხვედრაზე ისაუბრეს ჩვენს ქვეყანაში სასამართლო პოლიტიკის სრულყოფისა და განვითარების პერსპექტივებზე, იმ სამართლებრივ რეკომენდაციებზე, რომლებსაც ამერიკელები თავაზობდნენ საქართველოს მხარეს. სტუმართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სასამართლო რეფორმის სამთავრობო კომისიის წევრებთან შეხვედრამ. ისინი ესაუბრნენ ადვოკატი ნონიკიანას, თენგიზ ლილუაშვილს, ვია მეფარიაშვილს.

საქართველო იმყოფება სასამართლო რეფორმის მიჯნაზე; სწორედ ახლაა აუცილებელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის იურისტებთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება; სტუმრებმა მოისმინეს კომისიის წევრთა მოსაზრებები მიმდინარე სასამართლო რეფორმის შესახებ და გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები ამ მოვლენის ირგვლივ. მეორე დღეს, უზენაესი სასამართლოში გამართული სემინარის გახსნას წინ წარმოთქმულ სიტყვაში ადვოკატის ზელმძღვანელი ვინსენტ მაკ კუსიცი იტყვის: „საქართველოში ყოფნის 48 საათის განმავლობაში ჩვენ გვეჩვენა დაახლოებით ხუთი შეხვედრა უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებთან და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის განხორციელებაში დაინტერესებულ სხვა ჯგუფებთან; და ის რაც ვნახეთ — ეს იყო ქართველი იურისტების სრული მზადყოფნა და ძალიან მკაცრი, შეიქმნას საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სისტემა, უზრუნველყოფილ იქნეს კანონის უზენაესობა. გვჯერა, რომ თქვენ მიაღწევთ ამ მიზანს“.

სტუმრებმა დაათვალიერეს უზენაესი სასამართლოს შენობა, სსლმის დარბაზები, სტუმართა დელეგაცია შეხვდა პარლამენტის სპიკერის მოადგილეს ვახტანგ რჩულიაშვილს, პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს და იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ტარიელ კულუაშვილს.

1992 წლის 1 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სააქტო დარბაზში გაიხსნა სემინარი თემაზე „მართლმსაჯულების მოწყობა“. აქ იყვნენ რესპუბლიკის მეცნიერი თუ პრაქტიკოსი იურისტები, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტების სტუდენტები, უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები, რესპუბლიკის პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა ორგანოების ზელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კორესპონდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯიმი მიქელაქემ, გენერალური პროკურორის მოადგილემ როლანდ გილიაშვილმა, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რამაზ კლიმიაშვილმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ დავით კალმახელიძემ.

სემინარი გახსნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ. დაიწყო ამერიკელი იურისტთა სტუმრობის ოფიციალური, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი. მინდია უგრეხელიძემ სემინარის გახსნისას დამსწრეთ წარუდგინა ამერიკელი კოლეგები, ზოგადად გაცნო მათ სემინარის მუშაობის გეგმა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ისაუბრა ასეთი სემინარების გამართვის აუცილებლობასა და მათ დიდ მნიშვნელობაზე; გულითადი პატივისცემა გამოხატა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კენტ ბრაუნისა და მისი თანამშრომლების მიმართ, როგორც ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორებისადმი; აღნიშნა, რომ „ხანგრძლივად დაბეჩავებული ყოფის შემდეგ საქართველოს ერთბაშად უხდება იბრძოლოს ადამიანის უფლებების დასაცავად, კანონის უზენაესობის დასაცავად, თავისი კუთვნილი ეროვნული უფლებების დასაცავად, სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასაცავად. ამ უფლებებისთვის ბრძოლისა და შესაბამისი სამართლებრივი გზების ძიების პროცესში აღმოჩნდით ერთმანეთის მხარდამხარე ჩვენ და ჩვენი ამერიკელი კოლეგები, ყველაზე ნაღდი მეგობრობა კი საბრძოლო მეგობრობაა. მე მწამს, რომ ამ მეგობრობას ვეღარავინ მოგვიშლის...“

სემინარის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოში აშშ-ის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი კენტ ბრაუნი, საელჩოს პირველი პრესმდივანი ჯიმი ჰატჩესონი და პოლიტიკურ და ეკონომიკურ აკაითხთა მეორე მდივანი ქენდი გრინი. აღსანიშნავია, რომ დარბაზში მყოფთ მიესალმა და სიტყვა წარმოთქვა ამერიკის ელჩმა კენტ ბრაუნმა, რომელიც განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს სემინარის მუშაობას.

სემინარის თემატიკა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი იურისტები, სტუდენტები. გაიმართა აზრთა გაცვლა-გაზიარება და გულახდილი საუბარი სამართლებრივი პრობლემატიკის ირგვლივ. ამ დღეს განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მექანიზმი, მოსამართლეთა შერჩევისა და წარდგენის წესი, სასამართლო სისტემის ფორმირება საკანონმდებლო სისტემასთან მიმართებაში, იურიდიული ეთიკა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ სემინარის მუშაობამ გვიან საღამომდე გასტანა, არ მოკლებია მას ინტერესი და ერთუზიანობა. ერთი დღის შემდეგ კი, 3 დეკემბერს გაიმართა მეორე სემინარი თემაზე „პიროვნების უფლებების სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემაში“. ვანიხილავ არაბარალეულობის პრეზუმფციას, დაცვის უფლება, თვითბრალდებისაგან დაცვა, მოწმეებთან დაპირისპირების უფლება და ბევრი სხვა საინტერესო, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი.

უნდა ითქვას, რომ სემინარის მუშაობა გახდა დასტური იმისა, თუ რაოდენ ვაჰამდლებს სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს ერთმანეთთან მეგობრობა, თანამშრომლობა, რაოდენ დაშორებულებიც არ უნდა ვიყოთ ჩვენი ისტორიით, ჩვენი პროფესიული თუ ეროვნული ტრადიციებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიურობა, რომელმაც შესასურრი ცოდნა და ინტელექტი გამოამჟღავნა; მათ კიდევ ერთხელ დავგარწმუნეს, რომ ასეთი თანამშრომლობა, ასეთი ერთობლივი სემინარების მოწყობა პირველ რიგში ჩვენი მომავალი იურიისტებისათვისაა უაქვუთენილი, სტუდენტების დაინტერესება აღნიშნული სემინარით შემთხვევითი როდი იყო. დღეს უკვე აშკარაა, რომ მხოლოდ მაღალკვალიფიციური, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდა იურისტებს ძალუძთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი მასშტაბების სამართლებრივ ვარდაქმნებში. მართლაც რომ იმედისმომცემია ამ მხრივ ჩვენი სტუდენტების საქმიანობა, მათი მიზანდასახული მუშაობა სამართლის სხვადასხვა დარგის თანამედროვე პრობლემატიკაზე. ამ სტრუქტურის ავტორს, როგორც სტუდენტს, სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნია მაღლიერებით მოიხსენიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტები ზაზა ბიბილაშვილი, ნიკა მანჯგალაძე და ამირან ყანჩაველი, რომლებმაც ძალდონე არ დაიშურეს, რათა ქართულ-ამერიკული ერთობლივი სემინარი და მთლიანად სტუმართა ვიზიტი საქმიან, გულთბილ და სასიამოვნო ატმოსფეროში წარმართულიყო. სემინარის მუშაობის დამთავრებისას გამოითქვა აზრი: ხომ არ დადგა დრო შეიქმნას ქართულ-ამერიკული სამართლის სკოლა, ხომ არ დადგა დრო უფრო ინტენსიური, მჭიდრო და რეგულარული თანამშრომლობისა...


ორ დეკემბერს ამერიკელი იურისტები სასტუმრო „მეტეზში“ შეხვდნენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და „სვობოდანაი გრუზიას“ კორესპონდენტებს, ნაშუადღევს კი ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმრები იყვნენ. სტუდენტებისათვის მათ წაიკითხეს ლექცია, ისაუბრეს იურიდიული განათლების ახალი კონცეფციის შემუშავების თაობაზე. შეხვდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს.

იმავედღეულად ქვეთ მელსონი შეხვდა პროკურატურისა და შსს თანამშრომლებს. ეს შეხვედრა რესპუბლიკის პროკურატურაში გაიმართა და იმთავითვე გამოიწვია ჩვენი პრაქტიკოსი იურისტების ცხოველი ინტერესი.

ოთხ დეკემბერს, დილით ამერიკელი იურისტები შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ელუარდ შევარდნაძეს; შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ და იურისტთა კავშირის თავმჯდომარემ ზურაბ რატინამ. ამერიკელი იურისტები კარგად იცნობენ ელუარდ შევარდნაძის ერთგულებას დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის იდეებისადმი. საუბარი გულახდილი და საინტერესო იყო, დაისახა მომავალში თანამშრომლობის გზები, გამოითქვა სურვილი უფრო მჭიდრო გახადონ ურთიერთობები სტუდენტთა გაცვლები და სამართლებრივი რეკომენდაციების მიწოდების სფეროში. უცხოელმა იურისტებმა კმაყოფილება გამოთქვეს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ძირითადი პრინციპების გაცნობით, რასაც საფუძვლად დაედო კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ.

საუბრის დამთავრების შემდეგ საქართველოს ტელევიზიამ მოამზადა ტელეგადაცემა ამერიკელი იურისტების მონაწილეობით. მათ შეაჯამეს და შეაფასეს ქართველ კოლეგებთან ერთად გაწეული მუშაობა, მაღლიერების გრძნობა გამოხატეს ყველა იმ ოფიციალური თუ კერძო პირის მისამართით, ვინც მონაწილეობა მიიღო სემინარების მოწყობასა და მისი მუშაობის ნორმალურად წარმართვაში.

საღამოს კი სტუმრები მცხეთას ეწვიენენ. მათ დაათვალიერეს „ჯვარი“ და „სვეტიცხოველი“. ამერიკელები აღფრთოვანებულნი იყვნენ ქართველ ზუროთმოდგართა ქმნილებებით, საქარ-



ბჭელის უძველესი დედაქალაქის სიღამაზით და მისი კულტურის განუმეორებელი ნიმუშებით.

სტუმრებისათვის საინტერესო აღმოჩნდა საქართველოს ახლად დამტკიცებულ მინისტრის კოლეჯის კეპულარიასთან შეხვედრა. იქვე მათ გაიცნეს მცხეთის სასამართლოს თავმჯდომარე დავით ერქვანია და რაიონის პროკურორი ზაზა ინწკირველი. ესაუბრნენ და დაუმეგობრდნენ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს პროფ. გივი ინწკირველს.

5 დეკემბერს დასრულდა ამერიკელთა ვიზიტი საქართველოში.

საქართველოში ოშია. ქართველი კაცი იბრძვის სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის განსამტკიცებლად, რაც წარმოუდგენელია მართლმსაჯულების ეროვნული სისტემის შექმნის გარეშე. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რამდენი შრომა, ძალისხმევა და შემართება აყო საჭირო იმისათვის, რომ ფაქტობრივი საომარი მდგომარეობის ფონზე ქართულ მართლმსაჯულებას მოეკრება ძალღონე და გამხდარიყო ეროვნული აღორძინების განუყოფელი ნაწილი.

...ამერიკელებმა დაგვიტოვეს მეგობრობისა და ურთიერთანადგომის კიდევ ერთი მაგალითი, დაუვიწყარი მოგონებები და მომავალში კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ხშირი შეხვედრების იმედები; მათ დაგვიტოვეს მდიდარი იურიდიული ლიტერატურა, მართლმსაჯულებისათვის განკუთვნილი ატრიბუტიკის ნიმუშებიც კი. მართლაც რომ დაუვიწყარი იყო მათი სტუმრობა საქართველოში; ქართველ იურისტებთან მათი მეგობრობა კი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საკანონმდებლო საქმიანობას, სამართლის აღსრულებასა და მართლმსაჯულების საქმეს.

სულხან მოლავაძი

კათედრის გაფართოებული სხდომა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1993 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ, ერთ-ერთი პირველები გამოეხმაურნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. სწორედ ამას მიეძღვნა ამასწინათ ჩატარებული სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გაფართოებული სხდომა, სადაც გაჩინსაზღვრა კათედრის ამოცანები საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებაში და დაისახა ამ მიზნით ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოვლენის გზები.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, პროფესორი გივი ინწკირველი, აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის შესაფერისი კონსტიტუციის შემუშავების საკითხი. სწორედ ამიტომ სავსებით დროულია (იქნებ ცოტა დაგვიანებულიც), საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნა. თუ 1978 წლის კონსტიტუცია, მიუხედავად მასში შეტანილი ცვლილება-დამატებებისა, ვერ უზრუნველყოფდა რესპუბლიკაში დამკვიდრებული პოლიტიკური წყობილების სამართლებრივ მომსახურებას, გაუმართლებელი იყო 1921 წლის კონსტიტუციის ფაქტიურად უცვლელად ამოქმედებაც.

სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა

სამართლის თეორიისა და სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლის კათედრის წევრები (პროფესორები გ. ინწკირველი, ვ. ერემოვი, ბ. საგანელი, დოცენტები ზ. ჯინჯოლავა, ა. აბესაძე, თ. მელქაძე, ა. კალმახელიძე, ლ. გიორგაძე და სხვები) ტრადიციულად წლების მანძილზე აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს კონსტიტუციის თეორიულ პრობლემებზე, მონაწილეობენ ცალკეული კონსტიტუციური კანონებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება-განხილვაში. მათი ზოგიერთი ნააზრევი ასახულია ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში და მეთოდურ მასალებში.

სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის სხვა კათედრათა გამგეები, პროფესორები ს. ჯორბენაძე, ვ. აბაშმაძე, ვ. ლორია, გ. ტყეშელაძე, მოწვეული სტუმრები და დაინტერესებული პირები, გაიმართა საქმიანი მსჯელობა საქართველოს მომავალი კონსტიტუციის კონცეპტუალურ საკითხებზე. შემუშავდა საერთო აზრი კონსტიტუციის ზოგადი სტრუქტურისა და შინაარსის თაობაზე. აღინიშნა, რომ კონსტიტუცია არ უნდა იყოს ვრცელი და სასურველია ჩამოყალიბდეს უზოგადესი დებულებების საფუძველზე, ხოლო მათში ფორმულირებული პრინციპების რეალიზება მოხდეს სპეციალური კანონებით.

საქართველოს კონსტიტუცია თავისი ბუნებით ქართული კონსტიტუცია უნდა იყოს და მასში აისახოს ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სამართლებრივი კულტურა, შეძლებისდაგვარად დამკვიდრდეს ქართული ტერმინოლოგია, ცნებები. გამოითქვა კიდევ აზრი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის ქართული სახელწოდების დარქმევის მიზანშეწონილობის თაობაზე (მაგ.: დარბაზი რესპუბლიკის საკრებულო და სხვა).

კონსტიტუციის სტრუქტურა ძირითადად ოთხი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს. პრეამბულის შემდეგ პირველი განყოფილება (კარი, თავი), რომელსაც შე-

იძლება 1921 წლის კონსტიტუციის მსგავსად „ზოგადი დებულებები“ ეწოდოს; უნდა მოიცავდეს ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების არსის განმსაზღვრავ ცნებებს (სახალხო სუვერენიტეტი, სახელმწიფოს ფორმა, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, დემოკრატიულობა, საკუთრების ფორმები და სხვა). მეორე ნაწილმა ალბათ უნდა მოიცვას პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები: მოქალაქეობა, მოქალაქის ძირითადი უფლება-მოვალეობანი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ჩათვლით. მესამე ნაწილი, დაფუძნებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე, დაეთმობოდა სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, მათი შექმნის წესებსა და უფლება-მოსილებას. მეოთხე ნაწილი შეეხებოდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას ისტორიულად ჩამოყალიბებული დაყოფის (ვითარების) გათვალისწინებით.

კონსტიტუციაში ცალკე მუხლებით განისაზღვრებოდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშის, გერბის, ჰიმნის, დედაქალაქის საკითხი და კონსტიტუციის შეცვლის წესები.

კათედრის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის სამეცნიერო-კვლევით თემებად განისაზღვრა კონსტიტუციის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები.

სხდომაზევე დაკომპლექტდა მუშა ჯგუფები კონსტიტუციის პროექტის ცალკეული ნაწილების მოსამზადებლად. გადაწყდა, რომ საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს პროფ. გ. ინწკირველი, ჯგუფები მუშაობას წარმართავენ დამოუკიდებლად, ხოლო გაერთიანებული სხდომები ჩატარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ თვეში.

კათედრა საკონსტიტუციო მუშაობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან მჭიდრო კონტაქტში და პერიოდულად მიაწვდის მას კათედრაზე შემუშავებულ მასალებს.



შეიქმნა სტუდენტთა იურიდიული კლუბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემოკრატიის, სოციალური ჰარმონიისა და ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება, რაც საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისა და პოლიტიკური გაძლიერების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის სამართლებრივ საფუძველს და მოსახლეობაში მართლშეგნების დონის ამაღლებას მოითხოვს. სამწუხაროდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავიდანვე პრინციპულად მოითხოვს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და სოციალური ჯარების საქართველოდან დაუყოვნებლივ გაყვანას, მაგრამ ამ ფონზე ძალიან ცოტა ვინმეს ახსოვს სამართლებრივი დამოუკიდებლობა. ხოლო რაოდენ მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი ფენომენია იგი, ამას თვალნათლივ მოწმობს დღევანდელი ვითარება. აი, თუნდაც ეკონომიკა. დღესდღეობით მისი გამოცოცხლება უტახტური ინვესტიციების გარეშე ხომ შეუძლებელია. ამას კი, როგორც თავად ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ბატონი ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავს, წინ სათანადო კანონთა ვაკუუმი ეღობება. საზღვარგარეთის საქმიან წრეებს მტკიცე გარანტიები სჭირდებათ, რაც პოლიტიკური სტაბილიზაციის დამკვიდრებასა და სრულფასოვანი კანონების შექმნაში გამოიხატება.

ახალი პროგრესული ქართული სამართლის მშენებლობა ურთულესი და შრომატევადი პროცესია, რაც იურისტთა არაერთი თაობის საქმედ უნდა იქცეს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მნიშვნელოვან პირობად, რომ ღვაწლმოსილ იურისტებს მხარში ახალბედებიც ამოუდგნენ და ჯერ კდეც სტუდენტობის ასაკიდან გაზარდონ მათი ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენი ცივილიზაციის არსებობა, ალბათ, წარმოუდგენელია საზოგადოების, და განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ცნობიერების ძირეული ტრანსფორმაციის გარეშე, რაც უპირველესად მართლშეგნების დონის ამაღლებაში გამოიხატება. კანონ-პროექტებზე მუშაობის პროცესში ახალგაზრდობის ჩაბმა არც თუ ისე იოლი პროცესია. ამისათვის უპირველესად საჭიროა სტუდენტთა შორის სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესება. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს ჭბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სტუდენტთა იურიდიული კლუბი, რაზედაც დიდ იმედებს ამყარებენ მისი შემქმნელები. როგორც კლუბის თავმჯდომარე, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ნიკოლოზ ლომთა-

თიძე აღნიშნავს, კლუბის მთავარი ამოცანაა სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესისადმი აქტიური ხელშეწყობა, მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი და სასარგებლო ანალიზი, სამართლებრივი მეცნიერების განვითარებით დაინტერესებული ახალგაზრდების დაახლოება, მათი ცოდნის გაღრმავება, დადებით გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება.

მიუხედავად იმისა, რომ კლუბის არსებობა ხუთიოდე თვეს ითვლის, უკვე დამყარდა კონტაქტები მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან, კიევის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტთან, ნიდერლანდებში უნდრიხტის უნივერსიტეტთან არსებულ საზღვაო სამართლის ინსტიტუტთან, ინგლისში „ინგუს კოლეჯის“ სამართალმცოდნეობის დეპარტამენტთან, საბერძნეთში ჰელენიკის ცენტრთან. ისინი დიდ დაინტერესებას იჩენენ საქართველოსა და კლუბის მუშაობის მიმართ. კლუბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქველმოქმედო საქმიანობა. სტუდენტობა სოციალურად ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ფენაა და სტუდენტთა იურიდიულ კლუბს დაეგმილი აქვს თავისი სახელობის სტიპენდიის დაწესება, რომელიც მიეცემა ახალგაზრდა სტუდენტურ ოჯახებს, მართლხელა სტუდენტ დედებს და ინვალიდ სტუდენტებს.

კლუბის ოცდაათამდე წევრი გაერთიანებულია საერთაშორისო სამართლის (ხელმძღვანელი კ. აბაშიძე), სისხლის სამართლის (ხელმძღვანელი დ. გომართელი) და სამოქალაქო სამართლის (ხელმძღვანელი გ. კვერცხიანიძე) სექციებში. მუშაობა ძირითადად ორი მიმართულებით, კანონპროექტების მომზადებითა და სამეცნიერო თემებზე მუშაობით განისაზღვრება, რაც თავისუფალ და ინდივიდუალურ აზროვნებას, ცალკეულ სტუდენტთა შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლინების პრინციპებს ეფუძნება.

კლუბის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო პირველი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება (1992 წლის 15 დეკემბერი), რომელიც ამასთან ერთად მის პრეზენტაციადაც იქცა. კონფერენციას პროფესორ-მასწავლებელთა გარდა ესწრებოდნენ საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ რატიანი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი მინდია უგრეხელიძე. სწდომა გახსნა კლუბის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ლომთაიძემ, რომელმაც ისაუბრა კლუბის მიზნებზე, პერსპექტივებსა და ამოცანებზე. თავის გამომვლაში სისხლის სამართლის

სექციის წევრმა მაკა ხეთაშვილმა გამოკვეთა მეზობელი რესპუბლიკებისა თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გეგმები და პრობლემები. სამოქალაქო სამართლის სექციის ხელმძღვანელმა გიორგი კვერენჩილაძემ კი დიდი მნიშვნელობა მიანიჭა უცხოური იურიდიული ლიტერატურის, საკანონმდებლო ნორმების ქართულად თარგმნას, სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების შემქმნელ კომისიის მუშაობაში აქტიურ ჩართვას.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო კლუბის წევრთა ნამუშევრები. სარეთაშორისო სამართლის სექციის ხელმძღვანელმა კახაბერ აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სექციაში მომ-

ზადებული კანონპროექტი „საქართველოს რიტორიული წყლების შესახებ“.

საინტერესო დისკუსია გაიმართა სისხლის სამართლის სექციის წევრის ლალი ფაფიაშვილის მოხსენებაზე „დანაშაულის ცნება“ და სამოქალაქო სამართლის სექციის წევრის გიორგი პაჩოშვილის ნაშრომზე „რწმუნებულების გარეშე მოქმედება და უსაფუძვლო გამდიდრება (კვაზიხელშეკრულებათა ბუნებისათვის)“. გამოთქმულ იქნა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებები.

კონფერენციაზე აირჩიეს კლუბის საპატიო წევრები.

გიორგი პაჩოშვილი

ახალი იურიდიული ლიტერატურა

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა და მკითხველს მიაწოდა პროფესორ თენგიზ ლილაუაშვილის სამასგვერდიანი სახელმძღვანელო „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“.

ნაშრომი წარმოადგენს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ავტორის მიერ წაკითხული ლექციების მოკლე კურსს. მასში გაშუქებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და სისტემა, ძირითადი ორგანიზაციული და ფუნქციონალური პრინციპები, სასამართლო შემეცნებისა და მტკიცებულებათა არსი. საგანგებო ყურადღება ეთმობა უფლების დაცვის სასამართლო ფორმის პრობლემებს, აგრეთვე, საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოების მიერ სასამართლო შეცდომების გასწორების წესებს.

სახელმძღვანელო გამიზნულია უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის. მას შეუძლია, აგრეთვე დიდი დახმარება გაუწიოს პრაქტიკულ მუშაობებსა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ოთარ ჯიბლაძე



როდესაც ქვეყანას განსაკუთრებით დასჭირდა ღრმა თეორიული ცოდნით აღჭურვილი გამოცდილი პრაქტიკოსი იურისტები, სავალალოდ, ამ დროს გამოაკლდა არც თუ მრავალრიცხოვან მათ რიგებს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, უზენაესი სასამართლოს წევრი — **ოთარ ბლემსანდრეს ძე ჯიბლაძე**.

ოთარ ჯიბლაძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში 1927 წელს, პედაგოგების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიული მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; ცოდნის შემდგომი

გადრეგების მიზნით ასპირანტურის სრული კურსი გაიარა მოსკოვში, მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო სასამართლის ინსტიტუტში, სადაც იმ დროს ღირსეულად იყო წარმოდგენილი პირველი ნაკადი ომის შემდგომი პერიოდის ნიჭიერი ახალგაზრდა იურისტებისა.

ოთარ ჯიბლაძის სანგრძლივი, ნაყოფიერი საქმიანობა წარიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რესპუბლიკურ პრესაში, პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოში. მაღალი თანამდებობები მიენდო მას, როდესაც რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ დაინიშნა, აგრეთვე, ორჯერ სხვადასხვა დროს, როდესაც უზენაესი სასამართლოს წევრად აირჩიეს. ამ პოსტებზე უარესად დამაბულ და საპასუხისმგებლო მუშაობასთან ერთად, ოთარ ჯიბლაძე ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სამართალშემოქმედებით საქმიანობაში. გამოირჩეოდა ნატიფი პროფესიონალიზმით და მგზნებარე პოლემისტის თვისებებით.

საქმის ერთგული უანგარო სამსახური იყო მისთვის უწინარესი მოთხოვნა, პირადი კეთილდღეობისათვის კი საერთო ინტერესი არასდროს შეუწირავს. იქნებ ამიტომაც განიცდიდა ასე ემოციურად ყოველგვარ უსამართლობას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობრებაში მიმდინარე მოვლენები იქნებოდა ეს, თუ ყოფილი წვრილმანი.

მოკრძალებული, დამაშვრალი და ვალმოხდილი განერია იგი წუთისოფელს. დუფიწყარია ოთარ ჯიბლაძის ხსოვნა, მისაბაძია მის მიერ განვლილი გზა, უსაზღვროა მისი შესანიშნავი ოჯახისა და მრავალრიცხოვანი ნაცნობ-მეგობრის გულისტკივილი.


საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო,
საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა,
საქართველოს იურისტთა კავშირი.

დეკავა

დიდად დამაფუძხარ ბატონი ოთარის გარდაცვალებამ. იგი კლიერ დაბალდა არა მარტო თავის ღირსეულ ოჯახს, მეგობრებს, არამედ მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს საქმეს. პირადად ვიცი, რაოდენ გულანთებული იღვწოდა ბატონი ოთარი საზოგადოების სასიკეთოდ მაღალი პროფესიული ცოდნით და მითაღა-ჰეობრივი პასუხისმგებლობით. კიდევ უფრო გვირდებოდა იგი დღეს.

გულითად თანაგრძნობას გიცხადებთ და გისურვებთ სულიერ მხნეობას.

პატივისცემით ედუარდ შვპარდნაძე



ქეშმარტად უსაზღვროა ის გულისტივილი, რაც ყველა ჩვენგანს დაეუფლა თქვენი ასე უდროოდ ამა ქვეყნიდან განრიდებით.

სულით განათლებულო, ამაღლებული ზნეობის კაცო, სახელშეუბღალავად განავლე ცხოვრების გზა, რომელიც არ ყოფილა მწვანე ფერით გაშუქებული და ია-ვარდით მოფენილი. არაერთი რამ გადაგხდა თავს მას შემდგომ, რაც გაბედულად იტვირთე მართლმსაჯული მძიმე მოვალეობა, ასე პროფესიულად, ვალდებულების მაღალი ნიშნით, აღამიანთა ბედის მიმართ თანაგრძნობით რომ ასრულებდი.

ძვირფასო ოთარ, შენმა ყოველმხრივმა ნიჭიერებამ, იურიდიული კატეგორიებით აზროვნების განსაკუთრებულმა უნარმა, კაცთმოყვარეობამ, უბაღლო კალმოსნობამ, შეუფაღმა პოლემისტობამ, სავსებით მართებულად დაგიმკვიდრა წარუშლელი სახელი და აღიარება წესიერი ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში.

მიფიქრია — იქნებ ამ მოჭარბებულმა თვისებებმა, ჩვენო კარგო ოთარ, ბევრადაც შეგიშალეს ხელი სხვა რამ სურვილების მიღწევაშიც.

შენ ჩვენი საუნივერსიტეტო სამეგობროს სული და გული იყავი, მშვიდობის აღმავლენი, თვითიულის კეთილმოსურნე და ხელშემწყობი.

ესლა, შენი სამუდამო განსასვენებლის პირას, ახალგაზრდობის დროიდან ბევრზე ბევრია გასახსენებელი, თუნდაც ასპირანტობის პერიოდთან დაკავშირებული მოსაგონარი — როცა იქ, მოსკოვში, ხელმოკლეობას განვიციდიდით, მაგრამ ცოდნას დაწაფებულნი, მომავლის იმედით აღვისილნი ვძლევდით ყოველივეს, რადგან საერთო გვქონდა ქირიც და ლხინიც. ერთს მაინც გავისხენებ. შენთვის ღვთისბოძებული, სულიერ სილამაჯესთან შერწყმული საოცრად ლამაზი გარეგნობა, შენი მუღმივად ღმილნარევი ხიბლი ასე რომ აჯადოებდა ყველას, ჩვენს პირად ხიბლად მიგვაჩნდა.

ახალი წელი ტელეფონით მოგილოცე. თქვენმა სათნო, ნაზმა, ცხოვრების უერთგულესმა მეგობარმა, ქ-ნმა ნაილიმ შენი შეუძლოდ ყოფნა მაუწყა. უმალ გინახულე. ვისაუბრეთ აქეთურსა თუ იქეთურზე. მეტად შეწუხებული გამოთქვამდი შეზფოთებას შენი სანუკვარი სამშობლოს მდგომარეობაზე, თითქოს საბედისწერო არა გეტყობოდა რა. უცბად მოიწყინე და მითხარი: ვგონებ დასასრული მოახლოვდა, სიტყვას თუ იტყვიო. შეგიძახე, მეგონა განცდა გაგიქარვე, ორიოდღე დღის შემდეგ, აღესრულე. გარდაცვალება იყო ბატონო ოთარ შენი ამაწუთისოფლიდან განტევება და არკი სიკვდილი.

ძვირფასო ოთარ! თავს დავძლიე, ჰოდა ამ უფერული გამოსვლით სურვილი აღგისრულე. ესეც ხომ ბედის უცნაურობაა, —ახალ წელს იბარებს შენს პატიოსან ნეშტს მიწა ქართული, მიწა სისხლით დამძიმებული.

ღმერთმა ჰქმნას, ემრავლოთ ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში ოთარისნაირ აღამიანებს.

ზურაბ რაბინი

ბიბლიოგრაფია

შურნალ „სამართალში“ 1992 წელს გამოქვეყნებული მასალების საკითხავლი

ოფიციალური მასალები, სიხალენი კანონმდებლობაში, დოკუმენტები

ალექსანდრე შუშანაშვილი — გალაკტიონის გარდაცვალება — № 1, გვ. 48.

„პეკინური წესები — № 1, გვ. 56; № 2, გვ. 53.


ბიბლიოგრაფია — № 1, გვ. 78.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და

ქალაქების სასამართლოების მოსამართლეთა სია — № 2, გვ. 49.

ეგროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი — № 3, გვ. 41.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ბაღდათის რაიონის სასამართლოს კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ — № 3, გვ. 58.



კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ — № 4, გვ. 37; № 5, გვ. 57.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 14 დადგენილება დანაშაულობის პრეზუმფციისა და ექვემდინარის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ — № 4, გვ. 40.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 16 დადგენილება ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ — № 4, გვ. 47.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ — № 6-7, გვ. 21.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დებულება — № 6-7, გვ. 38.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულება — № 6-7, გვ. 52.
დებულება ადვოკატთა როლის შესახებ — № 6-7, გვ. 65.

დეკლარაცია განსაკუთრებული მდგომარეობის და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ — № 6-7, გვ. 71.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი — № 8-9, გვ. 2.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 15 დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავის სასამართლოებში განხილვის შესახებ — № 8-9, გვ. 36.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის № 18 დადგენილება მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ — № 10-11, გვ. 36.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის № 19 დადგენილება დაზარალებულის შესახებ სისხლის სამართალწარმოებაში — № 10-11, გვ. 39.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის № 20 დადგენილება სამუშაოზე აღდგენის გამო შრომითი დავების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ — № 10-11, გვ. 43.

იაკობ ფუტყარაძე — საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი სახელმწიფო სამსახურის შესახებ — № 10-11, გვ. 49.

კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ — № 10-11, გვ. 60.

კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფების შემთხვევებში მოყოლილ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ — № 12, გვ. 56.

სისხლის სამართალი, პროცესი, სახელმწიფო სამართალი, თეორია, კანონის კომენტარი, პრაქტიკა, სასამართლო რეფორმა

გურამ ნაჭყებია — კანონით აუკრძალავის ნებადართულობის შესახებ — № 1, გვ. 2.

ვანტანგ აბაშაძე — ქართული რენესანსის სათავეებთან — № 2, გვ. 25.

ვალერი ლორია — აღმინისტრაციული იუსტიცია — № 2, გვ. 40.

თენგიზ ლილუაშვილი — სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს — № 3, გვ. 2.

გიორგი ნანეიშვილი — იურიდიული სუბიექტი — № 3, გვ. 8.

ლამარა ჩორგოლაშვილი — ერთი დადგენილების გამო — № 4, გვ. 16.

ავთანდილ კობახიძე — დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების კონფისკაცია — № 4, გვ. 18.

თენგიზ ლილუაშვილი — გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?! — № 5, გვ. 2.

ირიდიონ სურგულაძე — კანონის იურიდიული ბუნება — № 5, გვ. 7.

გიორგი თოდრია — სახელმწიფო, როგორც გაუცხოების მომენტი და დანაშაულობა — № 5, გვ. 21.

ირაკლი გოძიაშვილი — დანაშაულობის პრობლემა და თანამედროვეობა № 5, გვ. 26.

ოთარ უდენტი — სასამართლო ექსპერტიზის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში — № 5, გვ. 34.

ავთანდილ კობახიძე — ზოგიერთი მოსაზრება სასამართლო რეფორმისათვის — № 6-7, გვ. 2.

აპოლონ ფალიაშვილი — გამოძიების რეფორმისა და სრულყოფის საკითხები — № 6-7, გვ. 6.

გურამ ნაჭყებია — დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი — № 8-9, გვ. 38.

აპოლონ ფალიაშვილი — საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესი და ტექტიკა — № 8-9, გვ. 48.

ნიკოლოზ ბანცაძე — ადვოკატის მონაწილეობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულობათა საქმეების სასამართლო განხილვაში — № 8-9, გვ. 56.

ირინა აქუბარია — ბრალდებულის დაცვის უფლება სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე — № 8-9, გვ. 60.

აპოლონ ფალიაშვილი — საჭიროა სრულიად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი — № 10-11, გვ. 18.

თემურ კოდოშვილი — სამშობლოს ღალატი და მასთან ბრძოლის უზრუნველყოფა — № 10-11, გვ. 33.

სამოქალაქო სამართალი, სახელმწიფო სამართალი, კართული სამართლის ისტორია, სამეურნეო სამართალი, თვალსაზრისი, კუზლიციხისტიკა.

ოთარ გამყრელიძე — ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიპილიზმის წინააღმდეგ — № 1, გვ. 2; № 2, გვ. 2.

პაატა ცნობილაძე — კონსტიტუციური კონტროლი და კონსტიტუციური ზედამხედველობა — № 1, გვ. 23.

ლამარა ჩორგოლაშვილი — უზენაესი მხოლდ სამართლიანი კანონი — № 1, გვ. 25.

თამარ ჩიტოშვილი — იჯარა სოფლად: სამართლებრივი პრობლემები — № 1, გვ. 31.

ჰანს შნაიდერი — მასობრივი არეულობები კრიმინოლოგის თვალთ № 1, გვ. 37.

დათო ჭელიძე — ადამიანი და ტოტალიტარული რეჟიმი — № 2, გვ. 15.

თამაზ მირეხაშვილი — საარჩევნო დებულების პროექტის განხილვა — № 2 გვ. 60.

ე. მ. შტაერმანი — რომის სამართალი — № 2, გვ. 66; № 3, გვ. 61; № 4, გვ. 60.

დ. ძამუკაშვილი — საპატენტო კანონმდებლობა და სამსახურებრივი გამოგონების დაცვა — № 3, გვ. 30.

დავით დავითაძე — კონტრაბანდის ობიექტის ახალი კონცეფციისათვის № 3, გვ. 35.

ვაჟა ჯაოშვილი — საჭიროა ადვოკატურის დემონოპოლიზაცია — № 3, გვ. 55.

ნოდარ ნებეირიძე — რატომ შეიქმნა მეორე უზენაესი სასამართლო?! — № 3, გვ. 56.

დამიტრი ბარათაშვილი — საგარეო პოლიტიკის კონცეფციისათვის — № 4, გვ. 2.

ლადო კანტურია — გლობალიზაციური პრობლემა და სამართალი ბერნდ გუგენბერგერი — დემოკრატიის თეორია — № 4, გვ. 25.

დამიტრი კიკნაძე — ადამიანის ქცევის სამართალმნიშვნელობის აქტუალური პრობლემები — № 4, გვ. 54.

მინდია უგრეხელიძე — შენიშვნები „პროკურატურის შესახებ დეკრეტის“ პროექტის გამო — № 6-7, გვ. 62.

აკაკი ლაბარტყავა — პირველი სახელმწიფო მეურნეობები საქართველოში — № 6-7, გვ. 73.

კახაბერ დედვარიანი — შემოდის გუგუნი სასამართლოს მიმწუხრებულ ტაძარში — № 6-7, გვ. 79.

ვატი გოციელი — უფლება — № 8-9, გვ. 63.

ანგი არხევაშვილი — მართლაცდა, რა ვუთხრათ ასეთ სამართალს?! — № 8-9, გვ. 74.

ალბერტ ახესაძე — ფედერალიზმი და საქართველო — № 10-11, გვ. 2.

გრიგოლ ერემოვი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია — № 10-11, გვ. 9.

იაკობ ფუტყარაძე — უშუალო დემოკრატიის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში — № 12, გვ. 2.

პაატა ცნობილაძე — სახელმწიფოს პრობლემა თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში — № 12, გვ. 9.

ალექსანდრე კვაშილავა — დანაშაული და მისი შემადგენლობა — № 12, გვ. 18.

არჩილ ბატიაშვილი, თამაზ გავაშელი, ლევან დემეტრაძე — ევტერიწალური პრეპარატების გამოყენების იურიდიული საფუძველი — № 12, გვ. 25.

თამარ ჩიტოშვილი — საიჯარო კანონმდებლობის შუქ-ჩრდილები — № 12, გვ. 28.

ელენე მისკარიანი-შეყილაძე — ქორწინება და დაქორწინების წესი — № 12, გვ. 32.

ვალერიან მეტრეველი — ებრაული სამართლის ქართული ვერსია — № 12, გვ. 39.

გიორგი ნადარეიშვილი — ბიზანტიური საერთო სამართლის ნორმები ქართულ „დიდ სჯულისკანონში“ — № 12, გვ. 46.

დებატები სიტყვის თავისუფლებაზე — № 12 გვ. 71.

627/34

